ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლელო
გამოიცემა 1934 წლიდან
№274(12645) 21 ნოემბერი პარასკევი 2008 ფასი 50 თეთრი

# ზემოთ
## გადაწყდა, რომ რუმინეთთან უნდა ნაგვებო

# 18 მოხსნა

## ცალი ხელით



## უილიამსი: ეს თამაში ფაჩულიამ მოხსნა!



## როდის იტყვის ძოძუაშვილი სიმართლეს?

სპეციალისტთა მოსაზრებები
**რუმინეთი-საქართველოს** მატჩზე »»» 3



*გიორგი ჩიხრაძე*

## ჩვენი მცველები მეკარესთან ძალიან ახლოს იყვნენ და ეს უკვე შეცდომაა

# საქართველო მეორე წრეზე

| | |
|---|---|
| 21.11. ბოლნისი<br>თ. სტეფანია 14:00<br>სიონი<br>მგლები | 22.11. თბილისი<br>ეროვნული. 14:00<br>დინამო<br>გაგრა<br>Live |
| 22.11. ბორჯომი<br>ჯ. ზეინკლიშვილი. 14:00<br>მესხეთი<br>ლოკომოტივი | 22.11. ზესტაფონი<br>ცენტრალური. 14:00<br>ზესტაფონი<br>ოლიმპი |
| 22.11. გორი<br>თ. ბურჯანაძე 14:00<br>ვიტ ჯორჯია<br>ბორჯომი | |

მშვიდობიანი და უხერხული მეტოქეები

საქართველოს ჩემპიონატი. XII ტურის წინათქმა »»» 2



*არჩილ არველაძე*

## ფლანგებიდან დამწიოკებელი მოთამაშე ვერ დავინახე



ესპანელებმაც კი აღიარეს:
## ვადაჭკორიამ პენალტი გვაჩუქა

ოთხშაბათის ამხანაგური მატჩები »»» 8-10

# საქართველოს XX ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
XII ტურის წინ

# მშვიდობიანი და უხერხული მეტოქეები

| 21.11. ბოლნისი თ. სტეფანია 14:00 | 22.11. თბილისი ეროვნული. 14:00 | 22.11. ბორჯომი ჟ. ზეინკლიშვილი. 14:00 | 22.11. ზესტაფონი ცენტრალური. 14:00 | 22.11. გორი თ. ბურჯანაძე 14:00 |
|---|---|---|---|---|
| სიონი – მგლები | დინამო – გაგრა (Live) | მესხეთი – ლოკომოტივი | ზესტაფონი – ოლიმპი | ვიტ ჯორჯია – ბორჯომი |
| არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი<br>ასისტენტები: ლ. თოდრია, ზ. ფიფია;<br>მეოთხე მსაჯი: ვ. ელისაბედაშვილი | არბიტრი: ა. ნონიკაშვილი<br>ასისტენტები: ს. სპიცინი, ზ. ჯვარიძე;<br>მეოთხე მსაჯი: ვ. ელისაბედაშვილი | არბიტრი: გ. ვადაჭკორია<br>ასისტენტები: ი. მაჩიტიძე, ი. კაკაბაძე;<br>მეოთხე მსაჯი: ხ. გაგნიძე | არბიტრი: ლ. სილაგავა<br>ასისტენტები: გ. ჩიგოგიძე, კ. გაბრიაძე;<br>მეოთხე მსაჯი: ჯ. ბუიშვილი | არბიტრი: კ. ჭაჭუა<br>ასისტენტები: მ. ელიკაშვილი, გ. ყრუაშვილი;<br>მეოთხე მსაჯი: ა. კრიჭაშვილი |


რამაზ მუმლაძე

ისე, რომ არ შეუსვენიათ, მეორე წრეს გუნდები დღეს იწყებენ: ბოლნისის „სიონმა“ ზუგდიდის „მგლებს“ უნდა უმასპინძლოს. შეგახსენებთ, რომ „სიონს“ 26 ნოემბერს საქართველოს თასის განმეორებითი მატჩი აქვს თბილისის „ლოკომოტივთან“. თუმცა, სხვა მეოთხედფინალისტებისგან განსხვავებით დასვენებისთვის ერთი დღით მეტი ექნებათ. რა თქმა უნდა, თასის ნახევარფინალში გასვლა **ოთარ კორღალიძის** გუნდისთვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია, მაგრამ ჩემპიონატიც არ უნდა „დაივიწყონ“, მით უმეტეს, რომ ლიდერებთან ჩამორჩენა ადრინდელივით კატასტროფული აღარ არის. დღევანდელი მეტოქეების პირველი წრის შეხვედრაში ბოლნისელებმა გაიმარჯვეს - მატჩის მიწურულს მასპინძელთა კარში დანიშნული პენალტი **ვლადიმერ კაკაშვილმა** ზუსტად შეასრულა. მოკლედ, „სიონმა“ ჩემპიონატი ისე დაიწყო, როგორც ერთ-ერთ ფავორიტს შეჰფეროდა, მაგრამ მერე „ფრეების სინდრომი“ შეეყარა; „მგლებმა“ კი, პირიქით - სადებიუტო მატჩში წაგებას მერე ოთხი მოგება მიაყოლა და, ერთი პერიოდი, ზედა სამეულის სიახლოვესაც იყო. სამწუხაროდ, „ოლიმპთან“ გამარჯვების შემდეგ **ბესიკ შეროზიას**, მართლაც, სიმპათიურ გუნდს ერთგვარი ჩავარდნა დაეწყო: ზედიზედ ოთხი წაგ[illegible]ა და [illegible]რც ერთი გოლი მეტოქის კარში! [illegible] მარცხიანი სერიის ერთ-ერთი მიზეზი, ალბათ, ისიც იყო, რომ „მგლებს“ საუკეთესო თავდამსხმელი - **გრიგოლ [illegible]ოდუა** აკლდა, ვისაც მეტოქეთა კარში ხუთი გოლი აქვს გატანილი.

ყველა დანარჩენი შეხვედრა [illegible] ჩატარდება და მათგან ცენტრალურ დაპირისპირებად, რაღა თქმა უნდა, „ზესტაფონი“-„ოლიმპის“ მატჩი [illegible]ნდა მივიჩნიოთ. „სიონის“ საყაიმო ანგარიშებისკენ „მიდრეკილებაზე“ ვლაპარაკობდით და ამ მხრივ „რეკორდსმენი“ ქვემო ქართლის მეორე გუნდია - რუ[illegible]თაველებმა ჩემპიონატში უკვე ექვსი შეხვედრა დაასრულეს ფრედ. მშვიდობიანად დასრულდა ხვალინდელ [illegible]ეტოქეთა პირველი წრის მატჩიც (0:0) და საერთოდაც, „ზესტაფონი“ და „ოლიმპი“ [illegible] ჩემპიონატში ყველაზე ნაკლებ [illegible]ილს უშვებენ. თუმცა სხვაობაც არის - **თემურ მახარაძის** გუნდს შეტევითი პოტენციალი არ დაეწუნება, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით „ოლიმპზე“. ისიც სათქმელია, რომ ორივე გუნდს სამი დღის [illegible]ერე ჩასატარებელი სათასო მატჩების [illegible]ვის სხვადასხვა განწყობილება ექნება: „ოლიმპი“, ფაქტობრივად, ნახევარფინალშია გასული; „ზესტაფონს“ კი ურთულესი მატჩი ელის მარადიულ მეტოქესთან, თბილისის „დინამოსთან“. აქვე, სერიებიც ვახსენოთ: ახალი მწვრთნელის, **ვარლამ კილასონიას** ხელმძღვანელობით, „ოლიმპი“ ხუთი მატჩია წაუგებლად ასპარეზობს; მასპინძელთა ცენტრფორვარდი **ნიკა გელაშვილი**, ალბათ, ზედიზედ მეშვიდე მატჩშიც შეეცდება გოლის გატანას! რაც შეეხება ხვალინდელი ცენტრალური მატჩის მონაწილეთა ურთიერთდაპირისპირებათა ისტორიას, უპირატესობა „ზესტაფონის“ მხარეს არის: ორი გამარჯვება და სამი ფრე. ანუ, რუსთაველთათვის თემურ მახარაძის გუნდი ჯერაც დაუძლეველ ბარიერად რჩება.

რახან უხერხულ მეტოქეებზე ჩამოვაგდეთ სიტყვა, „ვიტ ჯორჯია“-„ბორჯომის“ დაპირისპირებაც უნდა ვახსენოთ. შესაძლოა, ბევრმა არც დაიჯეროს, მაგრამ გათამაშების ერთპიროვნული ლიდერისთვის ერთ-ერთი ყველაზე არასასურველი მეტოქე სწორედ „ბორჯომია“. უფრო ზუსტად, ასე იყო წინა სეზონებში; ოღონდ, იმ არცთუ უმნიშვნელო ფაქტორსაც ნუ დავივიწყებთ, რომ მაშინ „ბორჯომში“ ჩვენი ჩემპიონატის კვალობაზე გამოცდილი და ცნობილი ფეხბურთელები თამაშობდნენ, ხოლო მწვრთნელად **ვლადიმერ ხაჩიძე** მუშაობდა. და მაინც: **რამაზ მუმლაძე** და მისი შეგირდები, ალბათ, ყველა ღონეს იხმარენ, რომ რაც შეიძლება დიდხანს დარჩნენ ცხრილის სათავეში. ამ წყვილში „ვეტერინარები“ ასედაც უპირობო ფავორიტად მიიჩნეოდნენ და მათი შანსები იმის გამოც გაიზარდა, რომ სტუმრებს სამი წამყვანი ფეხბურთელი (**გივი ქარქუზაშვილი, ლაშა ვაშაკიძე** და **ირაკლი კიკნაძე**) დისკვალიფიკაციის გამო დააკლდებათ.

წინა ტურში ნავსი ორ შემთხვევაში გატყდა: „მესხეთმა“ პირველი საშინაო მატჩი მოიგო, „ლოკომოტივი“ კი სტუმრად პირველად დამარცხდა (მანამდე ასპროცენტიანი მაჩვენებელი ჰქონდა); ჯერ ახალციხელებზე ვთქვათ: **კობა თედიაშვილის** გუნდს აუტსაიდერ „სპარტაკთან“ გამარჯვებამ „ხასიათიც“ გამოუსწორა და სატურნირო მდგომარეობაც; აი, „ლოკომოტივს“ კი მართლაც ჩინებული სტარტის მერე საკადრო პრობლემები მოეძალა. შედეგად კი ის მივიღეთ, რომ მთელი ჩემპიონატის განმავლობაში ერთპიროვნული ლიდერის რანგში მოასპარეზე გუნდი დღესდღეობით მეოთხე ადგილზეა. ვიმედოვნებთ, რომ „ლოკომოტივის“ ახალგაზრდა მწვრთნელები **გიორგი კიკნაძე** და **ზაზა ზამთარაძე** გუნდს ამ დროებითი კრიზისიდან მალე გამოიყვანენ. ისე, საკადრო პრობლემები შემთხვევით არ გვიხსენებია - ზედიზედ ოთხ წაგებულ შეხვედრაში (თასის ჩათვლით) „ლოკომოტივის“ ძირითადი შემადგენლობა, რბილად რომ ვთქვათ, ოპტიმალურისგან ძალზე შორს გახლდათ...

დაბოლოს, ტურის კიდევ ერთი შეხვედრა, რომელიც ასევე დიდ ინტერესს იწვევს: მოქმედი ჩემპიონი „დინამო“ დებიუტანტ „გაგრის“ წინააღმდეგ! უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ და კვლავაც სიამოვნებით გავიმეორებთ, რომ „დინამომ“ თამაშის ხარისხი აშკარად გამოასწორა. ალბათ, ამიტომაც არის, რომ უკვე თითქმის აღარავის ახსოვს ჩვენი ყველაზე ტიტულოვანი გუნდის მეტისმეტად წარუმატებელი სტარტი საიუბილეო ჩემპიონატში. ისე, დასაწყისი, მართლაც, მოულოდნელზე მეტი იყო: საწყის ხუთ ტურში ექვსი ქულა! სამაგიეროდ, მომდევნო ხუთ ტურში **რაინერ ცობელის** გუნდმა ოთხი მოიგო, ერთი ფრედ ითამაშა და „ვიტ ჯორჯიასა“ და „ზესტაფონს“ კვალშიც ჩაუდგა. „გაგრასთან“ მატჩი უაღრესად პრინციპული უნდა იყოს რაინერ ცობელისთვისაც - „დინამოს“ გერმანელ მწვრთნელს საქართველოს ჩემპიონატში დებიუტი ხომ ამ ახალგაზრდულმა გუნდმა ჩაუმწარა?!. ჰო, სწორედ პირველსავე ტურში მივხვდით ყველა, რომ უმაღლეს ლიგას ერთობ საინტერესო და საკუთარი ხელწერის მქონე გუნდი შეემატა; გუნდი, რომელსაც გამოცდილი და მოაზროვნე მწვრთნელი (ვლადიმერ ხაჩიძე) ჰყავს და ერთიმეორეზე პერსპექტიული ახალგაზრდა ფეხბურთელებიც თამაშობენ. რაღა თქმა უნდა, ძნელია ნამეტნავად ახალგაზრდული ასაკის „გაგრას“ ყველა მატჩში სტაბილური თამაში „მოსთხოვო“, თუმცა ერთი კი ფაქტია: ამ გუნდის გამოჩენით ჩემპიონატს გარკვეული პენი შეემატა!

**გია ტუხაშვილი**


ნიკა გელაშვილი

| ბომბარდირები | |
|---|---|
| ალექსიძე (ლოკომოტივი) | 6 |
| გელაშვილი (ზესტაფონი) | 6 |
| ვაწაძე (დინამო) | 6 |
| გაბედავა (გაგრა) | 5 |
| კიკნაძე (ბორჯომი) | 5 |
| ოდიკაძე (დინამო) | 5 |
| გ. თოდუა (მგლები) | 5 |
| კოშკაძე (სიონი) | 4 |
| კვარაცხელია (ვიტ ჯორჯია) | 4 |
| სამადაშვილი (მესხეთი) | 4 |
| ლომია (მგლები) | 3 |
| სპასოევიჩი (დინამო) | 3 |
| ცქიტიშვილი (ლოკომოტივი) | 3 |
| ლიპარტია (ვიტ ჯორჯია) | 3 |

| | სულ | | | | | | შინ | | | | | სტუმრად | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
| 1. ვიტ ჯორჯია | 10 | 6 | 3 | 1 | 15-7 | 21 | 3 | 0 | 1 | 8-3 | 9 | 3 | 3 | 0 | 7-4 | 12 |
| 2. ზესტაფონი | 10 | 6 | 2 | 2 | 13-6 | 20 | 4 | 0 | 1 | 8-2 | 12 | 2 | 2 | 1 | 5-4 | 8 |
| 3. დინამო | 10 | 6 | 1 | 3 | 20-10 | 19 | 3 | 1 | 0 | 13-4 | 10 | 3 | 0 | 3 | 7-6 | 9 |
| 4. ლოკომოტივი | 10 | 6 | 0 | 4 | 14-9 | 18 | 3 | 0 | 3 | 5-4 | 9 | 3 | 0 | 1 | 9-5 | 9 |
| 5. სიონი | 10 | 3 | 5 | 2 | 9-6 | 14 | 0 | 2 | 2 | 3-5 | 2 | 3 | 3 | 0 | 6-1 | 12 |
| 6. მგლები | 10 | 4 | 0 | 6 | 10-12 | 12 | 3 | 0 | 3 | 9-6 | 9 | 1 | 0 | 3 | 1-6 | 3 |
| 7. მესხეთი | 10 | 3 | 3 | 4 | 9-12 | 12 | 1 | 2 | 2 | 5-7 | 5 | 2 | 1 | 2 | 4-5 | 7 |
| 8. ოლიმპი | 10 | 2 | 6 | 2 | 7-7 | 12 | 1 | 4 | 0 | 2-1 | 7 | 1 | 2 | 2 | 5-6 | 5 |
| 9. გაგრა | 10 | 3 | 2 | 5 | 10-15 | 11 | 3 | 2 | 1 | 8-5 | 11 | 0 | 0 | 4 | 2-10 | 0 |
| 10. ბორჯომი | 10 | 2 | 4 | 4 | 10-19 | 10 | 1 | 2 | 2 | 4-6 | 5 | 1 | 2 | 2 | 6-13 | 5 |
| 11. სპარტაკი | 10 | 1 | 0 | 9 | 6-20 | 3 | 0 | 0 | 5 | 3-12 | 0 | 1 | 0 | 4 | 3-8 | 3 |

**დისკვალიფიცირებულნი**

**ბორჯომი**

გივი ქარქუზაშვილი, ლაშა ვაშაკიძე, ირაკლი კიკნაძე.

**ლოკომოტივი**

ლევან ჩაგელიშვილი, გიორგი დიაკვნიშვილი, ზაზა ზამთარაძე (მთავარი მწვრთნელი) ვერ დაჯდება სათადარიგო სკამზე.

**ზესტაფონი**

ჩასემი ერიკი.

**მგლები**

გიორგი გულორდავა

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გაზეთი ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-8[illegible]), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი [illegible] ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 5[illegible] (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთში გამოქვეყნებული მასალების სრულად ან ნაწილობრივ ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუმინეთი-საქართველო

## რევაზ ძოძუაშვილი

# რუმინეთთან რომ უნდა წაგვეგო, ზემოთ გადაწყდა

## რას ურჩევს ნაკრების ყოფილი თავკაცი კუპერს



**საქართველოს ნაკრებმა წლის ბოლო მატჩი რუმინეთში ჩაატარა. მართალია, თამაში ამხანაგური იყო, მაგრამ წაგება ყოველთვის უსიამოვნოა. საინტერესოა, რას ამბობს და რითი ხსნის ჩვენი ეროვნულის გუშინწინდელ მარცხს ნაკრების ყოფილი თავკაცი; რას ურჩევს კუპერს და როგორ უყურებს მომავალს. ამ და სხვა საინტერესო თემებზე რევაზ ძოძუაშვილს გავესაუბრეთ...**

**- ბატონო რევაზ, რითი ახსნით რუმინეთში ნაკრების წაგებას?**

- პროფესიონალის თვალით თუ შევაფასებთ რუმინეთი-საქართველოს მატჩს, მოსაწონი, აღსანიშნავი ბევრი არაფერი იყო. დასანანია, მაგრამ უფრო მეტი უარყოფითი შევნიშნე. უფრო გულდასაწყვეტი ის არის, რომ ნაკრების წინა და ამჟამინდელი თავკაცები ჯიუტად ერთ სტრატეგიას ირჩევენ. ვფიქრობ, ეს არასწორია.

**- რას გულისხმობთ?**

- თავის დროზე ტოპმიოლერმა გადაწყვიტა, ჩვენი ნაკრები შემტევ სტილში ეთამაშებინა. თუმცა შედეგებმა დაადასტურა (და ამას ბევრი სპეციალისტიც აღნიშნავდა) რომ შემტევი ტაქტიკა ჩვენი ნაკრებისთვის შესაფერისი არ იყო. კუპერი მეორე უკიდურესობაში გადავარდა, დაცვიდან კონტრშეტევებზე თამაში გადაწყვიტა. კუპერის ჩანაფიქრით, საქართველოს ნაკრები საკუთარ ნახევარზე უნდა ეთამაშოს მეტოქეს, ბურთი აართვას და კონტრშეტევით გაიტანოს. ეს რას მაგონებს? მოკრივე მუდმივად კუთხეში რომ დგას და მეტოქის შეცდომას ელის. კონტრშეტევაზე მოწინააღმდეგის გამოჭერა რამდენჯერმე მართლა შეიძლება, მაგრამ თავად თუ არ გადავიდა შეტევაზე, მაშინ? კუთხეში მდგომმა შესაძლოა, წაიფორხილოს, მეტოქისგან დარტყმა მიიღო, ნოკაუტში აღმოჩნდე. სწორედ ამიტომ, ტაქტიკის ცვლილებაა საჭირო. არც მთლად დაცვაში ჩაჯდომა და კონტრშეტევაზე აქცენტის აღება ვარგა, არც - მხოლოდ შეტევაზე ორიენტაციის აღება. ეს ორი ვარიანტი ჰარმონიულად უნდა იყოს შეზავებული.

**- მიგაჩნიათ, რომ კუპერის ტაქტიკა გამართლებული არ იყო?**

- რუმინელების კონტრშეტევაზე დაჭერა კუპერის ჩანაფიქრი იყო. თავდაპირველად ამან გაამართლა კიდეც - მარცვალაძემ გაიტანა და დავწინაურდით. თუმცა სამატჩო გეგმას ცვალებადი ხასიათი უნდა ჰქონოდა. კონტრშეტევები ეპიზოდურად უნდა გამოგვეყენებინა, რადგან ის შემადგენლობა, რომელიც ბუქარესტში გვყავდა, 90 წუთის განმავლობაში ამას ვერ შეძლებდა. ამ მოსაზრების ჭეშმარიტება საბოლოო შედეგმაც დაადასტურა. ერთი ტაქტიკა-სტრატეგიით თამაში, ფეხბურთის გუშინდელი დღეა. აღსანიშნავია, რომ კუპერი ძიებას განაგრძობს. ყურადღებით აკვირდება ფეხბურთელებს, როგორც ჩანს, ოპტიმალურ ვარიანტს ეძებს.

**- თქვენი აზრით რომელი სჯობს, გუნდი მოვარგოთ ტაქტიკას თუ კონტინგენტის მიხედვით შევიმუშაოთ სათამაშო გეგმა?**

- უმეტესად ტაქტიკურ სქემას მწვრთნელები შემადგენლობისა და მეტოქის მიხედვით არჩევენ, მაგრამ... ვფიქრობ, ჩვენს შემთხვევაში არც ერთ ვარიანტზე უარი არ უნდა ვთქვათ. იცით, რატომ? იმიტომ, რომ ჩვენი ფეხბურთელები ფიზიკური კონდიციებით არ გამოირჩევიან. ბუქარესტში ნაკრების უმრავლესობას ეროვნულ ჩემპიონატში მოასპარეზე ფეხბურთელები შეადგენდნენ. აშკარად გამოჩნდა, რომ მეორე ტაიმში გუნდი დაიღალა, რადგან ჩვენს პირველობაზე ფეხბურთელებს სათანადო კვება და აღდგენითი საშუალებები არ აქვთ.

**- ჩვენი ნაკრების მიერ დაცვაში დაშვებულ უხეშ შეცდომებს რითი ახსნით?**

- დაცვაში უხეში შეცდომები ორივე ტაიმში გვქონდა. რუმინეთის ნაკრებს წამყვანი ფეხბურთელები აკლდა, თორემ ამდენ შეცდომას ნამდვილად არ გვაპატიებდა, დიდი ანგარიშით წავაგებდით. პირველ ტაიმში მასპინძლებს სამი საგოლე მომენტი ჰქონდათ. მარცვალაძის გოლამდე ბურთი რომ გაგვეშვა, ვინ იცის, როგორი სცენარით წარიმართებოდა თამაში.

**- ამბობენ, ნაკრების მთავარი პრობლემა კვალიფიციური ფეხბურთელების სიმწირეაო...**

- ფეხბურთელებს მოძიება სჭირდებათ. რამდენიმე თვის წინ ვამბობდით, მეკარე არ გვყავს-თქო. არ გვყოლია მეკარე?! ლომაიას რომ არ ემარჯვა, ანგარიშს რუმინელები გახსნიდნენ. ჩვენს ნაკრებში მწვრთნელად რომ ვმუშაობდი, მაშინაც მესმოდა კადრების სიმწირეაო. მაშინაც დავდიოდით და ვეძებდით. ასე აღმოვაჩინეთ მენთეშაშვილი. ბევრი ამბობდა, ზურას ნაკრებში რა უნდაო?! დღეს რა ხდება? მენთეშაშვილი რომ არაა, ნაკრებს დანაკლისი ეტყობა. კუპერიც ამ გზას ადგას. კარგია, რომ ნაკრების კანდიდატებს სამშაბათობით ავარჯიშებს. ამ ვარჯიშებზე ფეხბურთელები ბევრს სწავლობენ. ერთი სიტყვით, ბულგარეთთან მატჩის შემდეგ იმედი მომეცა, მაგრამ რუმინეთთან ჩვენი ნაკრების თამაშმა ეს ოპტიმიზმი თითქმის სრულად გამიქრო.

**- თქვენ რას იზამდით კუპერის ადგილას?**

- ანალოგიურ ვითარებაში მეც ვიყავი, როცა ლატვიის ნაკრებს ვწვრთნიდი. თავდაპირველად 4-5 თამაში გამოვიყენე, ფეხბურთელების შესაძლებლობები მაინტერესებდა. მერე ყველაფერი ავწონ-დავწონე, გადაწყვეტილება მივიღე. ალბათ კუპერიც ასე უნდა მოიქცეს. ძიება არ უნდა შეწყვიტოს, მაგრამ აქცენტი შედეგზეც უნდა გაკეთდეს. მან უნდა გარისკოს და ნაკრების შემადგენლობა ეტაპობრივად შეცვალოს ახალი ფეხბურთელებით. შესაძლოა, ის სათანადოდ ჯერ კიდევ არ არის გარკვეული ჩვენი ფეხბურთის ნიუანსებში. გამოცდილი მწვრთნელებიც შეგვკრიბოს და ვისუბროთ, თუნდაც ვიკამათოთ. ხომ გაგიგიათ, ჭეშმარიტება კამათში იბადებაო. ტოპმიოლერი ქართველ მწვრთნელებს ერთხელ შეგვხვდა და მერე რამდენჯერმე საჯაროდ აღნიშნა, კმაყოფილი დავრჩი ქართველ მწვრთნელებთან საუბრით, ის შეხვედრა ძალზე სასარგებლო იყოო.

**- რუმინეთის წინააღმდეგ თქვენი ფორმაციის ნაკრებსაც მოუხდა თამაში, როცა შინ 0:2 წავაგეთ.**

- დავმარცხდით, მაგრამ ის თამაში უნდა წაგვეგო, ეს „ზემოთ" გადაწყვეტილი იყო...

**- ეს როგორ გავიგოთ?**

- ისე მოხდა, რომ ცუდ პერიოდში მოგვიწია მე და ცხონებულ დათო ყიფიანს ნაკრების მწვრთნელობამ. რუმინეთთან შინ უნდა წაგვეგო, რადგან მაშინ უფრო მეტად მართავდნენ და მანიპულირებდნენ ბნელი ძალები ჩვენს ფეხბურთს. მე და დათო ყიფიანს არაფრის შეცვლა შეგვეძლო.

**- ასეთ შემთხვევაში მწვრთნელებს ფეხბურთელებით აქვთ ხოლმე მანიპულირების საშუალება...**

- კი, ასეც ხდება ხოლმე, მაგრამ მაშინ ეს არ გამოვიდა. მწვრთნელები და ფეხბურთელები უბრალოები ვართ. წაგება ჩვენი ბრალი არ არის. ამ თემაზე ლაპარაკი არ მინდა. ქართული ფეხბუთის მესვეურებმა ისედაც ყველაფერი კარგად იციან. გულშემატკივრებიც მიხვდნენ, რაც მოხდა.

**დავით ცაბაძე**

---

სპეციალისტთა თვალით

**რუმინეთი-საქართველოს ამხანაგურ შეხვედრაზე აზრის გამოთქმა საქართველოს ნაკრების ყოფილ ფეხბურთელებსაც ვთხოვეთ. თბილისის „ამერის" მთავარი მწვრთნელი გიორგი ჩიხრაძე მცველი გახლდათ, 35-ე სკოლის დირექტორი არჩილ არველაძე კი თავდამსხმელი იყო. ჰოდა, ჩიხრაძე მეტწილად დაცვით ტენდენციებზე ლაპარაკობს, ხოლო არველაძე შეტევითზე...**

## არჩილ არველაძე

# დამწიოკებელი მაინც ვერ ვნახე



- მომეწონა ლევან კობიაშვილი. ნაკრების ბოლო მატჩებიდან გამომდინარე, ის მართლაც გამორჩეული გახლდათ. მთლიანად გუნდმა, 60 წუთის განმავლობაში, ნორმალურად ითამაშა დაცვაშიც და შეტევაშიც. კობიაშვილი რომ შეცვალეს, ჩვენს გუნდს ეს საგრძნობლად დაეტყო.

**- თავდასხმის თამაშს როგორ შეაფასებდით?**

- რატი ალექსიძემ თავით არაერთი ბურთი მოიგო და ეს კარგია, თუმცა ბურთის დაჭერა, რითიც, ასე ვთქვათ, გუნდის „ამოყვანას" შეძლებდა, გაუჭირდა. მეტს ველოდი ლევან მჭედლიძისგან, რომელიც მარცხნივ და მარჯვნივ მოძრაობდა, უკანაც იხევდა, მაგრამ მიმაჩნია, რომ მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, საჯარიმოში მიიღოს ბურთი.

**- ჰექტორ კუპერმა ისევ 4-3-3 განლაგებით ათამაშა გუნდი. ის ეძებს გარემარბებს და ამ პოზიციაზე ახლა ოთარ მარცვალაძე ათამაშა. მიგაჩნიათ, რომ კუპერმა უკვე მოძებნა ერთი ნამდვილი გარემარბი ჩვენი ნაკრებისთვის?**

- კუპერი მართალია, გარემარბები არ გვყავს. ძალიან გამიხარდა, რომ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ მარცვალაძე ნაკრებში დაბრუნდა და გოლიც გაიტანა. მაგრამ ჩემი აზრით, გარემარბის მთავარი ფუნქცია ის არის, რომ ფლანგებიდან დააწიოკოს მეტოქე. თუმცა რუმინეთთან მატჩში ასეთი რამ ვერ ვნახეთ. კარგა ხანია, საქართველოს ნაკრებს არ გამოსდის ფლანგებზე თამაში.

**- რუმინეთთან ნეგატიური უფრო მეტი იყო თუ პოზიტიური?**

- საქართველოს ნაკრებს, როგორც გუნდს, თავისი სახე ჰქონდა, ფეხბურთელებმა იცოდნენ, როგორ ემოძრავათ... მოკლედ, მონახაზი აშკარად ჩანდა, მაგრამ როგორც კი გოლი გავუშვით, გუნდი აირია. ცუდად იმიტომ იმოქმედა კობიაშვილის გასვლამ, რომ მოედანზე აღარავინ დარჩა ისეთი, ვინც თამაშს საკუთარ თავზე აიღებდა. ერთიც უნდა ვთქვა - ძალიან გამიხარდა, რომ ლომაიამ კარგად ითამაშა.

---

## გიორგი ჩიხრაძე

# ჩვენი მცველები მეკარესთან ძალიან ახლოს იყვნენ და ეს უკვე შეცდომაა



- რაკი ამხანაგური თამაში იყო, მწვრთნელმაც ნაკრების ბევრ კანდიდატს მისცა თავის გამოჩენის შანსი. პირველი გოლი დაცვის უხეშ შეცდომას მოჰყვა - როცა მარჯვნიდან ჩაწოდება კეთდებოდა, ჩვენი სამი მცველი ერთ ხაზზე განლაგდა, თითქოს გამოეთიშნენ თამაშს, ერთმანეთს არ უკარნახეს.

**- ასეთ დროს რა უნდა ქნან მცველებმა - ბურთს უყურონ თუ მეტოქის ფეხბურთელებს?**

- მცველმა პოზიცია ისე უნდა შეარჩიოს, რომ ბურთსაც უყუროს და მეტოქეებსაც. თუმცა ყველა სიტუაციაში შეუძლებელია ამის გაკეთება და როცა არჩევანზე მიდგება საქმე, ჯობია მაინც მეტოქის ფორვარდებისგან ჰქონდეთ ყურადღება. იმ მომენტში რიცხვობრივი უპირატესობა ჩვენს მხარეს იყო, მაგრამ დაცვაში მაინც უხეში შეცდომა დავუშვით, მცველებმა არასწორად ითამაშეს - ორმა „სტოპერმაც" და მარჯვენა მცველმაც. ცხადია, კალაძე, ხიზანიშვილი და ასათიანი რომ გვყოლოდა, ჩვენი დაცვა უფრო საიმედო იქნებოდა. იმ ფეხბურთელებს, რომლებიც პირველი გოლისას შეცდნენ, სანაკრებო დონეზე საკმარისი გამოცდილება ჯერ არ აქვთ.

**- როგორ მიგაჩნიათ, რომელმა ფეხბურთელებმა უნდა ითამაშონ ჩვენს ნაკრებში განაპირა მცველებად, როგორია ოპტიმალური ვარიანტი?**

- ლაშა სალუქვაძე არ არის გამოკვეთილი განაპირა მცველი, თუმცა „რუბინში" უწევს ამ პოზიციაზე თამაში. მარჯვნივ გვყავს უჩა ლობჟანიძეც, მაგრამ მაღალ დონეზე სტაბილურად თამაში გამოუცდელი, ახალგაზრდა ფეხბურთელისთვის პრობლემურია. ვფიქრობ, თუ დაცვის ცენტრში კალაძე და ასათიანი იქნებიან, მარჯვენა მცველად ხიზანიშვილმა უნდა ითამაშოს, და ესეც ძირითადად იმ შემთხვევაში, როცა სტუმრად ვთამაშობთ და განაპირა მცველს შეტევა დიდად არ მოეთხოვება. მარცხენა მცველად კობიაშვილი იქნებოდა საუკეთესო ვარიანტი, თუმცა ნაკრებს ის ნახევარდაცვის ცენტრშიც ძალზე სჭირდება.

**- რუმინეთთან მეორე გაშვებულ გოლზე რას იტყოდით?**

- ჩვენი მცველები მეკარესთან ძალიან ახლოს იყვნენ და ეს უკვე შეცდომაა. ილია კანდელაკი კი უბრალოდ მზად არ აღმოჩნდა ბურთის მოსაგერიებლად და, ფაქტობრივად, მეტოქეს პასი მისცა. რაც არ უნდა იყოს, დიდი არჩევანი არ გვაქვს და რუმინეთთან ნათამაშებ ფეხბურთელებს, ვფიქრობ, კიდევ მიეცემათ სანაკრებო შანსი.

**დავით თავართქილაძე**

ერთი კვირის ათასი წვრილმანი

დავით თავართქილაძის რუბრიკა

# მიშა, ანუ მიკა

## ზეს ნარატ ნენ ჰაიდარაკუმენ რესპუბლიკა



ისეთები, როგორიც შენ ხარ, არცხვენენ რესპუბლიკას

დიდად მნიშვნელოვანი ოთხშაბათი იყო 19 ნოემბერი. დიეგო მარადონამ პირველად უმწვრთნელა არგენტინის ნაკრებს, ინგლისისა და გერმანიის დიდ დაპირისპირებაში ფაბიო კაპელოს ნაწრთობმა ალბიონელებმა იმარჯვეს...

ფეხბურთში ხანდახან ამხანაგური მატჩებიც დიდად მნიშვნელოვანია, საქართველოს ნაკრებისთვის კი ამხანაგური თამაში ყოველთვის მნიშვნელოვანია და ასე იყო 19 ნოემბერსაც.

ამ მატჩის მნიშვნელობა რამდენიმე საკითხს მოიცავდა - როგორ დაასრულებდა ჩვენი ეროვნული გუნდი 2008 წელს, როგორ ითამაშებდა კახა კალაძის გარეშე, როგორ ითამაშებდა ბულგარეთთან იმედისმომცემი მატჩის შემდეგ... და საერთოდ, როგორ ითამაშებდა.

ყველაფერი ეს იმიტომ გახლდათ განსაკუთრებული მნიშვნელობის, რომ ქართულ ფეხბურთს მხოლოდ ნაკრებით თუ შეუძლია თავის მოწონება, სხვა შანსი არ გააჩნია - ეს იყო ალბათ მთავარი მნიშვნელობა 19 ნოემბერს რუმინეთთან შეხლისა.

და თუ რატომ არ გააჩნია სხვა შანსი, ამ ცოტა ხნის წინ ამაზე ერთხელაც ჩავფიქრდი. მეზობელ სომხეთში რომ საკლუბო ფეხბურთი მოლონიერდა, ადრეც ვიცოდით, არც ის არის ახალი ამბავი, ერევნის „მიკაში" მთავარ მწვრთნელად ივო შუშაკის დანიშვნას რომ აპირებენ. „მიკა" ერთი სომეხი ბიზნესმენის გუნდია, რომელსაც მიხეილი, ანუ მიშა ჰქვია და თავის რამერუმეებს ამიტომაც არქმევს „მიკას". მოკლედ, „მიკა" სომხეთში მხოლოდ საფეხბურთო გუნდს როდი ჰქვია. მიკას, ანუ მიშას მთავრობამ უთხრა, საფეხბურთო კლუბი იყოლიეო და ასე შეიქმნა „მიკა".

სომხეთი ჩვენზე პატარა ქვეყანაა, არც ნავთობი აქვს ბევრი და არც ოქრო-ალმასი, რუსეთიდან ძალიან ბევრ რამეს ეზიდება საქართველოს გავლით, ფოთის პორტიც მნიშვნელოვანი არტერიაა სომხეთისთვის, რომელიც დემოკრატიის მაღალი ხარისხით ვერა, მაგრამ ჩვენზე ბევრად უკეთესი საფეხბურთო მეურნეობით კი მოიწონებს თავს.

ჩვენს ძველ მეგობარ შუშაკს იქ „მიკას" ვიცე-პრეზიდენტი ლევან ნოდია ეპატიჟება. ცხონებული გივი ნოდია შუშაკთან მეგობრობდა და ცხადია, მისი ძმაც დიდად ენდობა ივოს. სომხური კლუბები ტოპმიოლერსა და კუპერს ვერ გასწვდებიან, შუშაკის ჯამაგირს კი უპრობლემოდ გადაიხდიან.

იყო დრო, საქართველოში რამდენიმე კლუბს შეეძლო მწვრთნელისთვის ისეთი ხელფასის გადახდა, ბადრი პატარკაციშვილის „დინამოში" რომ უხდიდნენ შუშაკს. ახლა სომხეთში ყველაზე ცუდი ფეხბურთელის ყველაზე ცუდი ხელფასი ათასი დოლარია, „დინამოში" კი ამოდენა ჯამაგირი ქართველთაგან ერთი-ორს თუ ექნება. დრო მალე გავიდა და ბევრი რამ შეიცვალა, ოღონდ, არა - ქართული კლუბების სასიკეთოდ.

„ზეს ნარატ ნენ ჰაიდარაკუმენ რესპუბლიკა" - ისეთები, როგორიც შენ ხარ, არცხვენენ რესპუბლიკას - „მიმინო" ყველას უნახავს საქართველოშიც და სომხეთშიც. რესპუბლიკას კი აქაც არცხვენენ და იქაც. განსხვავება ისაა, რომ მიშა, ანუ მიკა, იქ თავისი ჯიბიდან იხდის მილიონებს ფეხბურთისთვის და ალბათ სჯერა, რომ თავის ქვეყანას ასე სჭირდება. ის არ არის ისეთი, ვინც „ჰაიდარაკუმენ რესპუბლიკა". ერევანზე ისიც შევიტყვეთ, ქალაქში ოცდაათამდე სტრიპტიზბარიაო. მიუხედავად იმისა, რომ სექსი ზრდის შრომის ნაყოფიერებას, სტრიპტიზბარების მხრივ ჩვენი ჩამორჩენა, ასე თუ ისე, ასატანია, ფეხბურთი კი სულ სხვაა, ეროვნული მნიშვნელობის საკითხია. ალბათ, უკვე შეგუებულებიც კი ვართ იმას, რომ საბჭოთა კავშირის ყოფილი რესპუბლიკებიდან ყველაზე ცუდად საქართველოში ცხოვრობს ხალხი და რომ ყველაზე ცუდად ჩვენს საფეხბურთო კლუბებს აქვთ საქმე.

ინციდენტის შემდეგ

ინტერვიუ ლაშა სილაგავასთან

# გინებას ალბანელს კი არა, ქართველსაც არ ვაპატიებ

## რატომ არ ეხალისებათ ალბანელების მსაჯობა?



ლაშა სილაგავა

როგორც ვწერდით, 19 ნოემბერს ბაქოში აზერბაიჯანისა და ალბანეთის ნაკრებთა ამხანაგური მატჩი კინაღამ ჩაიშალა. შესვენების შემდეგ ალბანელები მოედანზე გასვლას არ აპირებდნენ, ისინი არბიტრის გადაწყვეტილებებით იყვნენ აღშფოთებულნი. ეს არბიტრი კი ლაშა სილაგავა გახლდათ. ქართველმა რეფერიმ პირველი ტაიმის ბოლო წუთზე სტუმართა მცველი ელვინ ბექირი გააძევა, რამაც ალბანელები განარისხა. უკმაყოფილებას ვერ ფარავდა მათი ჰოლანდიელი მწვრთნელი არი ჰაანიც...

გუშინდელ აზერბაიჯანულ მედიაში ჟურნალისტებმა შესვენებისას მომხდარი ამბები დეტალურად გაამხილეს. მოკლედ, პირველი ტაიმის ბოლო წუთზე ლაშა სილაგავამ ალბანელი ბექირი გააძევა. ალბანეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ალბერტ დუკას ეს არ მოეწონა და შესვენებისას მსაჯთა ოთახში შეჭრა გადაწყვიტა. აზერბაიჯანული ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ელხან მამედოვმა სტუმარს სთხოვა, ეს არ გაეკეთებინა. დუკამ თავისი არ დაიშალა, ოთახში შეიჭრა და სილაგავასთან სიტყვიერი შეხლა-შემოხლა მოუვიდა. ცხადია, ქართველ არბიტრს ალბანელი ჩინოსნის საქციელი არ მოეწონა და მამედოვს ბექირის გაძევების მიზეზი აუხსნა. როგორც გაირკვა, ალბანელმა სილაგავას რუსულად შეაგინა და წითელი ბარათიც დასტყუა...

დუკამ მსაჯთა ოთახი დატოვა, მაგრამ იქვე განაცხადა, რომ ალბანეთის ნაკრები მეორე ტაიმში მოედანზე არ გავიდოდა. თუმცა, ეტყობა, მალევე ყველაფერი აწონ-დაწონა და თამაში განახლდა...

დუკა არაერთხელ ჩავარდნილა (რბილად რომ ვთქვათ) უხერხულ ვითარებაში. ეჭვი ჰქონდათ, რომ ის კორუფციაში იყო გარეული. ამან მთავრობასა და ალბანეთის ფედერაციას შორის სერიოზული დაპირისპირება წარმოშვა. ხელისუფლების ინიციატივით, ფედერაციის ხელახალი არჩევნები ჩაატარეს, უეფამ კი ამის გამო ალბანეთის ყველა ნაკრები მისი ეგიდით გასამართი ტურნირებიდან მოხსნა. შემდეგ ფედერაციამ მთავრობასთან ურთიერთობები მოაგვარა და უეფამ სანქციები გააუქმა...

თბილისში დაბრუნებულ ლაშა სილაგავას მომხდარის შესახებ ვესაუბრეთ...

**- თქვენმა მსაჯობამ დიდი ხმაური გამოიწვია. რა მოხდა რეალურად?**

- ჯერ გეტყვით, ეს ბექირი ვინ არის. უკვე მეოთხე წელია, დონეცკის „მეტალურგში" თამაშობს და რუსული იცის. პირველი ტაიმის მიწურულს ისე გამომწვევად შემომხედა, მივხვდი, რაღაცის თქმას აპირებდა და... შემაგინა. წესით, ადამიანი, მხოლოდ თავის ენაზე იგინება, მან კი უცებ ალბანური „დაივიწყა", შემომხედა და რუსულად შემაგინა. ვითომ შემთხვევით გააკეთა ეს? ასეთი ზღაპრის არ მჯერა, შეგნებულად ცდილობდა ჩემს პროვოცირებას და პასუხიც მიიღო. გინების გამო საქართველოს ჩემპიონატშიც ბევრი გამიგდია მოედნიდან და ალბანელისთვის ვითომ რატომ უნდა შემერჩინა?

**- აზერბაიჯანელმა ფეხბურთელმა ელვინ მამედოვმაც თქვა - მსაჯი გვემხრობოდაო...**

- არ მაინტერესებს, ვინ რას ამბობს. ერთი ის ვიცი, რომ საკუთარ თავთან მართალი ვარ. მთელი დავა გამოიწვია წითელმა ბარათმა და ბევრი ვერ მიხვდა, რატომ გავაგდე ბექირი. მერე ავუხსენი ალბანეთის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელს, რომ მატჩის ჩაშლა არ შეიძლებოდა. ისე, მთელმა მსოფლიომ იცის, რომ ყველაფერს მაინც მსაჯს აბრალებენ... რუსულად მაგინებდა და „ჩამეყლაპა"? რა, ტყუილად გავაძევე? თუ მომეჩვენა ან მომესმა? ყველამ ყველაფერი მშვენივრად იცის. ამიტომაც ჩუმად იყვნენ მეორე ტაიმში, ერთი ზედმეტი სიტყვაც არ უთქვამთ. მარტო ბექირი არ გამიძევებია გინებისთვის. „ზესტაფონი"-„დინამოს" მატჩში ლევან ხმალაძეს ვუჩვენე წითელი ბარათი, მანამდე, „სიონის" მწვრთნელობისას, კახა ცხადაძე გავაძევე... და კიდევ ბევრი სხვა. გინებას ქართველს არ ვპატიობ და ალბანელს მოვეფერებოდი?! ამიხსენით, ამხანაგურ მატჩში ვის რაში სჭირდებოდა მასპინძლის მხარდაჭერა? ეს აბსურდია!

**- ყველაზე რთულად სამსაჯო რომელი ქვეყნის გუნდები და ნაკრებებია?**

- რა თქმა უნდა, ალბანელები და ამას გუშინწინდელი ამბების გამო არ ვამბობ. სხვათა შორის, ანდორაა არანაკლებ რთულად სამსაჯო. უმთავრესად, მოყვარულთა გუნდები ჰყავთ და საქმეშიც ნაკლებად ერკვევიან, მუდამ პრეტენზიები აქვთ. ერთი ანდორელი ფეხბურთელიც მყავს გაძევებული. მოკლედ, არ მეშლება ეს საქმე (იცინის).

**- ერთი სიტყვით, ყველამ უნდა გაიგოს, რომ ლაშა სილაგავა გინებისთვის არავის ინდობს...**

- ნამდვილად არ მსიამოვნებს ფეხბურთელის გაძევება. სხვათა შორის, ვიცი, რომ ალბანელებს თავიდანვე არ ესიამოვნათ, ამ მატჩზე რომ დამნიშნეს.

**- რატომ? ადრეც გაუგდეთ ფეხბურთელი?**

- არა, უბრალოდ, აზერბაიჯანის მეზობელი ქვეყნიდან რომ ვიყავი, ეს არ ესიამოვნათ.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერი

ბელარუსი

# კვარაცხელია და დუბლლეგიონი



ბელარუსის უმაღლესი ლიგა გასულ უიკ-ენდზე დასრულდა. მე-18 ჩემპიონატში ტიტული ბორისოვის ბატე-მ მოიპოვა 67 ქულით. გამარჯვებულმა ბელარუსის ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე წარმატებული კლუბი - „დინამო" 5 ქულით ჩამოიტოვა. ზაფხულის ბოლოს ბატე-ში 21 წლის ნახევარმცველი **ლაშა დეკანოსიძე** გადავიდა. კლუბის ხელმძღვანელობამ ის საჩემპიონთალიგო განაცხადშიც შეიყვანა, მაგრამ... მას ერთხელაც არ მოუწია ძირითად გუნდში თამაში. ლაშამ დუბლშემადგენლობაში 8-ჯერ მოირგო ბატე-ს ყვითელი მაისურა. იმედია, ახალი სეზონიდან ქართველი მთავარ გუნდშიც შეძლებს ადგილის დამკვიდრებას.

მინსკის „მტზ-რიპოში" თამაშობდა ბელარუსის საუკეთესო ქართველი ლეგიონერი **გივი კვარაცხელია**, რომელიც მინსკში ლიტვური „კაუნასიდან" გადავიდა. კვარაცხელია უმალ იქცა „მტზ-რიპოს" ლიდერად და კაპიტნადაც, მაგრამ გუნდმა მიზანს ვერ მიაღწია - ბატე-ს ტიტული ვერ წაართვა. ბოლოს, **კვარაცხელია** და კომპანიამ ვერცხლის მედლებიც დათმო და 57 ქულით ჩემპიონატი მესამე ადგილზე დაამთავრა. „მტზ-რიპომ" უეფას თასის საგზური მოიპოვა. ის ბატე-ს თანამეგობრობის თასზე შეცვლის. კვარაცხელიამ 20 თამაშში 6 გოლი გაიტანა. „პრესბოლის" საშუალო შეფასება სეზონში - 5,13 ქულა. „მტზ-რიპოს" დუბლებში ნახევარმცველი **ირაკლი მაისურაძე** ირჯებოდა.

ევროთასების საგზურს ვერ შესწვდა სოლიგორსკის „შახტიორი", რომლის შემადგენლობაში ზაფხულის მერე **რომან გოგინაშვილი** გადავიდა. ის და ფორვარდი **გია თოდუა** ბრესტის „დინამოში" ირიცხებოდნენ. შარშან მათ პირველ გუნდშიც დაიმკვიდრეს ადგილი, მაგრამ ახალი სეზონიდან კლუბში **ვლადიმირ გევორქიანის** მისვლის შემდეგ ქართველები დუბლებში აღმოჩნდნენ. თოდუამ გაცლა და საქართველოში თამაში არჩია, გოგინაშვილმა კი ლეგიონერის სტატუსის შენარჩუნება შეძლო. ის სოლიგორსკის „შახტიორმა" მიიწვია. სამწუხაროდ, 24 წლის ნახევარმცველმა ვერც „შახტიორის" პირველ გუნდში შეძლო ფეხის მოკიდება, დუბლების ჩემპიონატში კი 6 გოლი გაიტანა. „შახტიორი" 51 ქულით მეოთხე ადგილზე გავიდა. გოგინაშვილმა „შახტიორის" პირველ გუნდში ორი თამაში გამართა, „დინამოში" - 4.

ოთხი გავარდნილი კლუბიდან სამში ქართველი ლეგიონერი თამაშობდა. უმაღლესი ლიგა დატოვეს **გია ჭედიას** „ტორპედომ" (31 ქულა), გოლკიპერ **ვლადიმერ ზუხბაიას** „ლოკომოტივმა" (25) და **დიმიტრი გერგიშვილის** „სავიტმა" (21). ამათგან, თავი უკეთ ფორვარდმა ჭედიამ წარმოაჩინა. ჟოდინოელთა 11 ნომერი სეზონის პირველ ნახევარში ხშირად ხვდებოდა შემადგენლობაში, მეორეში კი - შედარებით ნაკლებად. დუბლების ჩემპიონატში მან სეზონში 8 გოლი გაიტანა. პირველ გუნდში ჭედიამ ოც შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა, მაგრამ გოლი არ გაუტანია. „პრესბოლის" შეფასება - 4,54. ზუხბაიას მხოლოდ ერთხელ ანდვეს მინსკის „ლოკომოტივის" კარი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ლეგიონერი

# კალაძემ, არანაირი პროკურატურაო



გუშინდელ ნომერში უცხოურ წყაროებზე დაყრდნობით ვწერდით, თითქოს **კახა კალაძე**, **ანდრეი შევჩენკო** და **ანდრეი გუსინი** უკრაინის პრეზიდენტ **ვიქტორ იუშჩენკოს** მოწამვლის საქმეზე გამოძიებამ დასაკითხად გენერალურ პროკურატურაში დაიბარა. გუშინ ამ ინფორმაციას კალაძე გამოეხმაურა:

*„ეს მხოლოდ ჭორია და მეტი არაფერი. ჩემთვის არავის მოუმართავს. არც ოფიციალური უწყება მომსვლია უკრაინის გენერალურ პროკურატურაში დაკითხვასთან დაკავშირებით. ასე რომ, ინფორმაცია ჩემი დაკითხვის შესახებ უბრალოდ, არასწორია".*

**დავით ცაბაძე**

ზესტაფონი

# გეგუჩაძე უკვე დაინიშნა?

**გუშინ** გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს „ზესტაფონის" მთავარ მწვრთნელად **გია გეგუჩაძე** უკვე ოფიციალურად დაინიშნა.

ორიოდე დღის წინ გაუწყებდით, რომ **თემურ მახარაძემ** საკუთარი სურვილი კლუბის პრეზიდენტ **ილია კოკაიას** გააცნო - მწვრთნელობის 31-წლიანმა ტვირთმა დამღალა და იქნებ, შემცვლელი მომიძებნოთო. ინფორმაცია სანდო წყარომ გაგვანდო და „ლელოსთან" ინტერვიუში თავად მახარაძემაც აღიარა, რომ ყოველდღიური სტრესისგან დასვენება სურს...

ჰოდა, იმას მოგახსენებდით, რომ გუშინ გეგუჩაძის დანიშვნის ინფორმაცია გავრცელდა - კოკაიამ უკვე ბეჭედი დაუსვა ამ ამბავსო. „ზესტაფონის" პრესატაშე **სერგო ფუტკარაძემ** ინფორმაცია უარყო: *„თუ დამიჯერებთ, ეს მცდარი ცნობაა. დღეს და გუშინ გუნდი თემურ მახარაძემ ავარჯიშა. ჯერჯერობით, ამ მხრივ სიახლე არ არის".*

დავადგინეთ, რომ „ზესტაფონის" პრეზიდენტი კოკაია უცხოეთში ბრძანდება და ბუნებრივია, ასეთ პრინციპულ გადაწყვეტილებას მხოლოდ საქართველოში დაბრუნების შემდეგ მიიღებს. თუმც ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ გეგუჩაძის მოსალოდნელი დანიშვნა ჭორია. მოლაპარაკებები დასკვნით სტადიაზეა და მალე ყველაფერი ოფიციალურად გაცხადდება.

თუკი რამე არ შეიცვალა, „ზესტაფონი" პირველი ქართული კლუბი გახდება, რომელიც დამსახურებულ მწვრთნელს მადლობით გააცილებს და მის მიერვე რეკომენდებულ შემცვლელს დანიშნავს. სამწუხაროდ, რევოლუციების მოყვარულ ქართველებს მწვრთნელების გაპანღურება უფრო გვეხერხება და ზესტაფონური პრეცედენტი ამიტომაც გვახარებს. არც ის გვახსენდება, უზრუნველყოფილი კლუბიდან მწვრთნელი საკუთარი ნებით და თანაც, პრეზიდენტთან შეთანხმებით წასულიყოს. ჩვენი ინფორმაციით, მახარაძე „ზესტაფონს" არ დატოვებს. ის კლუბში ერთ-ერთ ხელმძღვანელ პოსტს ჩაიბარებს.

**მერაბ მამულაშვილი**



სავარაუდო ტრანსფერი

# დავით მუჯირი ლოკომოტივიდან მიდის?

რუსულ პრემიერლიგაში ჩემპიონატის დასრულებამდე ერთი ტური და დარჩა. შესაბამისად, სატრანფერო პერიოდიც მალე დაიწყება. თუმცა ამ თემაზე სპეკულაციები უკვე აგორებულია. რუს მიმომხილველთა ანალიზში ჩვენთვის საინტერესო დეტალი შევნიშნეთ:

*„უცხოელ ფეხბურთელებზე დაწესებული მკაცრი ლიმიტის შესამსუბუქებლად, „ლოკომოტივი" მზადაა, რამდენიმე ლეგიონერს შეელიოს. კლუბის მესვეურები ამას არა თუ პრივატულ საუბრებში, თვით პრესაში კი ირიბად აჟღერებენ. მართალია, მათ ლეგიონერთა ვინაობა არ დაუკონკრეტებიათ, მაგრამ კულისებიდან გამოჟონილი ინფორმაციების თანახმად, ასეთ ლეგიონერთა რიცხვში პელიცოლი, სპაჰიჩი, კოჩიში, გურენკო, მუჯირი, პერეირა, ტრაორე, ოდემვინგი, ფინინიო ფიგურირებენ"* - ნათქვამია ერთ-ერთ წერილში, რომლის სათაურია - „მასიური წასვლა". იქვე, ასეთი სიტყვებიც გვხდება - „გლობალური მიგრაცია"...

როგორც ხედავთ, **დავით მუჯირიც** იმ ფეხბურთელთა სიაშია, რომლებიც რკინიგზელებმა, შეიძლება, ტრანსფერზე დააყენონ. ამაში ნამდვილად არის სიმართლის მარცვალი, რადგან „ლოკომოტივის" თავკაცი **რაშიდ რახიმოვი** მუჯირს არ სწყალობდა. სამწუხაროდ, გუშინ დავითთან დაკავშირება ვერ მოხერხდა. ვნახოთ, დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას...

**დავით ცაბაძე**



დავით მუჯირი

ინტერვიუ — ოთარ მარცვალაძე

# დუბლებში თამაში არავის გვიხარია

## მარცვალაძე კუპერის სისტემას გაეცნო



**ოთარ მარცვალაძე** ეროვნულ ნაკრებში ღირსეულად დაბრუნდა. ბუქარესტში, საკმაოდ უფერულად მოთამაშე ქართულ გუნდში, ის აქტიურობით გამოირჩეოდა და, რაც მთავარია, „ჯვაროსანთა" ერთადერთი გოლიც მან მიითვალა. შარშან, უკრაინასთან თამაშის შემდეგ, მას ნაკრებში აღარ უთამაშია. ტრავმირებულს სეზონი გაუცდა და ახლა მხოლოდ კიევის „დინამოს" დუბლებში თამაშობს...

თუმცა ექტორ კუპერი მისით მაინც დაინტერესდა. ძნელი სათქმელია, რუმინეთთან მატჩის შემდეგ რა თვალით შეხედა არგენტინელმა 24 წლის ფორვარდს, ეს უფრო შემდეგი სანაკრებო მატჩის წინ გამოჩნდება, როცა კუპერი გამოძახებულთა სიას ჩამოწერს.

მანამდე კი მარცვალაძეს დავუკავშირდით და სანაკრებო თემებზე ვესაუბრეთ...

**- ნაკრებში გოლით დაბრუნებას ნებისმიერი თავდამსხმელი ისურვებდა. თავად თუ ხარ საკუთარი თამაშით კმაყოფილი?**

- კმაყოფილი? დიდი პაუზა გამოვიდა და ამის შემდეგ გოლით დაბრუნება, მგონი, ცუდი შედეგი არ არის. თუმცა, მთლიანობაში, კმაყოფილი ვერ ვიქნები, რადგან თამაში წავაგეთ. ცხადია, ბუქარესტიდან კიევში ბედნიერი ვერ დავბრუნდებოდი.

**- მატჩამდე ან მის შემდეგ თუ ესაუბრე კუპერს?**

- დიახ, თამაშამდე, შეკრების დროს დამიძახა და ამიხსნა, რას ითხოვდა გუნდისგან და კონკრეტულად - ჩემი პოზიციის მოთამაშეებისგან, რა ტაქტიკური სქემით სურდა თამაში და ასე შემდეგ. რა თქმა უნდა, მე არ ვიცოდი, კუპერი რა სისტემის მიმდევარია. მწვრთნელებს განსხვავებული მიდგომა აქვთ და მეც მაინტერესებდა, რას ითხოვდა ჩვენი არგენტინელი დამრიგებელი. დეტალებში ამიხსნა, რა მევალებოდა, როგორ და რანაირად ელოდა ჩემგან შეტევის გაძლიერებას...

**- საერთოდ, საქართველოს ნაკრებმა ცუდი შთაბეჭდილება დატოვა, მეორე ტაიმში გუნდი, ფაქტობრივად, დადგა. რა იყო მიზეზი?**

- პირადად მე რაც მომივიდა, იმას გეტყვით. მეორე ტაიმში ძალიან დავიღალე, გამიჭირდა და ამიტომაც შემცვალეს. გუნდის კი რა გიხრათ, რუმინელებს დასაკარგი არაფერი ჰქონდათ, შინ წაგებას არ აპატიებდნენ და ჩვენ, შეძლებისდაგვარად, თავს ვიცავდით.

**- დაცვაში თამაში უკეთ არ შეგვიძლია?**

- როგორ არ შეგვიძლია, მაგრამ ძლიერი გუნდის ჩამოყალიბებას დრო სჭირდება. ამხანაგურ შეხვედრაში მთავარი არა მოგება, არამედ, ოფიციალური მატჩისთვის სათამაშო სქემების დახვეწა, მთლიანად გუნდის მომზადება და შეთამაშებაა. რასაც მწვრთნელი გვთხოვს, იმ სქემასა და თამაშის სტილს უცებ ვერ ავიტაცებთ. მე მაინც მგონია, რომ ამის დრო მალე დადგება, უკეთ შევთამაშდებით, უბრალოდ, როგორც გითხარით, დროა საჭირო. მთავარია, რომ ჩვენს ნაკრებში საამისო პოტენციალი არსებობს.

**- არ მგონია, კიევის „დინამოს" დუბლებში თამაშით კმაყოფილი იყო...**

- ამით ვერც ერთი თავმოყვარე ფეხბურთელი ვერ იქნება კმაყოფილი. 24 წლის მოთამაშისთვის დუბლებში თამაში ნამდვილად არასასიამოვნოა. 17-18 წლის ბიჭი არ ვარ, მინდა, ძირითადი შემადგენლობის წევრად ვითვლებოდე... სამწუხაროდ, ტრავმებმა და კიდევ სხვა ნიუანსებმა ჩემზე ძალიან ცუდად იმოქმედა, უკან დამხია.

**- კიევში როდემდე რჩები?**

- კონტრაქტი მხოლოდ ორი წლის შემდეგ მიმთავრდება. ჯერ კონკრეტული არაფერია, საინტერესო წინადადებაც არ მაქვს, მაგრამ მთლად უიმედოდაც არ ვარ. სამწუხაროდ, იმედაშვილი და ალადაშვილიც ანალოგიურ სიტუაციაში არიან. ყველას გვსურს თამაში და ვიცით, რომ ეს შეგვიძლია...

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ — მიხეილ ბარაბაძე

# თურმე, ჰოლანდიისთვის მამზადებენ...

## ბარაბაძეს პირადი მწვრთნელი დაუნიშნეს

**20 წლის თავდამსხმელი მიხეილ ბარაბაძე დანიის მეორე დივიზიონის ჰიკ-ში ვარჯიშობს და გაცილებით ძლიერ ლიგასა და კლუბში გადასასვლელად ემზადება. აქამდე ცნობილი იყო, რომ ზამთარში მას დანიის უმაღლესლიგელი „ესბიერგი" ელოდა, თუმცა არაა გამორიცხული, სულ სხვა მიმართულებით წავიდეს...**

**- როგორც გავიგეთ, ფიზმომზადებაში პირადი მწვრთნელი დაგინიშნეს...**

- დიახ, ასეა. ჩემი მენეჯერი დანიელია და მპირდება, რომ იანვრიდან უკეთეს კლუბში ჩავირიცხები. თურმე, რამდენიმე კლუბს აქვს სერიოზული ინტერესი. პირადი მწვრთნელი მან და კლუბის მთავარმა სპონსორმაც იმიტომ დამინიშნეს, რომ ახალი გუნდისთვის ყველანაირად მზად ვიყო. ეს მწვრთნელი კი დილის 7 საათიდან მავარჯიშებს, პირდაპირ წელში გამწყვიტა... ჯერ არ მეუბნებიან, სად გადავალ...

**- დანიის უმაღლესი დივიზიონის „ესბიერგში" აღარ გელოდებიან?**

- ინტერესი „ესბიერგსაც" აქვს და კიდევ სხვა ქვეყნის კლუბებსაც. დასამალი არ არის - მენეჯერმა მითხრა, რომ დანიის უმაღლეს დივიზიონში მოასპარეზე „ვაილეში" ერთი კვირით ვივარჯიშებ. მის მწვრთნელს გასულ სეზონში მოვეწონე. პირველ ლიგაში შევხვდით, გოლი გავიტანე და ძალიან კარგადაც ვითამაშე. მატჩის შემდეგ მწვრთნელი მოვიდა და შემაქო, თან მკითხა - ჩვენთან გადმოსვლის სურვილი ხომ არ გაქვსო? მაშინ „ესბიერგის" იმედი მქონდა და უარი ვუთხარი. მერე „ვაილე" უმაღლესში გადავიდა, ჩვენ კი დაბლა დავეშვით, თუმცა იმ მწვრთნელს მაინც ვახსოვდი. ახლახან, ჩემს მენეჯერს ელაპარაკა, სულ რაღაც ორი დღის ამბავია...

**- ამდენი მოგზაურობის შემდეგ, ჰიკ-ში სავარჯიშოდ დრო თუ გრჩება?**

- რა თქმა უნდა.

**- მერედა, გუნდში ასე მარტივად უყურებენ, კონტრაქტიანი ფეხბურთელი აქეთ-იქით რომ დარბიხარ?**

- გუნდისთვისაც ერთგვარი რეკლამაა, როცა მისი ფეხბურთელით უმაღლეს დივიზიონში ინტერესდებიან. „ესბიერგშიც" რომ ვიყავი, ასე მოხდა. „ვეილეს" შემდეგ კი, შესაძლოა, 1 დეკემბერს ნორვეგიაში წავიდე და იქაც ერთი კვირა ვივარჯიშო. აინტერესებთ, სხვა ქვეყანასა თუ უცხო გარემოში თავს როგორ გამოვიჩენ. თუმცა ნორვეგიაში რომელი კლუბია, წარმოდგენა არ მაქვს და არცაა საინტერესო - იქ ვარჯიშიც მოსამზადებელი ეტაპის ნაწილია. საბოლოო კი, რომელიღაც ჰოლანდიური კლუბისთვის მამზადებენ. ესეც ორიოდე დღის წინ, ფიზმომზადების მწვრთნელმა მითხრა - თამაშის შემდეგ რაღაც საზეიმო შეკრებასავით გვქონდა, დალია და წამოსცდა - შენი მენეჯერისგან ვიცი, ჰოლანდიაში გიშვებენო. ფხიზელი არაფერს მეუბნება, რადგან ეტყობა, იცის, რომ ქართველებს თავში უცებ აგვივარდება ხოლმე.

**- საგანგებო ვარჯიშების შემდეგ უკეთეს ფიზიკურ კონდიციებში იქნები...**

- ტყეში და აუზში საგანგებოდ მავარჯიშებენ, კიდევ ათასნაირი ვარჯიშია. ამ პერიოდში აქ დილით 8 საათზე ძალიან ცივა, კინაღამ გამყინა... ჯერ ცოტა ვირბინე, მერე ბალტიის ზღვის ცივ წყალში სამჯერ 30 წამით ჩავხტი... წყლის ტემპერატურა სამი გრადუსი იყო. ამის შემდეგ ვირბინე და ტყეში ვივარჯიშე. თურმე, კუნთებისთვის კარგია ჯერ სიცივეზე შეკუმშვა, მერე კი გახურება. დააკვირდით, როგორი ათლეტურები არიან დანიელი ფეხბურთელები. რკინასავით აქვთ კუნთები... ჩემი მწვრთნელი განათლებული ადამიანია და იცის, რასაც აკეთებს და მეც ვუჯერებ. სხვათა შორის, კვების რეჟიმიც შემიდგინა. ახლაღა ვხვდები, რომ ადრე სპორტსმენისთვის აბსოლუტურად მიულებელ საკვებს ვიღებდი. ათასი ისეთი ნიუანსი მასწავლა, წარმოდგენაც კი არ მქონდა. როცა მელაპარაკება, სულ მახსენდება, რა ხდება საქართველოში, კერძოდ, ბავშვთა ფეხბურთში. ან თუნდაც დიდებში – რომელ პირად მწვრთნელზეა ლაპარაკი, ან კვების რაციონზე... ოღონდ, გუნდი გადაარჩინონ და, ვის სცხელა ფეხბურთელის განვითარებისთვის? არადა, სულ იოლად შეიძლება საქმის გამოსწორება. ჩვენთან არაა ასეთი მიდგომა და ამიტომაც ვეღარ იზრდებიან ნიჭიერი ბიჭები, თორემ, ტალანტები უხვად არიან. ფეხბურთს თანამედროვე მედიცინის დახმარება სჭირდება, ფეხბურთელს კი კომპლექსური ინდივიდუალური მიდგომა.

**- ჰიკ-ში სულ ძირითადში თამაშობ?**

- აქ თუ ვერ ვითამაშე, ცუდად ყოფილა ჩემი საქმე. ორიოდე დღის წინ ამ სეზონში ბოლო თამაში მქონდა და მგონი, ცუდად არ მითამაშია. 1:0 მოვიგეთ და საგოლე გადაცემა გავაკეთე.

**- როგორც მახსოვს, ჰიკ-ში კიდევ ერთი ქართველი, ილია პავლიაშვილი გასინჯეს. დარჩა თუ წამოვიდა?**

- პავლიაშვილი მწვრთნელს მოეწონა, საკონტროლო შეხვედრები კარგად ჩაატარა, მაგრამ გასასინჯად ცუდ დროს ჩამოვიდა, სეზონი ორ დღეში იწყებოდა და საქართველოში დაბრუნდა. თუ არ მეშლება, ახლა „ვიტ ჯორჯიაში" თამაშობს.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



არსენალი



# უოლკოტი დანის ქვეშ

ინგლისი-გერმანიის ნაკრებების შეხვედრამდე კუნძულელთა შემადგენლობაში ტრავმების ეპიდემიამ იფეთქა. ამაზე უკვე არაერთხელ ვწერდით და ამჯერად თავს აღარ მოგაბეზრებთ. უშუალოდ ნაკრების საწვრთნელი პროცესისას კი "არსენალის" 19 წლის თავდამსხმელი **თეო უოლკოტი** დაშავდა. მან ერთ-ერთი ორთაბრძოლისას მხარი ამოიგდო. თინეიჯერი ვარსკვლავი კოშმარულმა ტკივილმა შეაწუხა. აშკარა იყო, რომ ტრავმა სერიოზულზე სერიოზული იყო. როგორ არ გავიხსენოთ **არსენ ვენგერის** შეშფოთება, - რა საჭიროა, შუა სეზონში ასეთი დაძაბული შეხვედრების დანიშვნაო. ფრანგ სპეციალისტს ეტყობა გული ცუდს უგრძნობდა...

თეოს ოპერაცია ლონდონის ერთ-ერთ კლინიკაში გუშინვე გაუკეთეს. ქირურგების განცხადებით, დაზიანება იმდენად მძიმეა, რომ წარმატებული ოპერაციის მიუხედავად, აღდგენითი პროცესი მინიმუმ სამ თვეს გასტანს. "მეთოფეთა" ბოსმა **პიტერ ჰილ-ვუდმა** გუშინვე განაცხადა, რომ საფეხბურთო ასოციაციის მხრიდან ამ შემთხვევის გამო კომპენსაციას არ მოითხოვს. მას კვერს უკრავს არსენ ვენგერიც: *"შეშფოთებული ვარ... სხვა სიტყვებს ვერ ვპოულობ. თეო ჩვენი გუნდის განუყოფელი ნაწილია და ის ძალიან დაგვაკლდება. არის მეორე მხარეც. მას ტრავმა ნებისმიერ დროს შეიძლებოდა ჩვენს ვარჯიშზეც მიეღო. ეს შემთხვევითობაა და არავის დადანაშაულებას ვაპირებ. ისლა დაგვრჩენია, მის გარეშე ყოფნას შევეგუოთ. როცა ასეთი შემთხვევები ხდება, მაშინ "არსენალში" იმაზე კი არ ვფიქრობთ, რამხელა კომპენსაცია მოვითხოვოთ, არამედ იმაზე, თუ როგორ შევცვალოთ ფეხბურთელი".*

განცხადება გააკეთა საფეხბურთო ასოციაციის პრესცენტრის წარმომადგენელმაც: *"ინგლისის საფეხბურთო ასოციაცია იმ იშვიათ ორგანიზაციათა რიგს მიეკუთვნება, რომელმაც ნაკრების ფეხბურთელები საკუთარი ინიციატივით დააზღვია. გაითვალისწინეთ, რომ პრემიერლიგაში მოთამაშე ლეგიონერთა უმრავლესობას ის არ გააჩნია..."* - ასე რომ, "არსენალი" სადაზღვევო კომპანიისგან 1.5 მილიონიან კომპენსაციას მაინც მიიღებს.

აქვე გაგაცნობთ ერთ ინფორმაციას, რომელიც "არსენალის" შედარებით უცნობ ფეხბურთელს ეხება. "მეთოფეთა" 18 წლის მეკარე **ვოიცეხ შჩესნიმ** ტრენაჟორებზე ვარჯიშისას ორივე ხელის სერიოზული ტრავმა მიიღო. იუნიორი ფეხბურთელი წოლქიმში შტანგაზე ვარჯიშს იწყებდა, როცა სადგამზე დადებული შტანგა მოუხერხებლად გადმოიღო, რომელიც მას პირდაპირ ხელებში დაეცა. ადგილზე მას ტკივილგამაყუჩებლები გაუკეთეს და სასწრაფოდ საავადმყოფოში წაიყვანეს. კლინიკაში ტრავმატოლოგებს ფაქტის დაფიქსირების გარდა, სხვა არაფერი დარჩენოდათ, ორივე ხელის მოტეხილობა მაჯის ცოტა ზემოთ. ახალგაზრდა ფეხბურთელი ბეწვზე გადარჩა, რომ კარიერის დასრულება არ მოუხდა. იყო რეალური შანსი, მყესები ისე დაეზიანებინა, არათუ ფეხბურთი ეთამაშა, სრულფასოვნად კიდურები მთელი ცხოვრების მანძილზე ვერ ეხმარა. საბრალო ვოიცეხს სრულფასოვანი რეაბილიტაციისთვის 4-5 თვე დასჭირდება.

**შალვა ბიბილაშვილი**

მანჩესტერ იუნაიტედი

# ბერბატოვი სერბეთს შეეწირა



ბულგარეთის ნაკრები სერბეთთან სამვილიშვილოდ შერცხვა. ამ შეხვედრას ცუდ ხასიათზე მხოლოდ ბულგარელი გულშემატკივარი არ დაუყენებია, ნერვები მოეშალა **ალექს ფერგიუსონსაც**. მას ამის სერიოზული მიზეზი ჰქონდა. მატჩის პირველსავე ნახევარში ბარძაყის სერიოზული ტრავმა მიიღო **დიმიტარ ბერბატოვმა**. დეტალები ჯერჯერობით ცნობილი არ არის, მაგრამ შეშფოთების საფუძველი ნამდვილად არსებობს, გვამცნობს "დეილი მირორი".

ამავე გაზეთს ესაუბრა ბულგარელის აგენტი **ემილ დანჩევიც**, რომელსაც აქვე გაგაცნობთ: *"დიმიტარი გამომიტყდა, რომ სანაკრებო კარიერის დასრულებაზე ფიქრობს. ბულგარეთის ნაკრებს მძიმე დღეები უდგას და გულშემატკივრები ამაში ყველაზე მეტად ჩემს კლიენტს ადანაშაულებენ".*

შეგახსენებთ, რომ ბულგარელებმა 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის სამი შეხვედრა გამართეს. ყველა შეხვედრა ფრედ დასრულდა. გუნდმა მხოლოდ ორი გოლის გატანა მოახერხა. რაც შეეხება გუშინწინდელ ბელგრადულ თამაშს, გეცოდინებათ, რომ მასპინძლებმა 6:1 მოიგეს და ამასთან, ორი პენალტის გატანა ვერ მოახერხეს. დანჩევის განცხადებას სერიოზულად არ უყურებს ბულგარელთა თავკაცი **პლამენ მარკოვი**. მან თქვა: *"თამაშის დასრულების შემდეგ ველაპარაკე დიმიტარს. მან დამარწმუნა, რომ რადიკალურ ნაბიჯებს არ გადადგამს."*

განის საფეხბურთო ასოციაციის პრესსამსახურის ხელმძღვანელმა **რენდი ებიმ** ოფიციალური განცხადება გაავრცელა, სადაც გამოთქმულია იმედი, რომ "მანჩესტერ იუნაიტედის" 17 წლის (18-ის მხოლოდ დღე-დღეზე, 26 ნოემბერს ხდება) თავდამსხმელი **დენი უელბეკი** განის ეროვნულ გუნდში გამოსვლას დათანხმდება. იუნიორი ფეხბურთელი ბრიტანეთშია დაბადებული და გაზრდილი. აქამდეც ის სწორედ ინგლისის ასაკობრივ ნაკრებებში თამაშობდა. თუმცა ფიფას წესებით, მას 21 წლამდე აქვს უფლება სხვა ქვეყნის ეროვნულ გუნდში ითამაშოს. ოღონდ ეს ქვეყანა, რა თქმა უნდა, არ უნდა იყოს შემთხვევითი. ფეხბურთელს სისხლისმიერი კავშირი უნდა ჰქონდეს ამ სახელმწიფოსთან. განელები უკვე შეხვდნენ უელბეკის მშობლებს, რომლებიც სწორედ განაში არიან დაბადებულები და მიწვევა გადასცეს. თავად მანჩესტერელის პოზიცია უცნობია. საეჭვოა, ის ამ მიწვევას დათანხმდეს.

**შალვა ბიბილაშვილი**

მილანი

# საჭიროა მცველი!

## რამოსი, საპატა თუ აგერი?

მიმდინარე სეზონის დასრულებასთან ერთად, ფეხბურთს „მილანის" ცოცხალი ლეგენდა **პაოლო მალდინი** გამოეთხოვება. იტალიურ პრესაში აქტიურად წერენ იმაზე, რომ ზაფხულში „როსონერის" მესვეურები ისეთი მცველის გადაბირებას შეეცდებიან, რომელსაც დიდი ხნით დაეყრდნობიან და რომელიც პაოლოს ღირსეულად შეცვლის. „კორიერე დელო სპორტის" ინფორმაციით, „მილანის" ხელმძღვანელთა მთავარი სამიზნე „რეალის" უკანახაზელი **სერხიო რამოსია**. ესპანეთის ნაკრების მცველის გადაბირება იტალიელებს გასულ ზაფხულსაც სურდათ, მაგრამ სამეფო კლუბის პრეზიდენტ **რამონ კალდერონისგან** უარი მიიღეს. მაშინ მადრიდელთა პრეზიდენტმა განაცხადა, რომ თუ ლომბარდიელებს ფეხბურთელის წაყვანა სურდათ, 150 მილიონი ევრო უნდა გადაეხადათ. **ადრიანო გალიანიმ** ველარაფერი გააწყო და ტრანსფერზე მუშაობა აღარც გაგრძელებულა. დღეს უკვე სულ სხვა ვითარებაა, რამოსს ზაფხულში კონტრაქტი ეწურება და არის შანსი, სულაც უფასოდ გადაბარგდეს მილანში. იტალიური პრესა გაკვირვებას გამოთქვამს იმ ფაქტით, რომ „რეალის" მესვეურები ფეხბურთელს ახალ კონტრაქტს არ სთავაზობენ.

აღნიშნულ საკითხზე გალიანიმ შემდეგი კომენტარი გააკეთა: *„სიმართლე გითხრათ, ზაფხულის სატრანსფერო ბაზარზე ჯერჯერობით არ ვფიქრობ. წინ მთელი სეზონია და სხვა მიზნები გვამოძრავებს. მალდინი ფეხბურთს ეთხოვება, მაგრამ ჩვენ მისი შემცვლელის მოძებნა არ გვჭირდება. გუნდში ისედაც არაერთი მაღალი კლასის მოთამაშეა და ამ მხრივ, დეფიციტს ნამდვილად არ განვიცდით. რაც შეეხება რამოსს, ძალიან კარგი ფეხბურთელია და „მილანის" მაისურათი დიდი სიამოვნებით ვიხილავდი, მაგრამ, მალდინისთან კავშირს ჩემს სურვილში ნამდვილად ვერ ვხედავ".*

„კორიერე" თავისას არ იშლის და ამტკიცებს, რომ „როსონერი" სწორედ ექსტრაკლასის უკანახაზელის ძიებაშია. თუ რამოსის ტრანსფერი არ შედგა, არის სათადარიგო ვარიანტებიც. ორი ფეხბურთელის გვარი სახელდება: უდინეზელი **კრისტიან საპატა** და ლივერპულელი **დანიელ აგერი**.

**ლაშა ნიკლაური**




იუვენტუსი

# ამაურიმ, იუვე უფრო ძლიერიაო

დიდი იტალიური დერბის მოახლოვებასთან ერთად, სულ უფრო და უფრო ხშირად ადარებენ ერთმანეთს „იუვენტუსსა" და „ინტერს". ორივე გუნდი კარგ ფორმაშია და შაბათის მატჩს ესეც აძლევს დამატებით ინტრიგას. გუშინ თავისი აზრი დააფიქსირა **კარვალიო ამაურიმ**. „იუვეს" ფორვარდმა მომავალ მეტოქეს კომპლიმენტები უძღვნა, მაგრამ იქვე დასძინა, რომ „ბიანკონერი" მეტოქეს არაფრით ჩამოუვარდება: *„მოურინიომ ძლიერი გუნდი გააკეთა და მათთან თამაში რთული იქნება. „ინტერი" ჩემპიონატის ლიდერია და ეს ყველაფერზე მეტყველებს. თუმცა, მგონია, რომ „ნერაძურის" არც „იუვენტუსი" ჩამოუვარდება, დღეისთვის კი სულაც უკეთეს ფეხბურთს აჩვენებს. ჩვენ ვიხილეთ „პალერმო" – „ინტერის" მატჩის ვიდეოფირი. მილანელებმა კარგად ითამაშეს, მაგრამ ისიც ნათელი გახლდათ, რომ ბევრ კომპონენტში ჩამოგვივარდებიან".*

რამდენიმე დღის წინ იტალიურ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია - თითქოს ამაურის „სკუადრა აძურის" სასარგებლოდ მიეღოს გადაწყვეტილება, კარვალიომ კომენტარი ამ საკითხზეც გააკეთა: *„ლიპისთან მქონდა საუბარი და ძალიან ნასიამოვნებიც დავრჩი. მარჩელომ დამარწმუნა, რომ თუ არჩევანს იტალიის სასარგებლოდ გავაკეთებ, გუნდისთვის საჭირო ფეხბურთელი ვიქნები. ჩემთვის სკუადრა აძურა მეორეხარისხოვანი არასდროს ყოფილა, უბრალოდ ვფიქრობდი, ბრაზილიის ნაკრებში მეთამაშა თუ იტალიის უმთავრეს გუნდში. გადავწყვიტე, ფორმალობები მოვაგვარო, იტალიის პასპორტი ავიღო და შემდეგ უკვე ლიპის გამოძახებას დაველოდო".*

**ლაშა ნიკლაური**

ამბები

### პეტროვის ხანგრძლივი უქმეები

"მანჩესტერ სიტის" განაპირა ნახევარმცველს, 29 წლის **მარტინ პეტროვს** მარცხენა მუხლზე მენისკის ოპერაცია გაუკეთეს. ბულგარელს რამდენიმე დღის განმავლობაში საწოლიდან წამოდგომის უფლება არ ექნება. პეტროვმა დაზიანება თბილისში, საქართველოს ნაკრებთან შეხვედრისას მიიღო. ფეხბურთელის კლუბში დაბრუნების შემდეგ ლაპარაკი იყო, რომ შეიძლებოდა ოპერაციას გადარჩენოდა... სწორედ ამიტომ, მას თვე-ნახევრის განმავლობაში ქირურგის დანას არ "ანდობდნენ". საბოლოო ჯამში, ყველაზე უარესი ვარაუდი გამართლდა. მარტინს მხოლოდ გუშინწინ ჩაუტარეს ხანგრძლივი ოპერაცია. მას წინ 3-4-თვიანი აღდგენითი პროცესი ელის.

მიმდინარე სეზონში ეს ტრავმა ფეხბურთელისთვის უკვე მეორეა. პირველ შემთხვევაშიც ის ნაკრებში დაშავდა. "სიტის" ერთ-ერთმა ლიდერმა პრემიერლიგაში წელს მხოლოდ სამი შეხვედრის ჩატარება მოახერხა.

### მოდრიჩიც დაისვენებს

ხორვატიის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი **ლუკა მოდრიჩი** რამდენიმე კვირით ფეხბურთის გარეშე დარჩება. ხორვატიის ნაკრების ექიმმა **ზორან ბახტიაროვიჩმა** გულდასმით გასინჯა პაციენტი და დაასკვნა: *"ფეხის კუნთის დაზიანება იმაზე რთული აღმოჩნდა, ვიდრე წარმოვიდგენდით. მის აღდგენას რამდენიმე კვირა დასჭირდება".*

მკურნალობის კურსს ფეხბურთელი ლონდონში, "ტოტენჰემის" ექიმების მეთვალყურეობით გაივლის.

**შალვა ბიბილაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ — იენს ლემანი

# ჩემი გამოსათხოვარი მატჩი მაინც შედგება!

## ვეტერანი მეკარე გერმანიის საფეხბურთო კავშირზეა განაწყენებული

ბერლინის „ოლიმპიაშტადიონზე" გამართული გერმანია-ინგლისის მატჩი, წესით, იენს ლემანის ბუნდესგუნდიდან გამოსათხოვარი თამაში უნდა ყოფილიყო. მაგრამ ბუნდესმწვრთნელმა იოახიმ ლიოვმა დამსახურებულ მეკარეს უარი უთხრა, რის გამოც „შტუტგარტის" კარის დარაჯი, რომელმაც სანაკრებო კარიერა ევროპის ჩემპიონატის შემდეგ დაასრულა, საკმაოდ გაანაწყენა. „ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში ლემანი ამ და სხვა არაერთ საინტერესო საკითხზე საუბრობს.

**- ჰერ ლემან, გერმანიისა და ინგლისის ნაკრები გუნდების ამხანაგური მატჩი, წესით, თქვენი გამოსათხოვარი თამაში უნდა ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში, თქვენ ეს ძალიან გინდოდათ, მაგრამ ბუნდესგუნდის მთავარი მწვრთნელისგან, იოახიმ ლიოვისგან უარი მიიღეთ. ცხადია, თამაშს უყურეთ და საინტერესოა, რა გრძნობა დაგეუფლათ, გულისტკივილით უყურებდით?**

- რას ვიზამთ, რაც მოხდა, მოხდა. ადამიანმა ყველაფერი ისე უნდა მიიღოს, როგორც არის. როცა ხვდები, რომ ვერაფერს შეცვლი, აღარ უნდა ეცადო. ეს დაუწერელი კანონია. რა თქმა უნდა, ძალიან მინდოდა, რომ ინგლისთან მატჩი ჩემი გამოსათხოვარი თამაში ყოფილიყო, მაგრამ რაკი არ გამოვიდა, ამის გამო დეპრესიაში არ ჩავარდნილვარ. თამაშს მშვიდად ვუყურე და ცხადია, ჩვენებს ვქომაგობდი.

**- გამოსათხოვარი მატჩისთვის ბრძოლას გააგრძელებთ?**

- ასეთი განცხადება არასწორია. ხალხმა ისე გაიგო, თითქოს მე ამისთვის ვიბრძოდი. უბრალოდ, სურვილი გამიჩნდა და ამის შესახებ გერმანიის საფეხბურთო კავშირსაც შევატყობინე. რაკი უარი მითხრეს, ეს ჩემთვის მისაღები იყო. გერმანული ფეხბურთი იენს ლემანით არ დაწყებულა, მე მხოლოდ ერთი რიგითი ფეხბურთელი ვარ. თუმცა გამოსათხოვარი მატჩი ალბათ მაინც შედგება.

**- როგორ?**

- ამაზე მე ვიზრუნებ.

**- თქვენს გამოსათხოვარ მატჩს ორგანიზებას თვითონ გაუკეთებთ და გერმანიის საფეხბურთო კავშირს ამაში არ ჩართავთ?**

- ჯერ არ ვიცი, რა და როგორ იქნება. მინდა, რომ მატჩი შედგეს, მაგრამ ჯერ არ მიფიქრია, როგორ მოხდება ეს.

**- სანაკრებო კარიერა დაასრულეთ, საკლუბოს კი აგრძელებთ, მაგრამ „შტუტგარტი" წარმატებებით ვერ დაიკვეხნის და თქვენც არ გაქვთ სიხარულის საფუძველი...**

- მართალია – ჩვენ არ გვაქვს იმდენი ქულა, რამდენიც უნდა გვქონოდა. ამის მიზეზი კი ის არის, რომ სეზონის პირველ მესამედში სხვა გუნდებმა უფრო უკეთ ითამაშეს. თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უშუალოდ ჩვენ წინააღმდეგ არც ერთ გუნდს არ ჩაუტარებია ისეთი მატჩი, რომ დომინანტი ყოფილიყო. ეს კი ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა. ვერავინ იტყვის, რომ „შტუტგარტმა" რომელიმე თამაში ისე წააგო, რომ ძალიან ცუდად ითამაშა. ასე რომ, ნერვიულობის საფუძველი არ არსებობს. ვფიქრობ, ჩვენს გუნდში ძირეული ცვლილებები საჭირო არ არის. არსებობს მხოლოდ რამდენიმე დეტალი, რაც გასაუმჯობესებელია და იმედია, პრობლემების გამოსწორებას უახლოეს მომავალში შევძლებთ.

**- რა უნდა გამოსწორდეს კონკრეტულად?**

- თითოეულმა ფეხბურთელმა იცის, რაცაა გამოსასწორებელი და ეს ყველაზე მნიშვნელოვანია. ასე რომ, პრობლემებზე საჯაროდ საუბარს არ ვაპირებ. ჩვენ ყველანი ერთმანეთს მხარში უნდა ამოვუდგეთ.

**- და რა უნდა შეიცვალოს უშუალოდ მოედანზე?**

- ეს უკვე მთავარი მწვრთნელის პრეროგატივაა. ფეხბურთელი ამაზე არ უნდა საუბრობდეს. ტაქტიკა-სტრატეგიის შესახებ ყველამ რომ ისაუბროს, გამოვა, რომ 20 ერთმანეთისგან განსხვავებული მოსაზრება არსებობს. ამ მხრივ ყველაფერი ისე უნდა იყოს, როგორც არმინ ფეე იტყვის.

**- ფეე ამბობს, გუნდს სიმარტივე აკლია, რაც იმ სეზონში, როცა ჩემპიონები გავხდით, ნამდვილად არ გვაკლდაო...**

- ჩემი აზრით, ჩვენ უნდა დავივიწყოთ ის სეზონი, როცა „შტუტგარტი" გერმანიის ჩემპიონი გახდა. იმ სეზონის გახსენება არარეალურ სამყაროში გადაგვისვრის. მოვლენები კი რეალურად უნდა შეფასდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, უბრალოდ, არაფერი გამოვა. „შტუტგარტის" სენსაციური ჩემპიონობა უკვე წარსულია. აწმყოში კი ძალიან ბევრი საქმე გვაქვს.

**- დღესდღეობით გუნდი მეთერთმეტე ადგილზეა. დღევანდელი გადასახედიდან კონტრაქტს გააგრძელებდით?**

- ამაზე არ ვფიქრობ, რადგან ჯერ ადრეა. თანაც, ეს ჩემი გადასაწყვეტი არ არის. მოვლენების განვითარებას დაველოდები და ვნახავ, რას შემომთავაზებენ.

**- თქვენი კარიერა უაღრესად წარმატებულია და თამამად ვიტყვით, რომ დიდ გამარჯვებებს ხართ მიჩვეული. ახლა კი ფაქტია, რომ საშუალო დონის კლუბში თამაშობთ. სიამოვნებას კიდევ იღებთ?**

- სადაც ვითამაშე, ყველგან რაღაც მოვიგე. მაგრამ ტიტულების მოგება „შტუტგარტშიც" შესაძლებელია. თუმცა ამისათვის ბევრი რამ უნდა გაკეთდეს.

**- უეფას თასი თუ გერმანიის თასი: რომელი გირჩევნიათ?**

- რა თქმა უნდა, უეფას თასი, მაგრამ არც გერმანიის თასზე ვიტყოდი უარს.



იენს ლემანი

ინტერვიუ — რაინერ კალმუნდი



ლევერკუზენის ლეგენდარული მენეჯერი კვირას 60 წლის ხდება

# ჩემნაირი დინოზავრების დრო წავიდა!

## ფეხბურთით გაგიჟებული კაცი და მისი ისტორია

**ლეგენდარული XXL მენეჯერი რაინერ კალმუნდი კვირას 60 წლის ხდება. იუბილემდე კალმუნდმა ავტობიოგრაფიული წიგნი გამოსცა, რომელსაც „ფეხბურთით გაგიჟებული" უწოდა. მისი სახელი, პირველ რიგში, ლევერკუზენის „ბაიერს" უკავშირდება, სადაც რაინერმა 30 წლის განმავლობაში იმუშავა. 1988 წელს მისი მენეჯერობით „ფარმაცევტებმა" უეფას თასი მოიგეს, 1993 წელს კი - გერმანიის თასი. „შპორტ აინსისთვის" მიცემულ ინტერვიუში კალმუნდი საკუთარ უაღრესად საინტერესო ისტორიას იხსენებს.**

**- ჰერ კალმუნდ, რატომ დაწერეთ ეს წიგნი?**

- ბოლო წლებში გამომცემლობებიდან ძალიან ხშირად მიკავშირდებოდნენ და წიგნის დაწერას მთავაზობდნენ, მაგრამ მაშინ არც სურვილი მქონდა და არც მოტივაცია. ახლა კი, რაკი 60 წლის ვხდები, დავასკვენი, რომ მოვიდა დრო, ჩემი ცხოვრების ბალანსი შევადგინო და დასკვნებიც გამოვიტანო. წიგნი, ეს არის საუკეთესო საშუალება მთელი ცხოვრების ანალიზისთვის და არაერთი საინტერესო მოვლენის, კურიოზისა თუ სკანდალის გასახსენებლად. წიგნში ვწერ, როგორ მივაღწიე ამ ყველაფერს. აქვე ვყვები პირადი ცხოვრების შესახებაც.

**- წიგნის სათაურია „ფეხბურთით გაგიჟებული". განგვიმარტეთ, თუ შეიძლება.**

- ნებისმიერი ადამიანი, რომელსაც უნდა, რომ წარმატებებს მიაღწიოს, ცოტათი გიჟი უნდა იყოს. წარმატებისთვის საჭიროა დრო, კომპეტენცია, ვნება და სისხლში გამჯდარი მოტივაცია. სწორედ ეს არის წარმატების ფორმულა.

**- როგორ მიხვედით ფეხბურთში?**

- ისე, როგორც ყველა – ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ქუჩაში ფეხბურთს ვთამაშობდი. ვთამაშობდით სხვადასხვა საგნებით, ჩოგბურთის ბურთებით და ასე განსაჯეთ, კუბიკებითაც. თუ ბურთი არ გვქონდა, ფეხბურთის თამაში იმდენად გვინდოდა, რომ სულერთი იყო, რას დავარტყამდით ფეხს...

**- და როგორ მიხვედით „ლევერკუზენში"?**

- 18 წლის ასაკში იძულებული გავხდი, ფეხბურთის თამაში შემეწყვიტა და ბავშვთა გუნდების გაწვრთნა დავიწყე. 1976 წელს, ერთ-ერთი მატჩის დროს ჩემთან „ლევერკუზენის" მაშინდელი მწვრთნელი ვილიბერტ კრემერი მოვიდა და მკითხა, არ გაქვს სურვილი, რომ ჩემთან წამოხვიდეო. გავხდი ბავშვთა გუნდების კურატორი, მერე სტადიონის გამომცხადებელი, მოგვიანებით სკაუტი და ბოლოს სალიცენზიო განყოფილებაში გადავინაცვლე. 1979 წელს კი ბუნდესლიგაში გადავედით და მერე ყველაფერი შეიცვალა.

**- როგორ იხსენებთ 1988 წელს?**

- ეს იყო ყველაზე პოზიტიური წელი ჩემს სამენეჯერო კარიერაში. „ლევერკუზენმა" უეფას თასი მოიგო და ეს იმ დროს, როცა ჩვენგან ასეთ წარმატებას არავინ ელოდა. თანაც, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ მაშინ უეფას თასი გაცილებით მაღალი რანგის ტურნირი გახლდათ, რადგან ჩემპიონთა თასზე მხოლოდ ჩემპიონები თამაშობდნენ. ბოლო სამ ეტაპზე ისეთ გრანდებს მოვუგეთ, როგორებიც იყვნენ „ბარსელონა" ბერნდ შუსტერთან ერთად, გერმანიის მომავალი ჩემპიონი ბრემენის „ვერდერი" და „ესპანიოლი". და ეს ახალგაზრდა და გამოუცდელი გუნდით შევძელით, სადაც ყველაზე გამოცდილები ბუმ-კუნ ჩა, კლაუს ტოიბერი და ფალკო გიოტცი იყვნენ.

**- რა მნიშვნელობა ჰქონდა თქვენთვის 1993 წელს გერმანიის თასის მოგებას?**

- ამ დროს უკვე საკმაოდ სტაბილურები ვიყავით. ევროტურნირებზე რეგულარულად ვთამაშობდით და თანაც, უკვე გვყავდა ისეთი გამოცდილი ფეხბურთელები, როგორებიც იყვნენ ულფ კირსტენი და ანდრეას ტომი.

**- 1996 და 2003 წლებში „ლევერკუზენი" კინაღამ მეორე ბუნდესლიგაში გავარდა. რომელი სეზონის გახსენება უფრო არ გინდათ?**

- ელიტიდან გავარდნა ისეთი რამეა, რასაც ჩემს კონკურენტს ან მოსისხლე მტერსაც კი არ ვუსურვებდი. ეს არის ყველაზე საშინელი რამ, რაც შეიძლება საფეხბურთო გუნდს დაემართოს და გავარდნა უძილო ღამეებს და მუდმივი სტრესის ქვეშ ყოფნას უკავშირდება. თანაც, აქ საქმე მხოლოდ იმას კი არ ეხება, რომ გუნდი ვარდება, არამედ პირველ რიგში იმას, რომ სამუშაო ადგილები მცირდება. 1996 წელს, „კაიზერსლაუტერნთან" 1:1-ის შემდეგ, რამაც გავარდნისგან გვიხსნა, ბედნიერი ვიყავი. 2003 წელს კი, ბედნიერი არ ვყოფილვარ, უბრალოდ, გავთავისუფლდი.

**- 2000 წელს, ბოლო ტურში „ბაიერს" „უნტერჰახინგთან" არ უნდა წაეგო და ჩემპიონი ხდებოდა...**

- ეს მატჩი ძალიან კარგად მახსოვს ან რა დამავიწყებს – ჩვენ ხომ ასე ახლოს ვიყავით გერმანიის ჩემპიონობასთან. იმ თამაშში გუნდის ყველაზე გამოცდილ ფეხბურთელებს იენს ნოვოტნის, მიხაელ ბალაკს ან ულფ კირსტენს, უბრალოდ, ნერვებმა უმტყუნეს. არადა, 2000 წლის „ლევერკუზენი" მართლაც ტოპ-გუნდი იყო. „ვერცხლის სინთან" ძალიან ახლოს ვიყავით, მაგრამ საფეხბურთო ღმერთმა ის ჩვენთვის არ გაიმეტა. „ბაიერნმა" მხოლოდ ბურთების უკეთესი შეფარდებით გვაჯობა და ეს ორმაგად საწყენი გახლდათ.

**- ამ სეზონს კრისტოფ დაუმის გარშემო ამტყდარი სკანდალი მოჰყვა...**

- ეს ჩვენთვის უდიდესი დარტყმა იყო. ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ კრისტოფი ნარკომანი იქნებოდა. იმხანად ფეხბურთელებს ხშირად ვულებდით ანალიზებს და სხვათა შორის, დაუმი ასეთ დროს არასდროს არ ჩნდებოდა...

**- გადადგომაზე ფიქრობდით?**

- ვიფიქრე, მაგრამ ამით რას მივაღწევდი? დღეს კრიტოფთან ისევ ძალიან ახლო და მეგობრული ურთიერთობა მაქვს.

**- 2002 წელი: „ლევერკუზენმა" ჩემპიონთა ლიგის ფინალი წააგო, გერმანიის თასის ფინალიც ზედ მიაყოლა და გერმანიის ჩემპიონობა ისევ ბოლო ტურში დაკარგა...**

- აბსოლუტურად ყველა ექსპერტი ამბობს, რომ 2002 წელს „ლევერკუზენი" არნახულად შემტევ და ლამაზ ფეხბურთს თამაშობდა, რაც კლაუს ტოპმიოლერის დამსახურება იყო. ჩემპიონთა ლიგის ფინალის წინ იენს ნოვოტნიმ ტრავმა მიიღო, ზე რობერტომ კი - დისკვალიფიკაცია. გუნდმა ამ ორი უმნიშვნელოვანესი ფეხბურთელის დანაკლისი ვერ გადაიტანა. გერმანიის ჩემპიონობა კი ფაქტობრივად ჩემპიონთა ლიგამ დაგვაკარგვინა. შუა კვირაში თამაშებმა გუნდს უდიდესი ძალა წაართვა. არადა, წარმოიდგინეთ, ჰეთ-თრიკი რომ შეგვესრულებინა... დღემდე ვერ ვეგუები იმ აზრს, რომ გერმანიის ჩემპიონი ვერ გავხდი...

**- ორი წლის შემდეგ „ლევერკუზენი" დატოვეთ. რატომ?**

- ჯერ კიდევ 2001 წელს ვთქვი, რომ 2006 წლამდე ვიმუშავებდი. წასვლამდე ორი წლით ადრე კი რუდი ფიოლერმა უკვე იცოდა, რომ სწორედ ის იქნებოდა ჩემი შემცვლელი.

**- როგორ ფიქრობთ, შეუძლია თუ არა „ლევერკუზენს" ამ სეზონში გერმანიის ჩემპიონობის მოპოვება?**

- ვფიქრობ, რომ შეუძლია. ბრუნო ლაბადიას ახალგაზრდა, უდიდესი პოტენციალის მქონე გუნდი ჰყავს, რომელსაც ლამაზ ფეხბურთს ათამაშებს. მთავარია, გუნდმა ეს რიტმი შეინარჩუნოს და წამყვანი მოთამაშეები არ დაუშავდეს. ამასთან, „ბაიერი" ევროტურნირებზე არ გამოდის, რაც გერმანიის ჩემპიონობისთვის ბრძოლაში ასევე დიდი პლუსია.

**- მიუხედავად არაერთი წინადადებისა, მენეჯერობაზე მუდმივად უარს ამბობთ. რატომ?**

- 2004 წლის ბოლო ტურში ჩემს მეუღლეს ვუთხარი, „ლევერკუზენიდან" წასვლით კარიერას ფაქტობრივად ვამთავრებ-მეთქი. თანაც, ახლა უკვე ახალგაზრდების დროა, მენტალიტეტიც შეიცვალა. ჩემნაირი დინოზავრები სულ მალე საერთოდ გადაშენდებიან, რადგან დრო შეიცვალა. მოდიან ახალგაზრდა მწვრთნელები და მენეჯერები, რომლებიც თავიანთ საქმეს საკმაოდ კარგად აკეთებენ. ჩემნაირი დინოზავრების დრო წავიდა!

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგური მატჩები

# ლიპის რეკორდი და ახალი ტაქტიკა

**საბერძნეთი-იტალია 1:1**

**საბერძნეთი:** ცორვასი, სპიროპულოსი, ვინტრა, დელასი, პაპასტრატოპულოსი, ციოლისი, კაცურანისი (88. ნინისი), სალპინგიდისი, ბასინასი (88. პლიაციკასი), კარაგუნისი (46. ლიბეროპულოსი), მანციოსი (46. გეკასი).

**იტალია:** დე სანკტისი, ბონერა, კანავარო (60. გამბერინი), კიელინი (46. ლეგროტალიე), გროსო, გატუზო, დე როსი, მონტოლივო (46. პეპე), კამორანეზი (60. მაჯო), ჯ. როსი (70. იაკვინტა), ტონი (60. ჯილარდინო).

**გოლები:** 1:0 გეკასი (50), 1:1 ტონი (54)

**მაყურებელი:** 7 000

ოთხშაბათს ბებერ კონტინენტზე დიდი საფეხბურთო ციებ-ცხელება გახლდათ. სხვების დარად, ამხანაგური მატჩი გამართა იტალიის ეროვნულმა ნაკრებმაც და ათენში, საბერძნეთის უმთავრეს გუნდს დაუზავდა, 1:1. აპენინებზე „სკუადრა აძურას“ თამაშით არ აღფრთოვანებულან, მაგრამ კრიტიკითაც არავინ გამოსულა. იტალიაში კარგად ესმით, რომ **ლიპი** ახლიდან შეუყვა აღმართს, ახალ გუნდს აკეთებს და მისთვის ხელის შეშლა უმადური საქმე იქნებოდა. ეს სრულიად ბუნებრივია, მარჩელომ ერთხელ უკვე მიიყვანა „აძურა“ მსოფლიო თასამდე და ახლა, ნდობის განუსაზღვრელი მანდატით სარგებლობს. იტალიური პრესა ხარვეზებზე წერს, თუმცა იქვე ყოველთვის დასძენს, რომ მაესტრო არსებულ ნაკლოვანებებს აუცილებლად აღმოფხვრის.

ათენური მატჩი სტუმართა ტერიტორიული უპირატესობით წარიმართა, თუმცა სათამაშოში ეს არ გადაზრდილა. გუნდებმა არც თუ ისე ბევრი მომენტი შექმნეს მეტოქეთა კართან და შესაბამისად, დაფიქსირებულ საყაიმო შედეგს, ლოგიკური ეთქმის. ლიპიმ 4-3-2-1 ტაქტიკა აირჩია და ცენტრფორვარდად **ლუკა ტონი** გაამწესა. მის უკან **ჯუზეპე როსი** და **მაურო კამორანეზი** მოქმედებდნენ. ნახევარდაცვის ხაზი **რიკარდო მონტოლივომ, დანიელე დე როსიმ** და **ჯენარო გატუზომ** გაამაგრეს. დაცვის ცენტრში **ფაბიო კანავაროს ჯორჯი კიელინი** შეუწყვილდა, ფლანგებზე კი არჩევანი **ფაბიო გროსოსა** და **დანიელე ბონერაზე** შეჩერდა. „გაძეტა დელო სპორტისგან“ „აძურას“ ფეხბურთელთაგან ყველაზე მაღალი შეფასებები (6.5 ბალი) კიელინიმ, კამორანეზიმ, დე როსიმ და ერთადერთი გოლის ავტორმა ტონიმ დაიმსახურეს. მიუხედავად იმისა, რომ ლუკას გოლმა „აძურა“ მარცხისგან იხსნა, აპენინელებმა საუკეთესოდ მაინც დე როსი მიიჩნიეს, რომელიც მოედნის ცენტრში უდიდეს სამუშაოს ასრულებდა და ძალიან პროდუქტიულად გაისარჯა.



ტონის თავური და 1:1

მარჩელო ლიპიმ ბერძნებთან მატჩი ახალი ტაქტიკური მონახაზის გამოსაცდელადაც გამოიყენა. იტალიელ ჟურნალისტებს ეს არ გამოპარვიათ და ახალ სქემას უმალ აულეს ალღო. მეორე ტაიმში რიკარდო მონტოლივოს ნაცვლად მოედანზე **სიმონე პეპე** შევიდა და მარცხენა გარემარბის პოზიცია დაიკავა. ჯუზეპე როსიმ კი თავდასხმაში აინაცვლა და ლუკა ტონის შეუწყვილდა. ჩვეულ, მარჯვენა გარემარბის პოზიციაზე დარჩა მაურო კამორანეზი და მივიღეთ შემტევი კვარტეტი, რომელიც მთელი 25 წუთის განმავლობაში ესხმოდა თავს მეტოქე გუნდს. ვერ ვიტყვით, რომ ამ სქემით „აძურამ“ იფრინა, მაგრამ არც უარესობისკენ შეცვლილა სურათი. ლიპისეული ექსპერიმენტი ძალიან საინტერესო მოჩანს და ვნახოთ, რამდენად დაეყრდნობა მარჩელო მომავალში 4-2-2-2 სქემას. დიახ, ციფრებში აღნიშნული ტაქტიკა სწორედ ასე გამოიყურება. აქვე, შეგახსენებთ, რომ ოთხი შემტევით მარჩელოს იტალიას ადრეც უთამაშია, თანაც მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალურ შეხვედრაში გერმანიის ნაკრების წინააღმდეგ. დამატებით დროში, მოედანზე ერთად იყვნენ: **ფრანჩესკო ტოტი, ალესანდრო დელ პიერო, ალბერტო ჯილარდინო** და **ვინჩენცო იაკვინტა**. მაგრამ, ეს უფრო ფორსმაჟორულ სიტუაციაში მიღებული გადაწყვეტილება იყო, ლიპი გრძნობდა, რომ ფინალში გასვლა თერთმეტმეტრიანების გარეშე შეეძლო და ვაბანკზე წავიდა - აქ კი, ყველაფერი წინასწარ დაგეგმილი და გააზრებული გახლდათ.

იტალიური პრესა კიდევ ერთ მნიშვნელოვან ამბავზე ამახვილებს ყურადღებას, ბერძნებთან მატჩში მარჩელო ლიპიმ **ვიტორიო პოცოს** რეკორდი დაამხო, მაესტროს ხელმძღვანელობით ნაკრებს 31 მატჩია, არ წაუგია. შეგახსენებთ, რომ პოცოს დამოძღვრილმა „აძურამ“ ორჯერ აღმართა მსოფლიოს თასი, 1934 და 1938 წლებში. ბერძნებთან მატჩი ლიპიმ დადებითად შეაფასა და შემდეგი განაცხადა:

*„ძალიან ნაყოფიერი სპარინგი იყო, რომელშიც ლოგიკური შედეგი დაფიქსირდა. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მოგება არ შეგვეძლო, რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი გავატანეთ ქარს და მომავალში დამაგვირგვინებელ ფაზაში უფრო კონცენტრირებულნი უნდა ვიყოთ. ჯუზეპე როსიმ პირველად ითამაშა ეროვნულ გუნდში და ბუნებრივია, ცოტას ნერვიულობდა. მთლიანობაში მისი და თითოეული ჩემი ფეხბურთელის თამაშს დადებითად შევაფასებდი. მათ იბრძოლეს, დაიხარჯნენ და იმედია, ასევე გააგრძელებენ. რაც შეეხება რეკორდს, არ დავმალავ და მსიამოვნებს, რომ ძალიან ძველი რეკორდი გავაუმჯობესე. ამიერიდან, ყოველი ახალი წაუგებელი შეხვედრა დამატებითი სიხარულის გამომწვევი იქნება. თუმცა, ბუნებრივია, დიდი წარმატების გარეშე ასეთ რეკორდებს არავითარი მნიშვნელობა არ აქვს“.*

მატჩის შემდეგ ძალიან გახარებული იყო ერთადერთი გოლის ავტორი ლუკა ტონი: *„როგორც იქნა, ნავსი გავტეხე და ეროვნულ გუნდში გოლი გავიტანე. მართალია, ეს ამხანაგურ შეხვედრაში მოხდა, მაგრამ მაინც დიდად გავიხარე. თანაც, ჩემმა გოლმა მარჩელო ლიპის რეკორდის მოხსნის საშუალება მისცა. დღესაც მრცხვენია იმის, რომ ევრო 2008-ზე გოლის გატანა ვერ შევძელი, ვცდილობ, გამოვასწორო ჩემი არცთუ შთამბეჭდავი თამაში ავსტრია-შვეიცარიის მინდვრებზე და „აძურას“ ახალი წარმატებების მიღწევაში დავეხმარო. დიდი მადლობა ლიპის, რომელიც ყოველთვის გვერდში მიდგას და მენდობა. მარჩელო ისეთ დროსაც მიძახებდა, როდესაც კარგი დროება არ მედგა და სამაგიერო გატანილი გოლით გადავუხადე“.*

ბოლოს დანიელე დე როსის კომენტარს გთავაზობთ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რომაული „გაძეტამ“ საუკეთესოდ დაასახელა: *„ნაკრებში თამაში უდიდეს სიამოვნებას მგვრის, რადგან „აძურა“ თითქმის არასდროს აგებს. ეს ნახევრად ხუმრობით, ისე კი მართლაც კარგი თამაში გამოვიდა და ბევრი ახალი ნიუანსიც დავხვეწეთ. გამოიკვეთა შეცდომებიც, რომლებზეც სამუშაო გვაქვს. მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ლიდერები ვართ და პოზიციის დათმობას არც მომავალში ვაპირებთ, ლიპის ხელმძღვანელობით გუნდი თამაშის ხარისხს აუმჯობესებს და წესით, დასახულ მიზანს ზედმეტი გართულებების გარეშე უნდა მივაღწიოთ. რას ვიტყოდი როსის თამაშზე? - კარგად იასპარეზა, მან ნაკრებს სისწრაფე და არაორდინალურობა შემატა, ბეპე მომავალში აუცილებლად გამოადგება „აძურას“.*

იტალიური პრესა 2009 წლის 10 თებერვლის მოლოდინშია, ამ დღეს ლონდონში ერთმანეთის პირისპირ იტალიისა და ბრაზილიის ეროვნული ნაკრებები წარსდგებიან. ამხანაგური, მაგრამ უპრინციპულესი პაექრობა, წერენ აპენინელი ჟურნალისტები - ძნელია, მათი მოლოდინი არ გაიზიარო.

**ლაშა ნიკლაური**

# უკეთესი რაღა უნდა ყოფილიყო?!

**გერმანია-ინგლისი 1:2**

**გერმანია:** ადლერი (46. ვიზე), ფრიდრიხი (68. ტასკი), ვესტერმანი, მერტეზაკერი, კომპერი (77. შეფერი), როლფესი, ჯოუნსი (46. მარინი), ტროხოვსკი, შვაინშტაიგერი, კლოზე (46. ჰელმესი), გომესი (57. პოდოლსკი).

**ინგლისი:** ჯეიმსი (46. კარსონი), ჯონსონი, აპსონი, ტერი, ბრიჯი, ბერი, ქერიკი, დაუნინგი, რაიტ-ფილიპსი (90. კრაუჩი), დეფო (46. ბენტი), აგბონლაორი (77. იანგი).

**გოლები:** 0:1 აპსონი (23), 1:1 ჰელმესი (63), 1:2 ტერი (84)

**მაყურებელი:** 74 248

საკადრო პრობლემებმა აშკარად დაატყო ხელი ორივე გუნდს. წარმოიდგინეთ, მინდორზე მსოფლიო ფეხბურთის შემდეგი ვარსკვლავები ვერ გავიდნენ: **ჯერარდი, ლემპარდი, რუნი, ფერდინანდი, ჰესკი, ეშლი** და **ჯო კოულები, ოუენი, ბექჰემი**; გერმანელთა მხრიდან **ბალაკი, ფრინგსი, ლამი**. სერიოზული დანაკლისია, მაგრამ ვერავინ იტყვის, ზემოთ ჩამოთვლილი ფეხბურთელების არყოფნამ თამაშის ხარისხზე იმოქმედაო. უფრო მეტად ლიდერების გამოკლებამ მასპინძლებზე იმოქმედა. მათი კომბინაციური თამაში სადღაც დაიკარგა. **შვაინშტაიგერმა** ლიდერის ფუნქცია ბოლომდე ვერ შეასრულა. სტუმრები აქტიურად თამაშობდნენ პრესინგს. მარწუხები იმდენად მძლავრი იყო, რომ ხშირად გერმანელებს მეტოქის ნახევარზე ბურთის გადატანაც კი უჭირდათ. შეხვედრის 23-ე წუთზე ინგლისელებმა კუთხური მოაწოდეს. **რენე ადლერი** წინ გამოვიდა, მაგრამ გზად **ჯერმეინ დეფოს** გადააწყდა, შედეგად ბურთს ვერ მისწვდა. ამით კარგად ისარგებლა **მეტიუ აპსონმა** და ანგარიში გახსნა - წინააღმდეგობის გამწევი მას უკვე აღარავინ ჰყავდა. პირველი ტაიმი ამ ანგარიშითვე დასრულდა. მეორეში **იოახიმ ლიოვმა** მინდორზე ინერტული **მიროსლავ კლოზეს** ნაცვლად **პატრიკ ჰელმესი** გამოიყვანა. ათიოდე წუთში **მარიო გომესიც** შეცვალა, ვის ნაცვლადაც ახლახან გამოჯანმრთელებული **ლუკას პოდოლსკი** გამოვიდა. ბაიერნელი საკლუბო თამაშებში რაც არ უნდა უნიათოდ გამოიყურებოდეს, ნაკრებში ყოველთვის კარგად თამაშობს, მაგრამ ყოველ წესს აქვს გამონაკლისი. ლუკასმა ვერაფერი შემატა მანშაფტს. სამაგიეროდ, აშკარად გამოიცნო ცვლილება **ფაბიო კაპელომ**. დეფოს ნაცვლად მინდორზე **დარენ ბენტი** შემოვიდა, ვინც მასპინძლებს პრობლემები გაუორმაგა. საინტერესოა, რომ ინგლისური პრესა ტოტენჰემელის ძირითადში დაყენებას ელოდა. 63-ე წუთზე მოულოდნელად გერმანელებმა გაათანაბრეს. ბურთი ჰელმესმა გაიტანა, მაგრამ რომ არა **ჯონ ტერი**, ბურთი ნამდვილად არ გავიდოდა. ნაკრების კაპიტანმა ბრიყვული შეცდომა დაუშვა.

ტრიბუნები აფეთქდა, რამაც ფეხბურთელები გამოაფხიზლა. გერმანია შეტევაში წავიდა. ინგლისმა ტერიტორია დათმო, მაგრამ აშკარად გამოჩნდა, რომ ეს წინასწარი გათვლით გააკეთა. შეხვედრის ეპილოგი ჯონ ტერისა გამოდგა: მან სრულფასოვანი რეაბილიტაცია გაიარა გულშემატკივართა თვალში. **ჰაიკო ვესტერმანს** თავზე ბრძოლა მოუგო, ბურთი შორ ძელთან გაგზავნა და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.



ტერიმ შეცდომა ამ გოლით გამოასწორა

**ჯონ ტერი:** *„აღფრთოვანებული ვარ გერმანიის ძლიერი ნაკრების ძლევით. მართალია, ამხანაგური შეხვედრა იყო, მაგრამ მაინც ძალიან ბევრი ვისწავლეთ. სასიამოვნო იყო როგორც საწვრთნელი პროცესი, ისე უშუალოდ თამაში. ჩვენს ახალგაზრდობას არაფრის ეშინია. ეს უკვე არა ერთხელ მითქვამს. სწორედ დღეს დავამტკიცეთ, რომ ჩვენს გუნდს დიდი მომავალი აქვს. გაშვებული გოლისას პასუხისმგებელი მე ვიყავი. ჩემნაირ გამოცდილ ფეხბურთელს ეს არ ეკადრება“.*

**ფაბიო კაპელო:** *„უკეთეს დასასრულს ვერც ვინატრებდი. უკვე ცხრა შეხვედრა ჩავატარეთ და თითოეული წინაზე უკეთესი იყო. დღეს კიდევ ერთი ნაბიჯი გადავდგით წინ. მასპინძლები ძალიან გუნდურ ფეხბურთს თამაშობდნენ და ამ ფონზე ჩვენი შედეგი უფრო დასაფასებელია. აგბონლაორმა კარგად ითამაშა. შესანიშნავად მოძრაობდა და ახერხებდა ეკონტროლებინა მინდვრის თითოეული მონაკვეთი, სადაც კი გამოჩნდებოდა. მან იდეალურად დააბალანსა ჩვენი შეტევა. ამით არ მინდა იმის თქმა, რომ გაბი საუკეთესო იყო. დღეს ყველამ კარგად ითამაშა. ფეხბურთელების გამოსვლა მაგალითად უნდა იქცეს მათთვის, ვინც სანახავად ჩამოსვლაც კი ვერ მოახერხა. დარწმუნებული ვარ, მათ საერთო წარმატება ძალზე გაუხარდათ“.*

**იოახიმ ლიოვი:** *„ინგლისელებმა შეხვედრა უკეთესად ჩაატარეს. ჩვენ უფრო იღბლიანი დღეებიც გვქონია, მაგრამ დღეს ფორტუნა არაფერ შუაში იყო. ჩემი გუნდი დღეს წაგებას იმსახურებდა. მეორე ტაიმში ჩვენ როგორღაც ვიპოვეთ საკუთარი თამაში, მაგრამ, საერთო ჯამში, სერიოზულ პრობლემებს წავაწყდით კრეატიული კუთხით. თვალში საცემი იყო, რომ ინგლისელები თამაშის მიმდინარეობისას უმატებდნენ და უმატებდნენ თამაშის ხარისხს. ჩვენ ჩვენი რამდენიმე მომენტიც ქარს გავატანეთ. ბურთს იმაზე უფრო ხშირად ვკარგავდით, ვიდრე ეს დასაშვები იყო. კაპელოს ხელში სტუმრებმა არნახულად მოუმატეს. დღეს საღამოს ჩვენ არ შეგვეძლო მათი დამარცხება“.*

**ბასტიან შვაინშტაიგერი:** *„დღეს ჩვენი დღე არ იყო. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისი ტაქტიკური თვალსაზრისით იდეალურად გამოიყურებოდა. ჩვენ კი... თამაშის ასეთი ხარისხით დღეს მოგება შეუძლებელი იყო“.*

**შალვა ბიბილაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგური მატჩები

# დიეგოსთვის შოტლანდია სასიამოვნო მეტოქეა

| შოტლანდია-არგენტინა | 0:1 |
|---|---|

**შოტლანდია:** მაკგრეგორი, მაკმანუსი (75. ბერა), კოლდუელი, ბროდფუტი, ჰატონი, ჰარტლი (59. მელოუნი), ფერგიუსონი (59. რობერტსონი), კომონსი, ბრაუნი (83. ალექსანდერი), მაკფადენი (68. კლარკსონი), ივეღუმო (46. მილერი).

**არგენტინა:** კარისო, ძანეტი, დემიკელისი, პაპა (86. დიასი), ჰაინცე, გაგო, მასკერანო, გუტიერესი (71. ლუჩო გონსალესი), მაქსი როდრიგესი (90. სოსა), ლავეცი (75. დენისი), ტევესი.

**გოლი:** 0:1 მაქსი როდრიგესი (8)

**მაყურებელი:** 32 492

**დიეგო მარადონამ** არგენტინის ნაკრებში მოღვაწეობა გამარჯვებით დაიწყო. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ თამაშს მთელი საფეხბურთო სამყარო მოუთმენლად ელოდა. ყველას აინტერესებდა, ლეგენდარული კაცის დამოძღვრილი ბიჭები როგორ ითამაშებდნენ. ვერ ვიტყვით, რომ ალბისელესტემ ჯერ არნახული ფეხბურთი ითამაშა, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ სამხრეთამერიკელებმა შოტლანდიელებზე ბევრად კარგად იასპარეზეს. ევროპელი მიმომხილველები პირდაპირ ამბობენ, არგენტინას მარადონას გემოვნება პირველსავე მატჩში დაეტყოო. საქმე ის არის, რომ ალბისელესტე ყველაზე დიდ ყურადღებას შეტევას უთმობდა. შოტლანდიელებს ამოსუნთქვისთვის ხშირად დროც არ რჩებოდათ. მარადონასთვის შოტლანდია განსაკუთრებული გუნდია, რადგან 18 წლის ასაკში ამ გუნდს ძალიან ლამაზი გოლი გაუტანა. მთავარი კი ის არის, რომ მაშინ დიეგომ არგენტინის ნაკრების მაისურათი პირველი ბურთი შეაგდო. ახლა კი შოტლანდიას ალბისელესტეს მთავარი მწვრთნელის რანგში დაუპირისპირდა. მატჩამდე ერთი დღით ადრე მარადონამ საკუთარ ფეხბურთელებს მიმართა, - ჩემთვის და სამშობლოსთვის ითამაშეთო. ბიჭებმა ლეგენდარულ პიროვნებას იმედი არ გაუცრუეს. ყველა მიმომხილველი ერთხმად აღნიშნავს, რომ არგენტინის ნაკრებს ასეთი ენთუზიაზმითა და შემართებით, დიდი ხანია არ უთამაშია. შეხვედრა ახალი დაწყებული იყო, როცა **დემიკელისმა მაკგრეგორს** სერიოზული პრობლემა შეუქმნა. „ბაიერნის" ვარსკვლავმა ლამაზი თავური დარტყმით სცადა გატანა, მაგრამ არ გაუმართლა. შოტლანდიის ეროვნულ გუნდს ერთწლიანი პაუზის შემდეგ კაპიტანი **ბარი ფერგიუსონი** დაუბრუნდა, თუმცა მასპინძელთა გუნდს ამანაც ვერ უშველა. შოტლანდია დაცვაში ბევრ შეცდომას უშვებდა, თავდასხმაში კი ვერაფერს აკეთებდა. არგენტინელები ძალიან კარგად იყვნენ ორგანიზებული. დიეგოს ბიჭების შემართებამ და მონდომებამ შედეგი ძალზე მალე გამოიღო. მერვე წუთზე **ხავიერ მასკერანოს** მიერ წამოწყებული იერიში **მაქსი როდრიგესმა** შოტლანდიელთა კარის დალაშქვრით დააგვირგვინა. უნდა აღინიშნოს, რომ მაქსი ერთ-ერთი საუკეთესო იყო მოედანზე. გოლის გატანის შანსი **ლავეცისაც** ჰქონდა, მაგრამ დემიკელისის მსგავსად მასაც არ გაუმართლა.

არგენტინას ანგარიშის გაზრდის შანსი მეორე ტაიმშიც ჰქონდა. შიგადაშიგ ბრიტანელებიც უტევდნენ. გოლის გატანის ყველაზე რეალური შესაძლებლობა **მაკფადენს** მიეცა, მაგრამ მას **კარისომ** აჯობა და ანგარიშის გათანაბრების შანსი მოუსპო. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, სტუმრების უპირატესობა მთელი შეხვედრის განმავლობაში თვალში საცემი იყო. ამ ყველაფრის გათვალისწინებით თამამად შეიძლება ითქვას, რომ ალბისელესტემ სრულიად სამართლიანად გაიმარჯვა. ამ ფაქტს მსოფლიო პრესაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ჟურნალისტები გულწრფელად აღნიშნავენ, მარადონას გუნდის ასეთ ორგანიზებულ და შთამბეჭდავ თამაშს არ ველოდითო. მიმომხილველები ფიქრობდნენ, რომ სამწვრთნელო ასპარეზზე გამოუცდელი დიეგო სერიოზულ შეცდომებს დაუშვებდა და არგენტინას პრობლემები შეექმნებოდა, მაგრამ სკეპტიკური პროგნოზი არ გამართლდა. ალბისელესტე გამართულად, მიზანდასახულად და ფაქტობრივად, უშეცდომოდ თამაშობდა. შესაძლოა, ჭინმემ იფიქროს, რომ შოტლანდია სუსტი გუნდია, მაგრამ მოწინაალმდეგე რაოდენ სუსტიც არ უნდა იყოს, მისი ტოტალურად დაჩაგვრა იოლი არასოდეს ყოფილა. არგენტინამ კი შოტლანდია სწორედ რომ უკლებლივ ყველა კომპონენტში დაჯაბნა.

მარადონა წარმატებული დებიუტით ძალიან კმაყოფილი დარჩა: *„დარწმუნებული ვარ, ყველა დამეთანხმება, რომ არგენტინის ნაკრების მიერ ჩატარებული ბოლო ორი შეხვედრა სერიოზულად განსხვავდება ერთმანეთისგან. უზომოდ ბედნიერი ვარ, რომ ბიჭებმა კარგად გამიგეს და არაჩვეულებრივად ითამაშეს. მათი ასპარეზობით უსაზღვროდ კმაყოფილი გახლავართ. დღევანდელი ლამაზი თამაშის შემდეგ ალბისელესტეს ნაცრისფერი ცხოვრება წარსულში დარჩა. ზედმეტი თავის ქება რომ არ გამოგვივიდეს, იმასაც ვიტყვი, რომ რამდენიმე შეცდომა დავუშვით. შოტლანდიას ბურთს ვჩუქნიდით ხოლმე, საბედნიეროდ მასპინძლებმა ეს საჩუქარი ვერ გამოიყენეს, თუმცა ეს მოდუნების უფლებას არ გვაძლევს. უფრო რთულ შეხვედრებში ანალოგიურ შეცდომებს თუ დავუშვებთ, შესაძლოა, მწარედ დავისაჯოთ. და მაინც, მიმაჩნია, რომ ჩილესთან ნაგების შემდეგ ნაკრები ხელახლა დაიბადა. ბიჭებმა ისე კარგად ითამაშეს, რომ ის ცუდი გამოცდილება უსიამოვნო მოგონებად აქციეს. დამეთანხმებით, დღეს სულ სხვა შემართებით და ენთუზიაზმით ვიასპარეზეთ. უნდა მოგახსენოთ, რომ ეს ტრანსფორმაცია შემთხვევითობის შედეგი არ არის. ჩვენ ძალიან ბევრს ვფიქრობდით, ვსაუბრობდით და იმ მიზეზის დადგენას ვცდილობდით, რის გამოც ეროვნული გუნდი ხანგრძლივი დროის განმავლობაში გამარჯვებას ვერ ახერხებდა. ჩვენი კვლევის შედეგებზე ახლა არ ვილაპარაკებ, მაგრამ მერწმუნეთ, რომ ძალიან საინტერესო დასკვნებამდე მივედით. მგონი, პირველი შედეგი უკვე სახეზეა. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ არგენტინამ დღეს სულ სხვა ფეხბურთი ითამაშა".*


მარადონას პირველი მატჩი მწვრთნელის ამპლუაში წარმატებული გამოდგა

# ამაოება ფიესტამ შეცვალა


ტორესი ფუენტესის წინააღმდეგ

| ესპანეთი-ჩილე | 3:0 |
|---|---|

**ესპანეთი:** კასილიასი (46. რეინა), რამოსი (61. არბელოა), ალბიოლი, პუიოლი (46. მარჩენა), კაპდევილია, ჩავი (71. ლორენტე), სენა (46. კასორლა), ჩაბი ალონსო, რიერა, ფაბრეგასი, ვილია (57. ტორესი).

**ჩილე:** ბრავო, ფუენტესი, პონსე, ტელო, ალვარესი, ისლა, კარმონა, ფერნანდესი, ალექსის სანჩესი, ორელანა, სუასო (87. ვალდივია).

**გოლები:** 1:0 ვილია (37-პენ), 2:0 ტორესი (66), 3:0 კასორლა (86)

**მაყურებელი:** 15 000

ესპანეთის ნაკრები არ იცვლება. ბევრს ეგონა, რომ ევროპის ჩემპიონის ტიტულის მოპოვების შემდეგ პირენეელებს ჩავარდნის ხანა დაეწყებოდათ, მაგრამ სელექსიონი ვისენტე დელ ბოსკეს ხელმძღვანელობითაც არაჩვეულებრივად თამაშობს. ძალიან საინტერესოა „დიარიო მარკას" სტატიის პირველი წინადადებები. ჟურნალისტი **დელფინ ვალერო** ეროვნული გუნდის თამაშით აღფრთოვანდა და მიმოხილვა ლამაზი სიტყვებით დაიწყო: „ბიჭებმა ჩვენი ოცნებები რეალობად აქციეს, მათ ყოველდღიურობის ამაოება ფიესტად გვიქციეს". ჩვენი კოლეგის ასეთი ლაკონიური შეფასება იმით იყო განპირობებული, რომ ესპანეთის ეროვნულმა გუნდმა 19 ნოემბერს მიმდინარე წლის ბოლო შეხვედრა ჩაატარა. ვალერომ ერთგვარი რეზიუმე გააკეთა და სელექსიონის წლევანდელი თავგადასავალი, რა თქმა უნდა, წარმატებულად შეაფასა. სხვაგვარად ვერც იქნებოდა. პირენეელებმა გასაოცარი პროგრესი განიცადეს. წარსულში დარჩა ის დრო, როცა ესპანეთის თამაში შიშთან, ეჭვებსა და არასტაბილურობის განცდასთან იყო დაკავშირებული. ახლა კი მისთვის სულერთია ამხანაგურ შეხვედრას ატარებს, თუ ოფიციალურ შესარჩევ მატჩს. **ვისენტე დელ ბოსკეს** შეგირდები ყოველთვის ბოლომდე იხარჯებიან და ცდილობენ, რომ ლამაზი ფეხბურთით პირველ რიგში თვითონ ისიამოვნონ და რა თქმა უნდა, გულშემატკივრებსაც ასიამოვნონ. მიუხედავად იმისა, რომ უკან მომქანცველი ტურნირები და მატჩები მოიტოვეს, სელექსიონის ბიჭებმა წლის ბოლო ორთაბრძოლა უმაღლეს დონეზე ჩაატარეს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ „ელ მადრიგალზე" მხოლოდ ერთი გუნდი თამაშობდა. ჩილე მწვავე კონტრიერიშების ორგანიზებას ცდილობდა, მაგრამ სამხრეთამერიკელებს ამის საშუალებას მეტოქის კარგად ორგანიზებული ნახევარდაცვა და უკანა ხაზი არ აძლევდა. სხვათა შორის, სტუმრები ძალიან აგრესიულად თამაშობდნენ. მათი შემხედვარე, ვერავინ იფიქრებდა, რომ ეს ამხანაგური დაპირისპირება იყო. **მარსელო ბიელსას** ბიჭები ესპანელებს არ ინდობდნენ და ფეხებში უმოწყალოდ ურტყამდნენ. ვისენტე დელ ბოსკე სტუმრების აგრესიულობით უკიდურესად აღშფოთდა და პროტესტის გამოსახატავად ხან მსაჯს უყვიროდა, ხან კი ბიელსას პრეტენზიული გამომეტყველებით უყურებდა. მადლობა ღმერთს, ოკეანისგაღმელები გონს მოეგნენ და უხეშობას უკლეს, თუმცა ამით მათი მოტივაცია და გამარჯვებისადმი ლტოლვა არ შემცირებულა. ტყუილად არ გვითქვამს, რომ ჩილე შეხვედრას ისე მიუდგა, როგორც უპრინციპულეს ოფიციალურ დაპირისპირებას. ეს ის შემთხვევა გახლდათ, როცა ჟინი და შემართება კლასის წინაშე ვერაფერს გახდა. ყოველ ეპიზოდში შესამჩნევი იყო, რომ ესპანეთს გაცილებით უფრო მაღალი კლასის გუნდი ჰყავს.

დელ ბოსკემ შეხვედრა ტრადიციული ტაქტიკით დაიწყო. **დავიდ ვილია** ერთადერთი გამოკვეთილი ფორვარდი იყო. მეორე ტაიმში „ვალენსიის" თავდამსხმელი **ფერნანდო ტორესმა** შეცვალა. ესპანეთი ორი ფორვარდით თამაშს 70-ე წუთიდან შეუდგა, როცა **ჩავი ლორენტემ** ჩაანაცვლა. უნდა აღინიშნოს, რომ „დიარიო მარკა" ანგარიშის გახსნას ქართველი არბიტრის, **გიორგი ვადაჭკორიას** მიერ დაშვებულ შეცდომას უკავშირებს: „ჩვენ არაფერი უნდა დავმალოთ და აღვნიშნოთ, რომ ქართველი არბიტრი გიორგი ვადაჭკორია რიერას ფანდზე წამოეგო. წესები არ დარღვეულა, მაგრამ ქართველმა პენალტი გვაჩუქა." ამის გამო გული ნამდვილად არ უნდა დაგვწყდეს, შეცდომა ყველაზე დიდი გამოცდილებისა და ავტორიტეტის მქონე მსაჯებსაც დაუშვიათ. მოკლედ, ასე იყო თუ ისე, 11-მეტრიანი დაინიშნა და დავიდ ვილიამ შანსი ხელიდან არ გაუშვა. დავიდმა ამ გოლით **დონ ალფრედო დი სტეფანოს** მაჩვენებელი გააუმჯობესა. ის ესპანეთის ნაკრების ყველა დროის რიგით მეხუთე საუკეთესო მეგოლე გახდა. მოგვიანებით, ტორესმა ანგარიში ორამდე გაზარდა. საგოლე პასი მას **კასორლამ** მიაწოდა. საფინალო სასტვენამდე მცირე ხნით ადრე, თავად სანტიმაც გაიტანა და გულშემატკივრებს დიდი სიხარული აჩუქა.

დელ ბოსკემ წლის უკანასკნელი მატჩი ასე შეაფასა: *„პირველ რიგში უნდა განვაცხადო, რომ ჩვენი სტუმრები ძალიან აგრესიულად თამაშობდნენ. ჩილე ასეთი უხეში რომ არ ყოფილიყო, დღეს ბევრად ლამაზად ვითამაშებდით. გვინდოდა, ბურთი უფრო დიდ ხანს გაგვეთამაშებინა, მაგრამ სტუმრები ამის საშუალებას არ გვაძლევდნენ. წესების დაცვით რომ ეთამაშათ, ხმას არ ამოვიღებდი, მაგრამ სამწუხაროდ, მათ უხეშობით სცადეს ჩვენი შეჩერება. მიუხედავად ყველაფრისა, გავიმარჯვეთ. ჩემმა ბიჭებმა ყველა დაბრკოლება გადალახეს და დიდი ანგარიშით მოიგეს. დღეს ყველა გულშემატკივარი დავარწმუნეთ, რომ სელექსიონს პრობლემის მოგვარების უნარი შესწევს. ჩილეს უხეშობაზე ძალიან ბევრი ვიწუწუნე, მაგრამ დღევანდელი გამოცდილება მომავალში აუცილებლად გამოგვადგება. ადრე თუ გვიან ოფიციალურ მატჩებშიც შეგვხვდებიან უაღრესად უხეში გუნდები და მათ წინააღმდეგ სწორედ დღევანდელ გამოცდილებას გამოვიყენებთ. ბიჭებს დიდ მადლობას ვუხდი, მიუხედავად იმისა, რომ ამხანაგურ მატჩს ვატარებდით, უკან არავის დაუხევია. ყველას გაცნობიერებული ჰქონდა, რომ საკუთარ ქვეყანას იცავდა და გულშემატკივრების გასახარებლად ყველაფერი გააკეთეს. ალბათ, შეამჩნევდით, რომ მატჩის მსვლელობისას რამდენიმე ტაქტიკური მონახაზი გამოვცადეთ. თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ ბიჭები ყველა სისტემას მოერგნენ და მაღალ დონეზე იასპარეზეს".*

**მარსელო ბიელსა** კოლეგის ბრალდებებს არ დაეთანხმა და განაცხადა, ფეხბურთს უხეშობა ყოველთვის თან ახლავსო: *„თავს უფლებას მივცემ, სენიორ დელ ბოსკეს არ დავეთანხმო. შესაძლოა, რამდენიმე ეპიზოდში მეტისმეტად უხეშად ვითამაშეთ, მაგრამ მთლიანობაში, დღევანდელი შეხვედრა უხეში არ ყოფილა. ყოველ შემთხვევაში, მე კატასტროფული ვერაფერი დავინახე. ფეხბურთი კონტაქტური სპორტია და მას უხეშობა ხშირად სდევს თან. ყოველ ეპიზოდზე წუწუნი რომ დავიწყოთ, უშუალოდ თამაშის შესაფასებლად დრო არ დაგვრჩება. ესპანეთმა შეტევაში აშკარად გვაჯობა. სამწუხაროდ, რიტმს ვერ ვაკონტროლებდით. მასპინძლებმა თავიანთი ტემპი მოგვახვიეს თავს და დავმარცხდით. არა უშავს, ამ თამაშმა ძალიან დიდი გამოცდილება შეგვძინა".*

გვერდი მოამზადა
ილია **ნიკოლაიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგური მატჩები

# კაკასა და რონალდოს დუელი ფაბიანუს ბენეფისად იქცა

**ბრაზილია-პორტუგალია 6:2**

**ბრაზილია:** ჟულიო სეზარი, მაიკონი (79. დანიელ ალვეში), ლუიზაო, ტიაგო სილვა, კლებერი (82. მარსელო), ჟილბერტო სილვა, ელანო (76. მანსინი), ანდერსონი (80. ჟოსუე), კაკა, ლუიშ ფაბიანუ (67. ადრიანო), რობინიო (82. ალექსი).

**პორტუგალია:** კუიმი, ბოსინგვა, ბრუნო ალვეში, პეპე, პაულო ფერეირა, მანიშე (84. სეზარ პეიშოტუ), ტიაგო (46. რაულ მეირელეში), დეკუ (67. მოუტინიო), დანი (46. ნანი), სიმაო საბროსა (77. უგო ალმეიდა), კრისტიანო რონალდო.

**გოლები:** 0:1 დანი (4), 1:1 ლუიშ ფაბიანუ (8), 2:1 ლუიშ ფაბიანუ (25), 3:1 მაიკონი (56), 4:1 ლუიშ ფაბიანუ (58), 4:2 სიმაო საბროსა (62), 5:2 ელანო (65), 6:2 ადრიანო (90)

**მაყურებელი:** 20 000


ლუიშ ფაბიანუმ პორტუგალია ჰეთ-თრიკით ასიამოვნა

ბრაზილიის ეროვნულმა გუნდმა, ბევრისთვის მოულოდნელად, პორტუგალიის ეროვული გუნდი მიწასთან გაასწორა. მიმომხილველები ხმამაღლა ამბობენ, რომ **კარლოს დუნგამ** სელესაოს მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა. გულშემატკივრები ამ თამაშს ფრიად საინტერესო მიზეზის გამო მოუთმენლად ელოდნენ. დღეს ბევრს ბჭობენ, ვის ეკუთვნის ოქროს ბურთი და მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის სტატუსი. **კრისტიანო რონალდო** ერთ-ერთ ფავორიტად მიიჩნევა. **კაკა** კი მოქმედი საუკეთესო მოთამაშეა. მათი დუელი საზოგადოებაში აჟიოტაჟს ერთიორად ზრდიდა. ანგარიშიდანაც ჩანს, რომ დუელი ბრაზილიელი ვარსკვლავის გამარჯვებით დასრულდა, თუმცა სამართლიანობა მოითხოვს ალინიშნოს, რომ მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად **ლუიშ ფაბიანუ** მოგვევლინა...

მიუხედავად იმისა, რომ ამხანაგურ დაპირისპირებას არანაირი პრაგმატული ღირებულება არ აქვს, ორივე გუნდი ლამაზი ფეხბურთის სათამაშოდ და მოსაგებად გამოვიდა. ბრაზილიელებსა და პორტუგალიელებს დაუვიწყარი სპექტაკლის დადგმა რომ სურდათ, ეს ისევ და ისევ ანგარიშიდან ჩანს. გუნდებმა ღია ფეხბურთი ითამაშეს და გულშემატკივრებს დიდი სიამოვნება მოგვანიჭეს. მატჩი სტუმართა უპირატესობით დაიწყო. პორტუგალიელთა აქტიურობამ შედეგი ძალიან მალე გამოიღო, მე-4 წუთზე **დანიმ დეკუს** მიერ წამოწყებული იერიში გოლად აქცია. სტუმართა სიხარული დიდხანს არ გაგრძელებულა. მე-8 წუთზე ლუიშ ფაბიანუმ წონასწორობა აღადგინა. სევილიელ ფორვარდს **რობინიო** დაეხმარა. „მანჩესტერ სიტის" ვარსკვლავმა არაჩვეულებრივად ითამაშა, **პეპეს** ბურთი მოჰპარა და ლუიშ ფაბიანუს ფანტასტიკური პასი მიაწოდა. ამის შემდეგ დაიწყო ის, რასაც ბრაზილიაში ჯოგო ბონიტოს (ლამაზი თამაში) უწოდებენ. ფაბიამუმ და ბრაზილიამ პორტუგალია მიწასთან გაასწორეს. დიდი ხანია, სელესაოს ასეთი მრავალფეროვანი და მდიდრული ფეხბურთი არ უთამაშია. აღსანიშნავია, რომ პენტაკამპეონებმა არაერთი რეალური საგოლე მომენტი ვერ გამოიყენეს. მათ გაფუჭებული მომენტების 50 პროცენტი მაინც რომ გამოეყენებინათ, **კიმის** კარში კიდევ 4-5 ბურთს შეაგდებდნენ.

დუნგა მისი შეგირდების თამაშით, რა თქმა უნდა, კმაყოფილი და აღფრთოვანებული დარჩა: *„ჩვენ დიდი პრობლემების ეპოქა გამოვიარეთ. პრესა დაუნდობლად გვაკრიტიკებდა და გვაკრიტიკებს, მაგრამ ახლა ის მომენტია, როცა ყველა დაპირისპირებული ადამიანი კმაყოფილი და ბედნიერი უნდა იყოს. ჩვენ საუცხოო ფეხბურთი ვითამაშეთ. მერე რა, რომ ამხანაგური მატჩი მოვიგეთ. მთავარია, ლამაზი ფეხბურთი ვაჩვენეთ. გულშემატკივრებს ხომ სწორედ ეს ახარებთ. დავამტკიცეთ, რომ მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი გვყავს. მე ძალიან კარგად მესმის, რომ ჟურნალისტებს მიზეზები ნაკლებად აინტერესებთ. მათთვის მთავარი შედეგია. როცა ცუდი შედეგები გვქონდა, ისინი მართლაც დაუნდობლად გვაკრიტიკებდნენ და ამით საზოგადოებას სელესაოს შესაძლებლობებში აეჭვებდნენ. ახლა სიამაყით შემიძლია ვთქვა, რომ ჩემმა გუნდმა ეჭვების ხანას წერტილი დაუსვა. თავგანწირვამ, შემოქმედებითმა აზროვნებამ და შეუპოვრობამ არაჩვეულებრივი შედეგი გამოიღო. დიდი მადლობა ბიჭებს, რომ დაუვიწყარი და ისტორიული გამარჯვება გვაჩუქეს. ჟურნალისტებს მოვუწოდებ, ფეხბურთელების ღვაწლს საგანგებოდ გაუსვან ხაზი. როცა ცუდად ვთამაშობთ, ლანძღვა-გინებით გვიკლებენ. ახლა კი ბიჭების ქება-დიდების დრო დადგა".*

**ილია ნიკოლაიშვილი**

# არსენალმა დაიწყო, ლივერპულმა დაასრულა

**ჰოლანდია-შვედეთი 3:1**

**ჰოლანდია:** ტიმერი (46. ვორმი), ჰეიტინგა (78. მენდეშ და სილვა), მატიისენი, ოოიერი, ვან ბრონკჰორსტი (46. დე კლერი), ვან ბომელი, სნეიდერი (74. ენგელაარი), დე ზეეუვი (50. ვან დერ ვაარტი), კუიტი, ვან პერსი, ბაბელი (63. აფელაი).

**შვედეთი:** ისაკსონი, ჰანსონი, ნილსონი, მაისტროვიჩი, საფარი, ვილჰელმსონი, ანდერსონი, ლინდგრენი, ჰოლმენი, ჰ. ლარსონი, იბრაჰიმოვიჩი.

**გოლები:** 1:0 ვან პერსი (33), 2:0 ვან პერსი (50), 2:1 კალსტრიომი (51), 3:1 კუიტი (90)

**მაყურებელი:** 25 000

შეიძლება თამამად ითქვას, რომ „ნარინჯისფერთა" მეტოქეები შესუსტებული შემადგენლობით თამაშობდნენ. სკანდინავიელებს მთავარი დამრტყმელი ძალა აკლდათ. ლაპარაკია ინტერელ **ზლატან იბრაჰიმოვიჩზე. ლარს ლაგერბაკმა** ფეხბურთელს ანგარიში გაუწია და შინ დარჩენის ნება მისცა.

თავად შეხვედრას ამხანაგურისა არაფერი ეცხო: ვიხილეთ ყველაფერი, დაუნდობელი ბრძოლა, უხეშობა, ნერვების თამაში... მაგრამ სანახაობა მართლა მაღალი დონისა გამოდგა. გუნდები ძირითადად შექმნაზე ფიქრობდნენ. ეს, პირველ რიგში, მასპინძლებზე ითქმის. მე-15 წუთისთვის გუნდებმა მოასწრეს სახიფათო იერიშების შექმნა. პირველი სიტყვა **ვან პერსიმ** თქვა: **რაიან ბაბელის** ფლანგური ჩაწოდების შემდეგ დაბალი ბურთი დაარტყა, მაგრამ **ანდრეას ისაკსონი** ბურთს ადგილზე დახვდა. საპასუხო შეტევაში უკვე **ჰენრიკ ლარსონმა** გამოიდო თავი, მაგრამ მისი თავური ხარიხას ზემოდან გადააფრინდა. სტუმართა შეტევები პირველ ტაიმში ამით ამოიწურა, მაგრამ თამაშს განსაკუთრებულ ეშხს „მფრინავი მასპინძლები" რომ მატებდნენ, ზემოთაც მოგახსენეთ. ისინი ზედიზედ ქმნიდნენ სახიფათო მომენტებს. მართალია, ყველა მათგანი კარში დარტყმით არ სრულდებოდა, მაგრამ ისაკსონი მუდმივად დაძაბულობაში კი ჰყავდათ. განსაკუთრებით აქტიური იყო ჰოლანდიელთა ფლანგები. ბაბელი და ვან პერსი უპრობლემოდ ნახულობდნენ თავისუფალ სივრცეებს შვედების დაცვაში. სწორედ ასეთი სცენარით გავიდა გოლი: „არსენალის" თავდამსხმელმა ბურთი საჯარიმოში შეაგდო, რომელსაც **ვან ბომელი** დაეუფლა და გაიტანა... უნგრელმა არბიტრმა **ჟოლტ ჩაბომ** „ბაიერნის" კაპიტანს არ მისცა საშუალება, ზედიზედ მეორე შეხვედრაში სანაკრებო გოლი მიეთვალა და გოლი გააუქმა. გადაწყვეტილება აბსოლუტურად გამართლებული იყო, რადგან ეპიზოდის დასაწყისში ვან პერსი აშკარა თამაშგარეში იმყოფებოდა. ანგარიში 33-ე წუთზე გაიხსნა. **ვან მარვიიკის** შეგირდებმა კუთხური გაითამაშეს, **ვესლი სნეიდერმა** ბურთი პირდაპირ ვან პერსის დაასვა თავზე. ამ უკანასკნელსაც არაფერი შეშლია. შესანიშნავი გოლი გამოვიდა. აღნიშნული ეპიზოდის შემდეგ მატჩის ტემპი დაეცა. ინიციატივას ისევ ჰოლანდიელები ფლობდნენ, მაგრამ თავს ზედმეტად არ იწუხებდნენ. ისაკსონს ცოტა ამოსუნთქვის საშუალება მიეცა.

მეორე ნახევარი ბევრად მხიარული აღმოჩნდა. გავიდა 6 წუთი და ანგარიში ორჯერ შეიცვალა. ყურადღების ქვეშ ხელახლა ვან პერსი მოექცა, შემდეგ - **კიმ კალსტრიომი**, რომელიც მინდორზე რამდენიმე წამის გამოსული იყო. ამ უკანასკნელმა მოახერხა და თამაშს ბოლო წუთამდე ინტრიგა შეუნარჩუნა. 2:1-ის შემდეგ ტემპი ისევ დაეცა, ბურთმა ძირითადად ცენტრში დაიწყო მოძრაობა, მაგრამ აშკარა იყო, რომ ჰოლანდიელებს თამაშის აფეთქება ნებისმიერ წამს შეეძლოთ. ბოლო წუთზე **დირკ კუიტმა** შეძლო თავის გამოჩენა. ლივერპულელმა პასი ისევ ფლანგიდან მიიღო და **რუუდ ვან ნისტელროოის** სტილში გაიტანა - დასწრებაზე.

მატჩის საუკეთესო მოთამაშედ ჰოლანდიურმა პრესამ ერთხმად რობინ ვან პერსი დაასახელა, მან 8.5 შეფასება მიიღო.

**შალვა ბიბილაშვილი**


ვან პერსის გააქვს პირველი გოლი შვედების კარში


ანელკა ურუგვაელების წინააღმდეგ ვერაფერს გახდა

# დომენეკი უნდა წავიდეს

**საფრანგეთი-ურუგვაი 0:0**

**საფრანგეთი:** ლორისი, ფანი, გალასი, მექსე, ევრა, ვიეირა (46. ა. დიარა), ტულალანი, გურკუფი (72. ნასრი), რიბერი (58. ბენზემა), ანრი (72. ბრაიანდი), ანელკა (46. სავიდანი).

**ურუგვაი:** კარინი, გოდინი (19. ვალდესი), ლუგანო, კასერესი, სილვა, გარგანო, მაქსიმილიან პერეირა, კრისტიან როდრიგესი (82. სანჩესი), ალვარო პერეირა (71. კარდასიო), ფორლანი (46. კავანი), სუარესი (69. აბრეუ).

**მაყურებელი:** 75 000

საფრანგეთი-ურუგვაი, გუნდების სახელებითა და წარსულით რომ ვიმსჯელოთ, ვიტყვით, რომ მათ ულამაზესი ფეხბურთი უნდა ეთამაშათ, მაგრამ სამწუხაროდ, გულშემატკივრებმა უკიდურესად მოსაწყენი, მოსაბეზრებელი და დამღლელი მატჩი იხილეს. მოედანზე მსოფლიო ფეხბურთის არაერთი ვარსკვლავი იყო, მაგრამ საგოლე მომენტები თითქმის არ იქმნებოდა. ეს სრულიად აუხსნელი ფაქტი გახლდათ. ყველამ ვიცით, რომ საფრანგეთის ნაკრებს რთული დრო უდგას, მაგრამ „მამლების" ასეთ ინერტულ და უსახურ თამაშს არანაირი გამართლება არ გააჩნია. **რაიმონ დომენეკი** ყოველ ჯერზე უფრო და უფრო გვარწმუნებს, რომ საფრანგეთის ეროვნულ გუნდში მას არაფერი ესაქმება. მართალია, ურუგვაის ციდან ვარსკვლავები არ მოუწყვეტია, მაგრამ მიუხედავად ამისა, მათ მასპინძლებს ძალიან ბევრ კომპონენტში აჯობეს. **ოსკარ ვაშინგტონ ტაბარესმა** ძირითად შემადგენლობაში, ფაქტობრივად, საუკეთესო მოთამაშეები დააყენა. მათ ფრანგებს ტოლი არ დაუდეს და ოდნავ მეტად რომ გამართლებოდათ, გაიმარჯვებდნენ კიდეც.

როცა საფრანგეთის ნაკრები ცუდად თამაშობს და საშინაო შეხვედრაში ვერ იმარჯვებს, ჟურნალისტებს ერთი სული აქვთ, მთავარი მწვრთნელი მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე კუთხეში მიამწყვდიონ. ამჯერადაც ასე მოხდა, დომენეკისთვის ჟურნალისტების კრიტიკა მძიმე მოსასმენი იყო. მასპინძელთა თავკაცმა შეცდომები აღიარა, მაგრამ თვითკრიტიკით ვერავის გული ვერ მოიგო. ფრანგული მედია, ფედერაციის ხელმძღვანელობას ახალი მწვრთნელის დანიშვნისკენ მოუწოდებს. მათი აზრით, კრიზისიდან გამოსვლის ერთადერთი საშუალება დომენეკის წასვლაა.

**ილია ნიკოლაიშვილი**

ჭადრაკი XXXVIII ოლიმპიადა. დრეზდენი 2008

# რა შანსები დაგვრჩა?

ორი ტურის წინ, როცა საქართველოს ვაჟთა ნაკრებმა სლოვაკეთის გუნდს მოუგო, პრესცენტრში პრესკონფერენცია გაიმართა, სადაც **ბაადურ ჯობავაც** მიიწვიეს და სლოვაკთა ლიდერი **სერგო მოვსესიანიც**. მათთან ერთად გერმანელი **ელიზაბეტ პეჰციც** დაპატიჟეს. ბრიფინგს სახელგანთქმული **ჟუჟა პოლგარი** უძღვებოდა. შეხვედრამ საკმაოდ მხიარულად ჩაიარა. კითხვებს ყველა ერთობ ხალისითა და იუმორით პასუხობდა. ამ საქმეში განსაკუთრებით ბაადურ ჯობავა აქტიურობდა. პუბლიკა გვარიანად გაამხიარულმა მისმა მოსწრებულმა პასუხებმა,

ცხადია, ჟურნალისტებს სერიოზულ შეკითხვებზე შესაბამისი პასუხების მოსმენაც სურდათ. ერთ-ერთი კითხვა პოლგარმა ყველა მოწვეულს დაუსვა: თქვენი აზრით, ვინ გაიმარჯვებს როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორისო? ჯობავამ საკუთარ სტილს არ უღალატა - ორივე შეჯიბრებას საქართველოს ნაკრები მოიგებსო, უპასუხა. მოვსესიანის მტკიცებით, კაცებში ჩინეთი გახდება ჩემპიონი, ქალთა შორის კი რუსეთი. პეჰცმა ქალებში საქართველოს ნაკრებს უწინასწამეტყველა გამარჯვება. იქვე განმარტა, ქართველები კარგი საჭადრაკო სკოლით გამოირჩევიან და გუნდიც ძლიერი მოთამაშეებით არის დაკომპლექტებულიო. ვაჟებში მან სომხეთის ნაკრებს მიანიჭა უპირატესობა. მოსასმენად ნამდვილად სასიამოვნო იყო მსოფლიოში აღიარებული ოსტატების პროგნოზები, მაგრამ ჯერ კიდევ არ გვქონდა ნაგებული შეხვედრები: ქალებს - პოლონეთთან და ვაჟებს - ჩინეთთან... სამწუხაროდ, ერთდღიანი შესვენების შემდეგ უარესად გამოვიყურებოდით და მეექვსე ტურში სრული ფიასკო განვიცადეთ. ნაგებამ საგრძნობლად დაგვხია უკან. ჩემპიონობას ვინ ჩივის, საპრიზო ადგილებზე გასვლის შანსებიც კი ბუნდოვანი გაგვიხდა. მეშვიდე ტურის წინ ჩვენი ვაჟები 25-ე ადგილზე იყვნენ 8 ქულით, ქალები კი 9 ქულით მეთხუთმეტეზე. ფინიშამდე ხუთი ტურით ადრე საგანგაშო ვითარება არ გახლავთ, მაგრამ გვაშფოთებს ქართველთა თამაშის ხარისხი და თუ არ მოვუმატეთ, ღირებულს ვერაფერს შევწვდებით. არცთუ სახარბიელო ვითარების მიზეზებზე ქალთა გუნდის მწვრთნელს, **თორნიკე სანიკიძეს** დავეკითხე და აი, რა გვითხრა ახალგაზრდა დამრიგებელმა. *„მაია ჩიბურდანიძესთან პრეტენზია არ მაქვს, რადგან შესანიშნავად თამაშობს და გუნდი კვლავ მასზეა დამოკიდებული. ერთადერთი, რაზეც გული დაგვწყვიტა, ეს იყო პოლონელ მონიკა სოცკოსთან თითქმის მოგებული პარტიის ყაიმამდე მიყვანა. ერთი უყურადღებობა და მონიკამ მუდმივი ქიშით ქულა აილო. ძალიან დავილალე და ეს ვარიანტი ვერ დავინახეო, თქვა პარტიის შემდეგ მაიამ. დანარჩენებს კი დებიუტებში პრობლემა არ აქვთ, მაგრამ რეალიზებაში მოიკოჭლებენ. ნანა ძაგნიძე ორი თვის განმავლობაში რამდენიმე ძლიერ ტურნირში თამაშმა აშკარად გადაღალა. ლელა ჯავახიშვილს მისი დღევანდელი ფიზიკური მდგომარეობა არ აძლევს ოსტატობის სრულად გამოვლენის საშუალებას - ლელა ფეხმძიმედ გახლავთ, ოთხიოდ თვეში დედა გახდება. როგორც ჩანს, ფიზიოლოგიურმა ცვლილებებმა მის თამაშზე უარყოფითი გავლენა იქონია. აშკარაა, რომ ბოლოსკენ ძალები აღარ ჰყოფნის... მაია ლომინეიშვილს, გუშინდელ მარცხამდე ძალიან კარგი შედეგი ჰქონდა – ოთხიდან სამნახევარი ქულა, მაგრამ მასთან პარტიათა ხარისხის მხრივ მქონდა პრეტენზია. რამდენჯერმე მოახერხა უარესი პოზიციიდან თავის დაღწევა, მაგრამ პოლონელ მაიდანთან კი ვერ შეძლო ამის გაკეთება. ხსენებულ პარტიაში მან ბევრად დაბალი ხარისხის თამაში აჩვენა, ვიდრე მისი კვალიფიკაციის დიდოსტატს ეკადრება. რომ გითხრათ, ფსიქოლოგიური პრობლემები არსებობს გუნდში და განწყობასაც ვერ ახერხებენ-მეთქი, არ იქნება მართალი, - ამ მხრივ ყველაფერი წესრიგშია და ამიტომაც მრჩება დიდი იმედი, რომ შევძლებთ მედლებისთვის ბრძოლას“.*

მეშვიდე ტურში ქართველ ქალებს ესპანელები შეხვდნენ წილისყრით. ესპანეთის ქალთა კრებული ნამდვილად არ არის სერიოზული ძალა და ჩვენებს, უბრალოდ, დიდი ანგარიშით მოგება მართებდათ. მოგეხსენებათ, რომ საერთო ჩათვლაში ადგილების განაწილებისას სამატჩო ქულებთან ერთად, პარტიათა მიხედვით დაგროვილი ქულებიც იქნება გათვალისწინებული. ამ მხრივ კიდევ უარესი მდგომარეობა გვაქვს და გამარჯვებები აუცილებელია.

ვაჟების მდგომარეობა რომ დიდად არ განსხვავდება ქალებისაგან, გითხარით. ერთია მხოლოდ, მათგან გმირობას არ ვითხოვთ - ანუ მედლები თუ ვერ მოიპოვეს, არავინ დაძრახავს. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ხელები ჩამოუშვან - ოლიმპიადაზე გოჯსაც არავინ დაგითმობს, თუკი არ აიძულე. ამჯერად შოტლანდიელები გვერგო და მათი ხასიათი რომ ვიცით, ბოლომდე იბრძოლებდნენ ყოველი ქულისთვისაც. ასეც მოხდა. დებიუტში გამოკვეთილ გუნდურ უპირატესობას ვერ მივაღწიეთ. კიდევ კარგი, რომ მაღალმა კლასმა თავისი გაიტანა და შუა თამაშიდან დავიწყეთ ბაგირის საჩვენოდ გადმოწევა: პირველად ჯობავამ იმარჯვა, მერე **მიხეილ მჭედლიშვილმაც** მოუთავა ხელი მეტოქეს. **ზვიად იზორიამ** ჩვეულ სტილში - აუღელვებლად და ზედმეტი რისკის გარეშე წარმართა პარტია შავებით და ყაიმს დასჯერდა. ეს უკვე გამარჯვება იყო და თუკი მეოთხე დაფაზე **დავით არუთინიანი** გაიმარჯვებდა, სოლიდური მარაგით წავიწევდით წინ. საბედნიეროდ, ასეც მოხდა. შავი ფერის მიუხედავად, დავითმა შეძლო მოწინააღმდეგის დაშამათება, შედეგად 3,5:0,5. დღეს უკეთესი მეტოქე გვერგება და მისი დამარცხების შემთხვევაში მაღალი ადგილებისთვის ბრძოლის შანსი მოგვეცემა.

ქალებმაც ივაჟკაცეს და არცთუ ძლიერ ესპანეთს შანსი არ მისცეს: პირველ დაფაზე **ნანა ძაგნიძემ** იმარჯვა იოლად; მეორეზე ლელა ჯავახიშვილმა შეძლო უპირატესობის შენარჩუნება და მეტოქე დაამამათა; ყველაზე ადრე **მაია ლომინეიშვილმა** მოახერხა გუნდისთვის ქულის მოპოვება. დიდხანს გაგრძელდა ბრძოლა მეოთხე დაფაზე, სადაც **სოფიკო ხუხაშვილი** შავებით ცდილობდა მეოთხე ქულის მოხვეჭას. **ვეგა ლიანესა** საკმაოდ კერკეტი კაკალი აღმოჩნდა. ქართველს დიდი ჯაფა დაადგა, რათა სასურველი პოზიცია მიეღო, რის შემდეგაც გამარჯვებას შეძლებდა. ესპანელმა მარცხი 71-ე სვლაზე აღიარა. 4:0, ამ ანგარიშით მიმდინარე ოლიმპიადაზე პირველად მოვიგეთ. განწყობილების ასამაღლებლად შესანიშნავი პირობაა და იმედია, რომ დარჩენილ ტურებში წარმატებას მივაღწევთ.



ბაადურ ჯობავა

**ზვიად შათირიშვილი**
**დრეზდენიდან**

ხალხური სახეობები

# ნესტორობა ზუგდიდში





გიორგი სუხიშვილის ფოტოები

მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციან წლებში გაზეთი „დროება“ „იტალიელთა ბაღში“ გამართულ ორთაბრძოლაზე წერდა: *„გაცეცხლებული მეგრელი ვეფხვივით მივარდა კულას და დასცა ბეჭებზე, რითაც მოიპოვა საბოლოო გამარჯვება.“*

დიახ, **კულა გლდანელისა** და **ნესტორ ესებუას** პაექრობაზე მოგვითხრობს გაზეთი. სენაკის რაიონის სოფელ სორტაში დაბადებულ და გაზრდილ უძლიერეს ფალავანს, სისწრაფით, ღონითა და მოქნილობით გამორჩეულს, გლდანელთან ერთად მრავალი სწორუპოვარი მოჭიდავე ჰყავს ძლეული, მათ შორის - უცხოელიც. ესებუას კისრულის, ჩოქელას, შუა სარმის, გარეკაურისა და სხვა ელვისებური ილეთების მსხვერპლნი გამხდარან **კლემენს ბული, გეორგ ლურიხი, ივან პოდდუბნი, სარი სულეიმანი, ემილ ფორი** და სხვები. წარმატებით უასპარეზია პეტერბურგის, თეირანის, სტამბოლის, ბრიუსელის, პარიზის დიდ ტურნირებზე. მის სახელს დღესაც არ ივიწყებენ ჩვენთან. ქართული ხალხური თამაშებისა და სპორტის ეროვნული სახეობების ასოციაციის (პრეზიდენტი **დიმიტრი დუნდუა**) ინიციატივით გასულ უქმეებზე ზუგდიდმა უმასპინძლა ნესტორ ესებუას სახელობის მესამე ტურნირს ქართულ ჭიდაობაში, მკლავჭიდსა და ლახტში.

- შეჯიბრებას 2004 წელს ჩაეყარა საფუძველი, - მითხრა ბატონმა დიმიტრიმ. - მაშინ მოასპარეზეებმა ნესტორის მშობლიურ სენაკში მოიყარეს თავი. სტუმრად დაღესტნელებიც გვყავდა. მომდევნო წელს უფრო გრანდიოზული ტურნირი იყო ჩაფიქრებული, მაგრამ რაიონის მესვეურები არ დაგვიდგნენ გვერდით. იძულებული გავხდით, შარშან პაექრობები ზუგდიდში გადაგვეტანა. ორი წელიწადია, ადგილობრივი ხელმძღვანელობა აქტიურად გვეხმარება და მადლობის მეტი რა გვეთქმის.

წლეულს ტურნირის ჩატარება ოქტომბერში გვინდოდა, მაგრამ საქართველოზე რუსეთის აგრესიამ შეგვაფერხა - ერთი თვით გვიან ჩავედით ზუგდიდში. მარტო ქართულ ჭიდაობაში 8 რაიონის 80-მდე ფალავანმა იასპარეზა. მონაწილეთა რაოდენობა და ხარისხობრივი მაჩვენებლებიც უკეთესი იქნებოდა, ამ შაბათ-კვირას რომ არ დამთხვეოდა 23 წლის ძიუდოისტთა შესარჩევი ტურნირები თბილისსა და კახეთში. სწორედ ამ საპატიო მიზეზით ბევრმა ცნობილმა ფალავანმა ვერ შეძლო, ზუგდიდშიც ეჭიდავა. ამის მიუხედავად, ორთაბრძოლებს სიმწვავე არ დაჰკლებია. ტურნირმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ნესტორ ესებუას სახელობის შეჯიბრება მომავალი წლიდან უფრო ფართო მასშტაბით უნდა ჩავატაროთ მის მშობლიურ სოფელ სორტაში, თან პროგრამაში ქართულ ჭიდაობასთან, მკლავჭიდთან და ლახტთან ერთად ცხენოსნობაც უნდა შევიტანოთ. „ნესტორობის“ გამართვაში სპორტის დეპარტამენტისა და ადგილობრივი ხელისუფლების დახმარების იმედი გვაქვს...

ზუგდიდში მოჭიდავეებმა შვიდ წონით კატეგორიაში გამოსცადეს მკლავისა და მუხლის ძალა. გაუწყებთ გამარჯვებულებისა და პრიზიორების ვინაობას:

**60 კგ. 1. ანდრია გიუნაშვილი, 2. ოთარ კაიდარაშვილი (ორივე - გორი), 3. ამირან თამლიანი (მესტია).**

**65 კგ. 1. სოსო ქოაშვილი (გორი), 2. სოსო ჭოლაძე, 3. ზურაბ შერვაშიძე (ორივე - ქუთაისი).**

**70 კგ. 1. ირაკლი შონია, 2. ილია დვალიშვილი, 3. როლანდ მორგოშია (სამივე - ზუგდიდი).**

**75 კგ. 1. ოთარ ახალაია (ზუგდიდი), 2. გიორგი შუკვანი (მესტია), 3. ლაშა გუმბერიძე (ქუთაისი).**

**80 კგ. 1. მოსოსტრი იოსელიანი (მესტია), 2. გოჩა ოდოსაშვილი (სენაკი), 3. ვანო ბერიძე (ფოთი).**

**90 კგ. 1. გრიგოლ მამრიკიშვილი, 2. ლაშა გურული (ორივე - ქუთაისი), 3. ალეკო გულედანი (მესტია).**

**მძიმე წონა. 1. დავით ბოჭორიშვილი (ქუთაისი), 2. ლექსო მაკარაძე, 3. გიორგი კანკავა (ორივე - ზუგდიდი).**

**მკლავჭიდში 66-მა სპორტსმენმა იასპარეზა. წონითი კატეგორიების მიხედვით პირველ ადგილებზე გავიდნენ ბეჟან ჭიჭინაძე (60 კგ, ზუგდიდი), მუხტარ იოსელიანი (70, მესტია), ერეკლე პაჭკორია (80, ზუგდიდი), ალეკო გულედანი (90, მესტია), რობერტ მანია (აბსოლუტური, ზუგდიდი).**

ლახტში მხოლოდ ორი გუნდი დაუპირისპირდა ერთმანეთს: „ოდიშმა“ „მგლები“ დაჯაბნა.

მომავალ კვირას - წმინდა გიორგის ბრწყინვალე დღესასწაულზე - ქართული ხალხური თამაშებისა და სპორტის ეროვნული სახეობების ასოციაცია კახის რაიონში (საინგილო) მეთვრამეტედ გამართავს ქურმუხობას. მასპინძლები და საქართველოდან ჩასული სტუმრები ქართულ ჭიდაობაში, მკლავჭიდში, ლახტსა და საჯილდაო ქვის აწევაში შეეჯიბრებიან ერთმანეთს.

**ვაჟა დანელია**

ძიუდო

# დღეს ევროპა იწყება

## საქართველოზე ვარსკვლავები დაისვენებენ

U-23 JUDO
European Championships
Zagreb | Croatia | 21-23 | 11 | 08

ძიუდოს სეზონი დასასრულს უახლოვდება, თუმცა დარჩა რამდენიმე საინტერესო შეჯიბრებაც: ევროპის 23-წლამდელთა პირველობა, რომელიც ხორვატიის დედაქალაქ ზაგრებში დღეს დაიწყება, საქართველოს ჩემპიონატი და მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონატი.

ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატში დღეს მაღალი წონების ძიუდოისტები იჭიდავებენ: **გიგა წიკლაური** (81 კგ), **გიორგი ეპიტაშვილი** (90 კგ), **დავით ლორიაშვილი** (100 კგ) და **ადამ ოქრუაშვილი** (100 კგ +). ხვალ ევროპის ჩემპიონატში ჩაებმებიან: **ბეთქილ შუკვანი** (60 კგ), **უჩა ხუციშვილი** (66 კგ) და **თენგიზ პაპოშვილი** (73 კგ). მწვრთნელებს წარმატების დიდი იმედი აქვთ.

ევროპული ოდისეის დასრულების შემდეგ ძიუდოისტებს საქართველოს ჩემპიონატი ელით. წლეულს ტურნირი 29-30 ნოემბერს იყო დაგეგმილი, მაგრამ 1-2 დეკემბრისთვის გადაიდო. მიზეზი ევროპის ძიუდოს კონგრესია, რომელზე დასასწრებადაც ძიუდოს ფედერაციის ხელმძღვანელობა და ნაკრების თავკაცი **შოთა ხაბარელი** მიემგზავრებიან. ეროვნული პირველობა ნაკრებისთვის ახალი კადრების აღმოსაჩენად და გაფართოებული შემადგენლობის დასასახელებლად შესანიშნავი ტურნირია და მას ნაკრების თავკაცი არ დაესწროს, გამორიცხულია. ამიტომ, გადაიდო შეჯიბრება ორიოდე დღით. თან ამასობაში საბოლოოდ დასრულდება სამუშაოები დიღმის ახალთახალ დარბაზში, რომლის ტრიბუნებიც ათასამდე მაყურებელს იტევს. საქართველოს ჩემპიონატი სწორედ ახალ დარბაზში გაიმართება, რაც ძიუდოს მოყვარულთათვის სასიამოვნო სიახლეა. დარბაზში სამი ტატამი მოეწყობა.

სამწუხაროდ, მწვრთნელის გადაწყვეტილებით, ჩემპიონატში ვერ ვიხილავთ ნაკრების პირველ ნომრებს. მართალია, ვარსკვლავთა არყოფნა შეჯიბრებას პეწს მოაკლებს, მაგრამ ხაბარელის გადაწყვეტილებისაც კარგად გვესმის – **ირაკლი ცირეკიძეს, ლაშა გუჯეჯიანს, ნესტორ ხერგიანს** და სხვებს მეტისმეტად მომქანცველი სეზონის შემდეგ დასვენება ესაჭიროებათ. ერთადერთი გამონაკლისი 81 კგ წონითი კატეგორია იქნება, სადაც ყველა ძლიერი ძიუდოისტი იასპარეზებს, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ამ წონაში პირველი ნომრის საკითხი ღიადაა.

წელიწადს ფრანგულ ქალაქ ლევალუაში გასამართავ მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონატი დააგვირგვინებს. იქ ორი ქართველი ძიუდოისტი იასპარეზებს - ლაშა გუჯეჯიანი მძიმე წონაში საქართველოს ჩემპიონატის გამარჯვებული. მოკლედ, ჩვენს პირველობაში მძიმე წონაში შეჯიბრებას დამატებითი სტიმული აქვს – მსოფლიოს პირველობის საგზური თამაშდება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

კალათბურთი

ქართველი NBA-ში

# ზაზამ ცალი ხელით 18-ჯერ მოხსნა



ზაზა ფაჩულია

სათაურში **ზაზა ფაჩულიას** თანაგუნდელის **მერვინ უილიამსის** ნათქვამი მოვიხმეთ. მისი სიტყვებიდან ნათლად ჩანს, რომ "ატლანტა ჰოქსის" გამარჯვებაში ზაზა ფაჩულიას დიდი წვლილი მიუძღვის. ჯორჯიელებმა მართლაც მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეს – "ვაშინგტონ ვიზარდსი" 91:87 დაამარცხეს. ეს გახლდათ პირველი მოგება 11 ნოემბრის შემდეგ. თერთმეტამდე ზაზას თანაგუნდელებს ექვსივე მატჩი ჰქონდათ მოგებული, ხოლო მომდევნო 8 დღეში 4 მარცხი განიცადეს. **ჯოშ სმიტისა** და **ელ ჰორფორდის** დამტვრევის შემდეგ მწვრთნელი, **მაიკ ვუდსონი** იძულებული გახდა, ტაქტიკურ მონახაზში სერიოზული ცვლილებები განეხორციელებინა და ფარქვეშეთი ზაზა ფაჩულიასთვის ჩაებარებინა (**სოლომონ ჯონსი** ქართველს მხოლოდ მაშინ ცვლიდა, როცა ზაზა ილლებოდა). ზაზამ "ვაშინგტონთან" მატჩში მწვრთნელს დაანახვა, რომ ამა თუ იმ მატჩის ბედზე პირდაპირი ზემოქმედება შეუძლია. თავად განსაჯეთ, "ატლანტამ" "ვიზარდსს" სწორედ იმდენი მოხსნით აჯობა, რამდენიც ფაჩულიამ მოხსნა – 18 (58:40). მხარშეხვეულ ზაზას (იხილეთ ფოტო) გასახურებლად პირველი ტაიმი დასჭირდა, მესამე პერიოდში ფარიდან ასხლეტილ ბურთს 6-ჯერ დაეუფლა, ხოლო მეოთხე რაუნდში – 8-ჯერ. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ფაჩულიას ბოლო წუთებზე მეტოქეთათვის ერთი ბურთიც არ დაუთმია, არც საკუთარ, არც "ვაშინგტონის" ფარზე. მწვრთნელმა იგი საფინალო სირენამდე 26 წამით ადრე შეცვალა და მას შემდეგ ანგარიში არც შეცვლილა.

საინტერესოა, რომ მატჩის დასრულებამდე წუთით ადრე, ვაშინგტონელები 87:83-ს იგებდნენ, თუმცა 0:56 წამზე **ჯო ჯონსონის** სამქულიანი გაეპარათ, 0:26 წამზე - **მერვინ უილიამსის** სამიანი და საბოლოო ანგარიში **ფლიპ მიურეიმ** საჯარიმოებით დააფიქსირა – 91:87.

"ატლანტას" სნაიპერი **მაიკ ბიბი** გახდა – 25 ქულა, ვიცე-ბომბარდირი – უილიამსი (21 ქულა, 14 მოხსნა), ჯონსონმა 19 ქულა მოაგროვა, ხოლო ზაზამ 18 მოხსნას 4 ქულა (4-დან 1 ორქულიანი, 6-დან 2 საჯარიმო), 4 პასი და 1 ჩაჭრა მიაყოლა.

ამერიკულ ინტერნეტგამოცემა "როტოვორლდზე" ასეთ სათაურს წავაწყდით: ფაჩულიამ ცალი ხელით 18-ჯერ მოხსნა...

ახლა მატჩის შემდგომ კომენტარებს გავეცნოთ. ჟურნალისტებმა პირველი კითხვა გადამწყვეტი სამქულიანის ავტორს, მერვინ უილიამსს დაუსვეს, რომელმაც საკუთარ თავზე მეტად ფაჩულიაზე ილაპარაკა:

*„თამაში ზაზამ მოგვაგებინა. ის რომ არ მყოლოდა გვერდით, 15 ქულასაც ვერ ჩავაგდებდი. დაუჯერებელია, როგორ მოახერხა მხარშეხვეულმა 18 მოხსნის მოგროვება. 4 წელია "ატლანტაში" ვარ და ფაჩულიასგან ასეთი რამ ჯერ არ მახსოვს. ჰორფორდისა და სმიტის არყოფნაში ფარი მან ჩაიბარა და ბურთი არავის დაანება. მოკლედ, მატჩი ზაზამ მოხსნა".*

"ატლანტა ჰოქსის"მწვრთნელმა მაიკ ვუდსონმა გამარჯვება დაცვაში თამაშის გამოსწორებას დააბრალა:

*„სირენამდე წუთით ადრე თითქოს გამოუვალ მდგომარეობაში ვიყავით, 4 ქულის სხვაობით ვაგებდით, მაგრამ ჯომ, მომ და მერვინმა გუნდური თამაშის კარგი მაგალითი გვიჩვენეს: ორი სამქულიანი, ორი საჯარიმო ჩააგდეს და "ჰოქსს" მნიშვნელოვანი გამარჯვება მოუტანეს. ზედიზედ ექვსი მატჩის მოგების შემდეგ დაცვაში ხარვეზები გაჩნდა, რის გამოც ოთხი შეხვედრა დავთმეთ. "ვაშინგტონთან" კი სწორედ ისეთი დაცვა ვუჩვენეთ, როგორიც სანყის 6 თამაშში. იმედია, ასევე გავაგრძელებთ. როცა დაცვაზე ვსაუბრობთ, ზაზასა და მერვინის გვარებიც უნდა ვახსენოთ, რომლებმაც დიდი სამუშაო გასწიეს და მეტოქეს ფარი არ დაანებეს. ფაჩულიამ 18 მოხსნა, უილიამსმა – 14".*

დროა, ზაზაზე ორიოდე სიტყვა ჩვენც ვთქვათ. 18 მოხსნა მისთვის სეზონისა და კარიერის რეკორდია. აქვე დავამატებთ, რომ ქართველმა ცენტრმა კარიერის რეკორდი კი არ დაამყარა, არამედ გაიმეორა: ფაჩულიას 18 მოხსნა 2006 წლის მარტში "ორლანდო მეჯიქის" წინააღმდეგაც ჰქონდა.

მიმდინარე სეზონში, ასევე სარეკორდოა მის მიერ მოედანზე გატარებული 34 წუთი და 4 შედეგიანი გადაცემა.

რადგან ისტორიაში გადავიჭერით, აუცილებლად უნდა გაგახსენოთ, რომ ზაზამ ქულების სარეკორდო მაჩვენებელიც "ვაშინგტონთან" მატჩში დააფიქსირა – 2007 წლის 7 მარტს დედაქალაქელებს 27 ქულა "უძღვნა". როგორც წესი, "ვიზარდსთან" ფაჩულია კარგად თამაშობს და ამ გუნდთან მომდევნო მატჩში კარიერის კიდევ ერთ რეკორდს უნდა ველოდეთ...

"ატლანტა" მორიგ მატჩს 21 ნოემბერს საკუთარ "ფილიპს არენაზე" ჩაატარებს – თანადივიზიონელ "შარლოტ ბობქეთსს" დაუპირისპირდება.

სადღეისოდ, "ჰოქსი" სამხრეთ-აღმოსავლეთის დივიზიონში მეორე ადგილზეა – 7 მოგება და 4 წაგება. ერთით მეტი მოგებითა და ერთით ნაკლები წაგებით პირველია ზაზას ყოფილი კლუბი "ორლანდო".

### ზაზა ფაჩულიას მონაგარი

34 წუთი: 4 ქულა, 18 მოხსნა, 4 პასი, 1 ჩაჭრა, 4 შეცდომა, 2 ფოლი

| I პერიოდი | |
|---|---|
| 12:00 | სადავო გდება: ფაჩულია-მაკგრი |
| 11:02 | ორქულიანი: 2ძ (2:3) |
| 09:32 | შეცდომა: 1 |
| 08:57 | შეცდომა: 1 |
| 08:21 | პასი: 1 (ჯონსონი 2ძ, 6:13) |
| 07:56 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 |
| 07:14 | მოხსნა: შეტ-1, დაც-1 |
| 06:59 | პასი: 2 (ჯონსინი 3ძ, 12:16) |
| 04:17 | ზაზა ჯონსმა შეცვალა |
| 01:24 | ზაზამ უილიამსი შეცვალა |
| 00:00 | მოხსნა: შეტ-1, დაც-2 |

| II პერიოდი | |
|---|---|
| 11:04 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 08:12 | ფოლი: 1 |
| 04:33 | მოხსნა: შეტ-1, დაც-3 |
| 04:30 | ფოლი: 2 |
| 04:30 | შეცდომა: 3 (ფოლი შეტევაში) |
| 04:30 | ზაზა ჯონსმა შეცვალა |

| III პერიოდი | |
|---|---|
| 11:04 | მოხსნა: შეტ-1, დაც-4 |
| 10:54 | მოხსნა: შეტ-2, დაც-4 |
| 10:51 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 10:45 | მოხსნა: შეტ-3, დაც-4 |
| 10:40 | პასი: 3 (ბიბი 3ძ, 47:51) |
| 08:59 | ჩაჭრა: 1 (ბატლერს ჩაუჭრა) |
| 08:41 | პასი: 4 (ბიბი 2ძ, 51:55) |
| 08:05 | საჯარიმოები: 2\1 (3ძ, 52:55) |
| 07:45 | მოხსნა: შეტ-3, დაც-5 |
| 04:27 | მოხსნა: შეტ-3, დაც-6 |
| 04:02 | მოხსნა: შეტ-3, დაც-7 |
| 03:26 | ზაზა ჯონსმა შეცვალა |

| IV პერიოდი | |
|---|---|
| 09:23 | ზაზამ ჯონსი შეცვალა |
| 08:32 | მოხსნა: შეტ-4, დაც-7 |
| 08:04 | მოხსნა: შეტ-4, დაც-8 |
| 07:47 | მოხსნა: შეტ-5, დაც-8 |
| 05:56 | მოხსნა: შეტ-5, დაც-9 |
| 04:59 | მოხსნა: შეტ-6, დაც-9 |
| 04:59 | საჯარიმოები: 2\1 (4ძ, 76:79) |
| 04:16 | შეცდომა: 4 |
| 04:03 | მოხსნა: შეტ-7, დაც-9 |
| 04:03 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 03:35 | მოხსნა: შეტ-7, დაც-10 |
| 02:30 | მოხსნა: შეტ-8, დაც-10 |
| 02:30 | საჯარიმოები: 2\0 |
| 00:26 | ზაზა ჯონსმა შეცვალა |

ესპანეთი

# ქართულ-ამერიკული 22 ქულა და 3 მარცხი

განვლილ უქმეებზე ესპანეთის ჩემპიონატში საქართველოს ნაკრების სამი წევრის ორმა გუნდმა გაიმარჯვა (**ნიკა ცქიტიშვილის** "ფუენლაბრადამ" და **ვლადიმერ ბოისას** "მენორკამ"). მაშინ დავწერეთ – გამორჩეული ტური იყო-თქო, რადგან ესპანელი ქართველებისგან მოგებებით განებივრებულნი არ ვართ.

...ჰოდა, შუა კვირაში გამართულ მე-9 ტურში ჩვენთვის სამწუხარო ტრადიცია გაგრძელდა: "კახასოლისა" და "მენორკას" დარად ცქიტოს "ფუენლაბრადამაც" წააგო. ნიკა ცქიტიშვილის თანაგუნდელებმა შინ ვერაფერი გააწყვეს მალაგის "უნიკახასთან" – 83:89. მალაგელებმა მეორე მეოთხედი 21 ქულის სხვაობით მოიგეს (34:13) და თუმცა, მესამე ათწუთეულში "ფუენლაბრადამ" თამაში გამოასწორა, საბოლოო გამარჯვებამდე მაინც 6 ქულა დააკლდა.

ნიკა ცქიტიშვილი მწვრთნელმა სასტარტო ხუთეულში გაამწესა და 22 წუთი ათამაშა. ქართველმა ფორვარდმა თითო ორქულიანი (სამიდან) და სამქულიანი (ორიდან) ჩააგდო და 5 ქულა მიითვალა, რასაც 6 მოხსნა მიამატა. მეორე მატჩია, ნიკა მოედნიდან 5 ქულით გამოდის.

ვლადიმერ ბოისას "მენორკა" კიდევ ერთ აუტსაიდერ "ესტუდიანტესს" სტუმრობდა და 10 ქულის სხვაობით დამარცხდა – 61:71. მატჩის ბედი მადრიდელებმა ბოლო მეოთხედში გადაწყვიტეს, მენორკელებს 16:8 აჯობეს.

სასტარტო შემადგენლობაში გამოჩნდა ვლადიმერ ბოისაც, თუმცა მან მხოლოდ 8 წუთი ითამაშა და მოედანი 1 პასით დატოვა. მატჩის სნაიპერი "სტუდენტი" **პონჩო იანსენი** გახდა – 16 ქულა.

**ტაირონ ელისის** "კახასოლმაც" გასვლითი შეხვედრა ჩაატარა და მურსიაში 75:85 დათმო.

სევილიელებს გაუძლვა ნაკრების უკანახაზელი ელისი, რომელმაც სნაიპერული თვისებები გაიხსენა და 17 ქულა ჩააგდო, რასაც 4 მოხსნა და 1 პასი მიუმატა. ტაირონმა 4-დან 3 ორქულიანი, 6-დან 3 სამიანი და 2-დან 2 საჯარიმო გამოიყენა. მასზე 3 ქულით მეტი ჩააგდო კახასოლელმა **სავანოვიჩმა**, რომელიც 20 ქულით მატჩის ბომბარდირი გახდა.

ბოლოს სატურნირო ცხრილს გადავხედოთ. ნიკა ცქიტიშვილის "ფუენლაბრადა" "უნიკახასთან" მარცხის შემდეგ მეექვსედან მეშვიდე პოზიციაზე ჩამოქვეითდა (4 მოგება, 4 წაგება). ბოლოდან მეორე, მე-16 ადგილზეა ვლადიმერ ბოისას "მენორკა" (2 მოგება, 7 წაგება). ბოლო პოზიციაზეა ტაირონ ელისის "კახასოლი", რომელსაც 7 წაგება და 1 მოგება აქვს.

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა


ნიკა ცქიტიშვილი



ჭიდაობა

# გიორგი იაძე მსოფლიოს ჩემპიონია

კურაში ჭიდაობის უზბეკური სახეობაა, რომელიც, სხვათა შორის, ძალიან წააგავს ქართულ ჭიდაობას და ძიუდოს. ძიუდოსგან განსხვავებით, კურაშში პარტერში ჭიდაობა აკრძალულია, რის გამოც იძულებითი პაუზები თითქმის გამორიცხულია, რაც ორთაბრძოლას თვალსასეიროს ხდის. საქართველოში კურაშის ფედერაცია 2000 წლიდან არსებობს. ჩვენები ხშირად ალწევენ წარმატებებს საერთაშორისო ასპარეზზე. ასე იყო ახლაც – სტამბოლში მე-5 მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართა ახალგაზრდებს (20-წლამდელები) შორის. როგორც საქართველოს კურაშის ფედერაციის პრეზიდენტმა **ამირან ობგაიძემ** გვითხრა, საქართველოს ნაკრებმა იქ გუნდური მეორე ადგილი დაიკავა, არადა, განახევრებული შემადგენლობით იასპარეზა.

მსოფლიოს ჩემპიონატები ერთ სეზონში - ახალგაზრდებს შორის, შემდეგში დიდებში იმართება. წლეულს ახალგაზრდულის ჯერი იყო. სტამბოლში სამმა გოგონამ და ამდენივე ვაჟმა იჭიდავა. ოთხმა მედალი მოიპოვა. მსოფლიოს ჩემპიონი გახდა **გიორგი იაძე** აბსოლუტურ წონაში. ქალთა შორის მეორე ადგილზე გავიდა **თეონა სუხიტაშვილი** (70 კგ). ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს, **დევი ოსიშვილმა** (66) და **გიორგი ჩიტაშვილმა** (73). სპორტის ამ სახეობას 125 ქვეყანაში მისდევენ, სტამბოლში 40 ქვეყნის წარმომადგენლებმა იჭიდავეს. ძიუდოს მსგავსად, კურაშის არეალი ფართოა და მხოლოდ თურქულენოვანი ქვეყნებით არ შემოიფარგლება. საკმარისია ითქვას, რომ სტამბოლში გუნდური პირველი ადგილი აზიის წარმომადგენლებმა (უზბეკეთი), მეორე - ევროპელებმა (საქართველო) და მესამე აფრიკელებმა (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) დაიკავეს.

გაისად, სექტემბრის ბოლოს, მსოფლიოს პიორველობა დიდებში ჩატარდება ყირიმში. საქართველოს ნაკრები იქ სრული შემადგენლობით აპირებს პირველობისთვის ბრძოლას. თუმცა კურაშის ქართველი მიმდევრები არც მანამდე დარჩებიან უქმად. იანვარში ისინი საბერძნეთის ტურნირში გამოვლენ, თებერვალში კი – ევროპის ჩემპიონატზე.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ხელბურთი

# ხვალ დოლიძეს აირჩევენ

ხელბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის სურვილი მხოლოდ **ზაზა დოლიძემ** გამოთქვა. დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხვალ ქართული ხელბურთის სამყარო მას ნდობას გამოუცხადებს. ხელბურთის ფედერაციის საარჩევნო-საანგარიშო ყრილობა "ქორთიარდ მარიოტში" გაიმართება.

საპრეზიდენტო არჩევნების გარდა, დღის წესრიგში განვლილ ოთხ წელიწადში ჩატარებული სამუშაოების შეჯამება-შეფასებაც იქნება. ისაუბრებენ ეროვნული ჩემპიონატის პრობლემებზე. შეგახსენებთ, დღემდე გაურკვეველია, როდის დაიწყება ქვეყნის პირველობა.

ეროვნული ნაკრები უსახსრობის გამო, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ვერ ასპარეზობს. ამის საკომპენსაციოდ, გუნდი 25 ნოემბერს პოლონეთში გაემგზავრება, სადაც ოთხთა ტურნირში ითამაშებს. საქართველოს ნაკრების მეტოქეები პოლონეთის, ნორვეგიისა და გერმანიის მეორე გუნდები იქნებიან. 29 ნოემბერს კი პოლონეთის ხელბურთის ფედერაციის 90-წლოვან იუბილესთან დაკავშირებით, ქვეყნის მთავარ ნაკრებს ამხანაგურად გავეჯიბრებით.

ეროვნულ ნაკრებს მწვრთნელი ბოლო მომენტში შეეცვალა. **იმედო ფხაკაძემ** მუშაობაზე უარი თქვა და მისი ადგილი **ბექა ორჯონიკიძემ** დაიკავა. მცირედი ცვლილებებია გუნდის შემადგენლობაშიც. **აკაკი ტალახაძე** ირანიდან ჩამოსვლას ვერ ახერხებს, მის ნაცვლად პოლონეთში სტუ-ს წევრი **ამირან ყიფიანი** გაემგზავრება. ტრავმის გამო, შესაძლოა, ნაკრებს **ვლადიმერ რუსიაც** გამოაკლდეს.

ლევან ჯანეზაშვილი

სუმო — ნოემბრის ბაშო

# კოკაი იმპერატორის თასისთვის ველარ იბრძოლებს

კუნძულ კიუშუს ბაშოზე ქართველთათვის წარმატებული დღე უილბლოთი შეიცვალა – გუშინ, მე-12 ტურში დამარცხდნენ **კოკაი (ლევან ცაგურია)** და **ტოჩინოშინი (ლევან გორგაძე)**.

კოკაის მთავარი საკითხი გადაჭრილი ჰქონდა, მან წინადღეს მოიპოვა გადამწყვეტი, მე-8 გამარჯვება. მაგრამ რჩებოდა შანსი იმპერატორის თასისთვის ბრძოლისთვის. მისი მეტოქე „პატარა ტანკი", **ტაკეკაძე** იყო, რომელიც წინა დღით ელიტის მეორე ქართველმა დაამარცხა. ამჯერად, ტაკეკაძემ იმარჯვა ოშიდაშის ილეთით. კოკაის 8-4 ბალანსი აქვს, ის ველარ იბრძოლებს თასისთვის და ვერც საკუთარ რეკორდს (12 მოგება) შესწვდება, რადგან ბაშოს დასრულებამდე 3 დღელა დარჩა. თუმცა, ყველა ორთაბრძოლის მოგების შემთხვევაში, ჩვენი თანამემამულე გვარიანად წაიწევს წინ რეიტინგში. დღეს კოკაი ძველ მეტოქეს, **ტაკამისაკარის** (8-4) ხვდება. ქართველს და იაპონიის ყველაზე პოპულარულ რიკიშის „ძველი ანგარიშები" აქვთ, ერთხელ მათი ჩვეულებრივი ორთაბრძოლა კინალამ ჩხუბში გადაიზარდა. წლეულს კოკაი 1:2-ს აგებს ტაკამისაკარისთან.

კვლავ წააგო ტოჩინოშინმა. ელიტის ყველაზე ახალგაზრდა სუმოისტმა ტრიუმფული წელიწადის ბოლოს სუმოს სერიოზული გაკვეთილი მიიღო და, იმედია, ამას შემდგომში გაითვალისწინებს. ლევანმა მონღოლ **ასასეკირიუსთან** წააგო და 2-10 ბალანსი გაუხდა. დღეს მისი მეტოქე მე-2 მაეგაშირა **ფუტენოა**, რომელსაც ანალოგიური ბალანსი აქვს.

ბაშოზე ძალიან საინტერესო ორთაბრძოლა გაიმართა, ორი მონღოლის მატჩში სეკივაკე **ამამ** დაამარცხა იოკოძუნა **ჰაკუჰო** და იმპერატორის თასისთვის ბრძოლა ერთიორად დაიძაბა. ამას ერთი გამარჯვებალა სჭირდება ოძეკის ტიტულის მოსაპოვებლად. 10-10 მოგებით სწორედ ჰაკუჰო და ამა ლიდერობენ კიუშუს ბაშოზე.

ნიკოლოზ ნეფარიძე

**XII დღე**

მნიშვნელოვანი ორთაბრძოლები: **ტოჩინოშინი** (მ 4)-ასასეკირიუ (მ 5) 0:1 (იორიკირი); კოკაი (მ 11)-ტაკეკაძე (მ 8) 0:1 (ოშიდაში); ამა (ს)-ჰაკუჰო (ი) 1:0; ჩიოტაიკაი (ო)-მიაბიამა (მ 7) 1:0; კოტოოშუ (ო)-დეჯიმა (მ 5) 1:0; კოტომიცუკი (ო)-ბარუტო (ს) 1:0; ამინიშიკი (კ)-კისენოსატო (მ 4) 1:0; ვაკანოსატო (მ 2)-გოეიდო (კ) 1:0; კოტოშოგიკუ (მ 3)-ტოიონოშიმა (მ 1) 1:0; კიოკუტენჰო (მ 6)-ტოკიტენკუ (მ 9) 1:0.

სატურნირო მდგომარეობა: 10-2: ჰაკუჰო (იოკოძუნა); ამა (სეკივაკე). 9-3: კოტომიცუკი (ოძეკი); მიაბიამა (მაეგაშირა 7); იოშიკაძე (მ 12)... 8-4: კოკაი (მ 11)... 2-9: ტოჩინოშინი (მ 4).

XIII დღე. მნიშვნელოვანი წყვილები: ტოჩინოშინი (მ 4)-ფუტენო (მ 2); კოკაი (მ 11)-ტაკამისაკარი (მ 14); ჰაკუჰო (ი)-კოტოოშუ (ო); კოტომიცუკი (ო)-ჩიოტაიკაი (ო); ამა (ს)-მიაბიამა (მ 7); ბარუტო (ს)-კისენოსატო (მ 4); გოეიდო (კ)-კოტოშოგიკუ (მ 3); ამინიშიკი (კ)-დეჯიმა (მ 5); ტოიონოშიმა (მ 1)-კიოკუტენჰო (მ 6); ვაკანოსატო (მ 2)-ასასეკირიუ (მ 5).

ფრენბურთი — პრესკონფერენცია




# ქალები ესტონეთში იბრძოლებენ

2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირს ფრენბურთში ქალთა შორის 2009 წლის 9-11 იანვარს ესტონეთის დედაქალაქი ტალინი უმასპინძლებს. შესარჩევ ტურნირში პირველად მიიღებს მონაწილეობას საქართველოს ქალ ფრენბურთელთა ნაკრები. ქართველი გოგონების მეტოქეები პირველ რაუნდში დანიის, ესტონეთისა და მოლდოვას ეროვნული ნაკრებები იქნებიან. შემდგომ ეტაპზე თამაშს მხოლოდ ჯგუფის გამარჯვებული გააგრძელებს. ალსანიშნავია, რომ პირველი ეტაპის გადალახვაში ეროვნულ ნაკრებს ბრაზილიელ ქართველთა დუეტი – **საქა და რთველო** მიეხმარება. უკვე გადაწყვეტილია, რომ ბრაზილიელი ლეგიონერები ტალინში ნაკრების რიგებში იქნებიან.

ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციამ ჩვენი ჯგუფის მასპინძლობა დანიას დააკისრა, თუმცა ტექნიკური პრობლემების გამო, დანიამ თავის მხრივ ესტონეთს სთხოვა დახმარება და მასპინძლობის ხარჯებსაც ესტონეთი და დანია გაიყოფენ. მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპი 2010 წლის 29 ოქტომბრიდან 14 ნოემბრამდე იაპონიაში გაიმართება.

ნაკრების გეგმებზე სასაუბროდ საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა - **ლევან ახვლედიანმა** სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტში პრესკონფერენცია გამართა. მასმედიის წინაშე მთავარი მწვრთნელი **ნინო მლებრიშვილი** და გუნდის კაპიტანი – **ნელი დათუკაშვილი** წარდგნენ. **ლევან ახვლედიანი:** *"საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის აქტიური ჩარევის შემდეგ გაირკვა პირველი რაუნდის მასპინძლის ვინაობა. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ჩვენი დაჟინებული თხოვნით, საერთაშორისო ფედერაციამ ჯგუფის მასპინძელი ქვეყანა დაასახელა. საქართველოს ნაკრები ტურნირს მშვენიერი განწყობილებით ხვდება. ჩვენი მიზანი ჯგუფიდან გასვლაა, რაც იოლი არ იქნება, მაგრამ საქართველოს ნაკრებს ამის გაკეთება ნამდვილად შეუძლია.*

*ნაკრები მოსამზადებელ ეტაპს აზერბაიჯანში გაივლის და, სავარაუდოდ, ტალინში პირდაპირ იქიდან ჩავა. საქა-რთველოს ძალიან დიდი იმედი გვაქვს. მათი გამოცდილება ნაკრებს უთუოდ წაადგება. კრისტინა და ანდრეზა ნაკრებს პირდაპირ ტალინში შეუერთდებიან. მათ საკმაოდ რთული სეზონი ჰქონდათ, ოლიმპიადის შემდეგ პირდაპირ გააგრძელეს ტურნირებში თამაში და გადაღლილები არიან. სეზონს 15 დეკემბერს ამთავრებენ და უმალვე ნაკრებში უნევთ თამაში. გუნდს გამარჯვების სჯერა.*

*იყო ვარიანტი, რომ პირველი შესარჩევი ეტაპი საქართველოში გამართულიყო, თუმცა თბილისის სპორტის სასახლეში ამ ტურნირის გამართვა ძალიან დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული, რისი შესაძლებლობაც ჩვენ არ გაგვაჩნია. საბედნიეროდ არის ალტერნატივა - ქუთაისი. უახლოეს პერიოდში აუცილებლად მივაღებინებთ ქუთაისის სპორტის სასახლეს ლიცენზიას, რათა მან საერთაშორისო ტურნირების მასპინძლობა შეძლოს.*

*ამ ეტაპზე კი ჩვენი მთავარი საზრუნავი საზღვარგარეთ ამ ტურნირის ორგანიზება იყო, რასაც მივაღწიეთ კიდეც აქტიური კონსულტაციებით ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციასთან. რაც შეეხება ქუთაისს, იქ აუცილებლად ჩავატარებთ მაღალი რანგის ტურნირს უახლოეს მომავალში. არაა გამორიცხული, რომ წლეულს სწორედ ქუთაისს მივანდოთ "პირველი ლედის თასის" ტრადიციული გათამაშების მასპინძლობა".*

საქართველოს ქალ ფრენბურთელთა ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა ასეთია: **დალი ალიბეგაშვილი** ("ბურსა", თურქეთი), **თინათინ დაუჯიძე** ("ბურსა", თურქეთი), **ნელი დათუკაშვილი** ("ჯიკო", დიდი ჯიხაიში, კაპიტანი), **ელეონორა კაზარიანი** ("არომაპაკი", რუსთავი), **იანა ზადიმენჩენკო** ("არომაპაკი", რუსთავი), **ნინო მუყარაშვილი** ("ბათუმი"), **ნათია ბანძელაძე** ("ბათუმი'), **ირინა კახაძე** ("ჯიკო", დიდი ჯიხაიში), **მარიამ ყიფშიძე** ("ჯიკო", დიდი ჯიხაიში), **თეა მძელური** ("ჯიკო", დიდი ჯიხაიში), **ირინა შენგელია** ("ჯიკო", დიდი ჯიხაიში), **მაია გუშარაშვილი** ("დია დუშეთი"), **სოფო ჭეიშვილი** ("ბათუმი"), **ანა ბერძენიშვილი** ("ბათუმი"), **მარიამ ყორყოლიანი** ("ბოლნისის სიონი"), **ქრისტინა სანტანა, ანდრეზა ჩაგასი**. მთავარი მწვრთნელი: **ნინო მლებრიშვილი.**

გიორგი ჭანიშვილი

ჩოგბურთი

# შაფათავა, შაფაქიძე წინ, ჩახნაშვილი შინ

ჰელსინკიში „ჩელენჯერის" სერიის საჩოგბურთო ტურნირი იმართება, რომლის საპრიზო ფონდი 125 ათასი ამერიკული დოლარია. ამ შეჯიბრებაში საქართველოს პირველი ჩოგანი **ირაკლი ლაბაძე** (539) 20 წლის ფრანგ **ადრიან მანარინოს** (131) ხვდებოდა. ლაბაძემ შეძლო ფავორიტისთვის პირველი სეტის მოგება ტაი-ბრეიკში – 7:5, მაგრამ შემდეგ ძალა აღარ ეყო ფრანგთან საბრძოლველად, რომელიც კარიერაში საუკეთესოდ წლეულს ათამაშდა – 7:6, 3:6, 2:6. არადა, მეორე და მესამე სეტიც ლაბაძემ უკეთ დაიწყო, მაგრამ ვერ შეძლო ტემპის შენარჩუნება.

პოლონეთის ქალაქ ოპოლეში დაიწყო ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი (25 ათასი $), რომელშიც საქართველოს მეორე ჩოგანი **მაკა ჩახნაშვილი** მე-6 ნომრად იყო განთესილი. პირველ წრეში მაკამ რუმინელ **ალექსანდრა დულგერუს** (384) მოუგო სამ სეტში – 4:6, 7:6 (4), 6:2. მაკა ჩახნაშვილს მერვედფინალში საკვალიფიკაციო წრიდან გამოსული ფრანგი **სტეფანი ვონგსუტი** (353) დაუპირისპირდა და, სამწუხაროდ, დაამარცხა – 4:6, 6:7 (4).

სამაგიეროდ, ყოჩაღობს **სოფიო შაფათავა** (253), ქართველი ჩოგბურთელი ასტანაში (25 ათასი $) მე-2 ნომრადაა განთესილი. მერვედფინალში იგი უკრაინელ **ლუდმილა კიჩენოკს** (717) შეხვდა და დაძაბულ ბრძოლაში მოუგო – 7:6, 1:6, 6:2. სოფიო მეოთხედფინალში მეტოქეს ელის, რომელიც ან თურქი **პემრა ოზგენი** (313) იქნება, ანაც 15 წლის ყაზახი **ზარინა დიასი**, რომელიც ტურნირზე „უაილდ ქარდით" მოხვდა.

კარგად თამაშობს **მანანა შაფაქიძეც**, რომელიც დუბაის ტურნირში (10 ათასი $) მე-4 ნომრადაა განთესილი. მანანამ მერვედფინალში სლოვენიელ **დალილა იაკუპოვიჩს** (988) მოუგო – 4:6, 6:1, 6:4. მეოთხედფინალში შაფაქიძე **ჟუჟანა ლინჰოვას** (ჩეხეთი) შეხვდება.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ტყვიის სროლა

# თასისთვის 31 ჩუბინი გაისვრის

ტყვიის სროლაში პირველი ქართველი ოლიმპიური პრიზიორის - შოთა ქველიაშვილის სახელობის გარდამავალი თასისათვის 21-22 ნოემბერს საქართველოს საუკეთესო მსროლელები შეეჯიბრებიან ერთმანეთს. ნინო სალუქვაძის სახელობის თბილისის ტირში გუშინ ახალი ტურნირის გახსნის ცერემონია გაიმართა.

ტურნირი სამ დღეს გასტანს. 21 ნოემბერს სასროლეთზე მამაკაცები გავლენ, 22 ნოემბერს - ქალები. ტურნირზე თბილისელთა გარდა, ქუთაისელებიც მოსინჯავენ ძალებს, თასისათვის სულ 21 მამაკაცი და 10 ქალი იბრძოლებს. შეჯიბრება პნევმატური პისტოლეტიდან 10 მეტრზე სროლაში გაიმართება.

**ნინო სალუქვაძე:** *"შოთა ქველიაშვილი 1964 წლის ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორია და ამ სახეობაში უდიდესი წვლილი აქვს შეტანილი. მისი სახელობის ტურნირს პირველად ვატარებთ, რითიც გვსურს, პატივი მივაგოთ მის ღვაწლს ქართულ სპორტში".*

გიორგი ჭანიშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლიმპიზმი

# ბარსელონაში დოპინგი მოდაში ყოფილა



სკანდალურად ცნობილი ექიმის **ეუფემიანო ფუენტესის** მეუღლემ **კრისტინა პერესმა** განაცხადა, რომ 1992 წელს, ბარსელონას ზაფხულის თამაშების დროს ესპანელი ოლიმპიელების დიდი ნაწილი დოპინგს იღებდა და აკრძალულ პრეპარატებს მათ სწორედ კრისტინას მეუღლე აწვდიდა. ფუენტესი ველოსპორტში ყველაზე გახმაურებული სკანდალის - "ოპერასიონ პუერტოს" მთავარი მოქმედი გმირი იყო. ეს სკანდალი ველომრბოლელების მხრიდან დოპინგის გამოყენების ფაქტებს უკავშირდებოდა და ბევრი ცნობილი სპორტსმენის კარიერაც შეიწირა.

*"ვიცი, რაც ხდებოდა ბარსელონას ოლიმპიადის დროს. მე "პანდორას ყუთი" ვარ და თუ ერთ დღეს მას გავხსნი, მთელი ესპანური სპორტი დაინგრევა. მაგრამ ჩემი მეგობრებისადმი პატივისცემის ნიშნად, არაფერს გავამხელ. თუმცა შემიძლია ამ პატარა სამყაროს ყველა კანონდარღვევა ვამხილო და გავანადგურო.*

*ამ ყველაფერში უმაღლესი დონის სპორტსმენები იყვნენ გარეულნი, აგრეთვე რიგითი ათლეტები მთელი მსოფლიოდან. მას შემდეგ, რაც ფუენტესი ჩვენს სპორტსმენებს მედლების მოპოვებაში დაეხმარა, ესპანურმა მთავრობამ ის განტევების ვაცად აქცია",* - განაცხადა გაზეთ La Provincia-სთვის მიცემულ ინტერვიუში პერესმა.

კრისტინა პერესი თავად გახლავთ ყოფილი სპორტსმენი. ის 1992 წლის ოლიმპიადაზე 4x400 მეტრზე ესტაფეტაში იღებდა მონაწილეობას. ბარსელონას თამაშებზე ესპანეთის ოლიმპიურმა ნაკრებმა ოქროს 13, ვერცხლის შვიდი და ბრინჯაოს ორი მედალი მოიპოვა.

# სოკ-ი მილიარდს უმიზნებს

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი უახლოესი ოთხი წლის განმავლობაში სასპონსორო კონტრაქტებიდან მილიარდი დოლარის მიზიდვას აპირებს. დღეისთვის მოლაპარაკებები რამდენიმე კომპანიასთან მიმდინარეობს, რომლებმაც 2010 წელს ვანკუვერისა და 2012 წელს ლონდონის ოლიმპიადების სპონსორობა უნდა იკისრონ. შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ, ოლიმპიურ კომიტეტთან 100-მილიონიანი კონტრაქტის გაფორმებაზე უარი განაცხადა კომპანია Johnson & Johnson-მა.

*"რა თქმა უნდა, გარკვეული იმედგაცრუება გეუფლება, როცა ზოგიერთი ჩვენი პარტნიორი უარს აცხადებს თანამშრომლობის გაგრძელებაზე. კარგად გვესმის, რომ იცვლება დრო, ფირმა, მისი სტრატეგია. თუმცა ჩვენ ისედაც ველოდით, რომ წინ ტოპ-სპონსორების როტაცია გველოდა.*

*იმედი გვაქვს, რომ უახლოესი ოთხი წლის განმავლობაში მილიარდ დოლარზე მეტს მოვიზიდავთ. ამ ნიშნულს უკვე მივუახლოვდით. ზოგიერთი მოლაპარაკება ფინანსური კრიზისის გამო შეწყდა, მაგრამ 2009 წლის პირველი თვეებისთვის რამდენიმე გარიგების დასრულება გვაქვს დაგეგმილი",* - ამბობს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მარკეტინგული განყოფილების თავმჯდომარე გერჰარდ **ჰაიბერგი**.

Johnson & Johnson-ის გარდა, წელს ოლიმპიურ კომიტეტთან თანამშრომლობის გაგრძელება არ ისურვეს კომპანიებმა - Kodak-მა და Lenovo-მ.

# ქალთა ტრამპლინს უარი უთხრეს

საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა უარი განაცხადა 2010 წლის ზამთრის ოლიმპიადის პროგრამაში ქალთა ტრამპლინის შეტანაზე. მიზეზი იმაში ის არის, რომ სპორტის ამ სახეობას არასაკმარისი რაოდენობით მიმდევარი ჰყავს - ტრამპლინიდან ხტომით დაახლოებით ასამდე ქალია დაკავებული.

ოლიმპიური კომიტეტის პრესსამსახურის შეფის **ემანუელ მოროს** სიტყვებით, ეს საკითხი დღის წესრიგში კანადელი ქალი მხტომელების მოთხოვნის შემდეგ დადგა. ისინი სოკ-ის მხრიდან დისკრიმინაციაზე საუბრობენ და სასამართლოშიც კი იჩივლეს იმის გამო, რომ ოლიმპიურმა კომიტეტმა ქალთა ტრამპლინი ოლიმპიურ პროგრამაში არ შეიტანა. კანადელი ქალები მამაკაცებთან ერთად თანაბარ უფლებებს ითხოვენ: მათ ან მისცემენ ოლიმპიადაზე გამოსვლის საშუალებას ან ოლიმპიური პროგრამიდან საერთოდ ამოიღებენ სპორტის ამ სახეობას.

მაგრამ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი არ ეთანხმება საკითხის ამგვარად დაყენებას და არ აპირებს კანადელი სპორტსმენების მოთხოვნათა დაკმაყოფილებას.

ჩოგბურთი

გამოთხოვება ლეგენდასთან

# იონას ბიორკმანი: დიდი გზის ეტაპები

ამა წლის ივნისში, უიმბლდონის ტურნირის მსვლელობისას, 36 წლის **იონას ბიორკმანმა** ჟურნალისტებს აუწყა, რომ პროფესიულ ჩოგბურთში გატარებული 16 სეზონის შემდეგ კარიერის დასრულებას აპირებს.

*"მოუთმენლად და დიდი სიხარულით ველოდები ჩემი ცხოვრების ახალ ეტაპს,* - ამბობდა მაშინ ბიორკმანი. - *ახლა დილით, სკოლაში წასვლამდე, ჩემი შვილების ჩანთებს ჩავალაგებ, ჩემს საჩოგბურთო ჩანთას კი სადმე კუთხეში მივაგდებ, რადგან აღარ მომიწევს მორიგ ტურნირზე გასამგ ზავრებლად ზრუნვა".*

გასულ კვირას, შანხაის მასტერსის თასზე შვედმა ვეტერანმა ოფიციალურად გამოაცხადა დიდი სპორტიდან წასვლის შესახებ. *"კარგია, რომ კარიერას წლის მთავარ ტურნირზე ვასრულებ. მართალია, შანხაიში უფრო მეტს ვგეგმავდი, მაგრამ ყოველთვის ისე არ გამოდის, როგორც შენ გინდა",* - განაცხადა იონასმა ოქროს ჯგუფში ბოლო მატჩის წაგების შემდეგ.

ოჯახური საქმეების გარდა, ბიორკმანი შვედეთში გამომავალი საჩოგბურთო ჟურნალის მთავარი რედაქტორის ფუნქციას შეასრულებს. მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალი არც ისე დიდი ხანია გამოდის, ის უკვე დიდი ავტორიტეტით სარგებლობს მკითხველებს შორის. ბიორკმანი სამწვრთნელო მოღვაწეობის დაწყებასაც აპირებს. კერძოდ, ის იუნიორებთან იმუშავებს, რათა შვედურ ჩოგბურთს ძველი დიდება დაუბრუნოს, როგორც ეს **ბიორნ ბორგის, მატს ვილანდერისა** და **სტეფან ედბერგის** პერიოდში იყო.

დღეს ჩვენ გავიხსენებთ იონას ბიორკმანის კარიერის ძირითად მომენტებს, რომლის წყალობითაც ის სკანდინავური ჩოგბურთის ცოცხალ ლეგენდად იქცა.

**დევისის თასის მოგება.** 1998 წელს, იტალიის ნაკრებთან ფინალში ბიორკმანი **ნიკლას კულტისთან** ერთად წყვილთა მატჩში გამოვიდა და გამარჯვებას მიაღწია. ამ მოგებით შვედეთის ნაკრებმა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მესამედ მოიპოვა დევისის თასი. აღსანიშნავია, რომ იქიდან მოყოლებული, შვედეთის ნაკრებს ამ ტურნირზე წარმატებისთვის აღარ მიუღწევია. *"დევისის თასის მოგება - ნებისმიერი ჩოგბურთელის ოცნებაა, რადგან აქ შენი ქვეყნის ღირსების დაცვა გიწევს",* - ამბობს ბიორკმანი.

**2006 წლის უიმბლდონის ნახევარფინალში გასვლა.** ბიორკმანი 34 წლის იყო, როცა ერთი ნაბიჯი დააკლდა უიმბლდონის ფინალში გასვლამდე. შვედმა ნახევარფინალში გასვლით ლეგენდარული ამერიკელის **ჯიმი კონორსის** რეკორდი გაიმეორა, რომელმაც ამავე ასაკში და ამავე სტადიაზე ამერიკის ღია პირველობაზე ითამაშა. მას შემდეგ, რაც 1997 წელს ბიორკმანმა აშშ-ის ღიას ნახევარფინალს მიაღწია და მსოფლიოს რეიტინგში 29-ე პოზიციაზე გადავიდა, "დიდი სლემის" ტურნირებზე მსგავსი წარმატება 2006 წლის უიმბლდონამდე აღარ ჰქონია. *"ნახევარფინალში გასვლა დიდი მოულოდნელობა გახლდათ. ეს იყო ჩემი კარიერის ოქროს დღეები. ტურნირის სხვა მონაწილეებზე გაცილებით უფროსი ვიყავი და იმ ატმოსფეროთი ვტკბებოდი, რაც ტურნირის გარშემო სუფევდა. 25 წლის ასაკში კი მხოლოდ საკუთარ ჩოგბურთზე ვიყავი კონცენტრირებული და დანარჩენს ყურადღებას არ ვაქცევდი".*

**"დიდი სლემის" ცხრა ტიტული წყვილებში.** იონასი ამაყობს იმით, რომ "დიდი სლემის" ტურნირებზე ოთხ სხვადასხვა პარტნიორთან ერთად აქვს მოპოვებული 9 გამარჯვება. ავსტრალიის ღია პირველობა: 1998 (**იაკო ელტინგი**); 1999 (**პატრიკ რაფტერი**); 2001 (**ტოდ ვუდბრიჯი**); როლან გაროსი: 2005, 2005 (**მაქს მირნი**); უიმბლდონი: 2002, 2003, 2004 (ვუდბრიჯი); აშშ-ის ღია პირველობა: 2003 (ვუდბრიჯი). *"ჩემთვის ყველა ეს გამარჯვება ერთნაირად მნიშვნელოვანია, რადგან ამას დიად ჩოგბურთელებთან და ერთგულ მეგობრებთან ერთად მივაღწიე".*

**რეიტინგის საუკეთესო ხუთეულში მოხვედრა და წყვილებში პირველი ჩოგანის ტიტული.** იშვიათია, როცა ერთი ჩოგბურთელი სერიოზულ წარმატებებს აღწევს როგორც ერთეულთა, ასევე წყვილთა თანრიგში. ბიორკმანმა ეს მოახერხა. 1997 წლის ნოემბერში იონასი ერთეულებში რეიტინგის მეოთხე ჩოგანი გახდა, ხოლო 2001 წლის ივლისში სათავეში ჩაუდგა მეწყვილეთა კლასიფიკაციას. *"ძალიან ვამაყობ ამ წარმატებებით. ყოველთვის მიყვარდა ორივე დისციპლინაში ერთდროულად გამოსვლა".*

ხუთსეტიანი ტრიუმფები. ბიორკმანს კარიერაში 42 ხუთსეტიანი მატჩი ჩაუტარებია, რომელთაგანაც 29-ში გამარჯვებას მიაღწია. იონასმა პირველი ხუთსეტიანი მატჩი 1994 წელს, ავსტრალიის ღია პირველობაზე ჩაატარა, ბოლო - 2007 წელს, ამერიკის ღია პირველობის მეორე წრეში **ენდი მიურეის** წინააღმდეგ. საინტერესო სტატისტიკაა: პირველი ორი სეტის წაგების შემდეგ, ბიორკმანმა ოთხჯერ შემოაბრუნა მატჩის ბედი თავის სასარგებლოდ, თანაც სამჯერ ეს 2007 წელს გააკეთა. *"განსაკუთრებული გრძნობაა, როცა მარათონულ დუელში გამარჯვებული გამოდიხარ".*

ექვსი ტიტული ერთეულებში. 1997 წელი ბიორკმანისა იყო. შვედმა ოკლენდის, ინდიანაპოლისისა და სტოკჰოლმის ტურნირებში გაიმარჯვა. გარდა ამისა, იონასს ორჯერ აქვს მოგებული ნოტინგემის (1998, 2002) და ერთხელ ჰო ში მინის (2005) ტურნირები. "განსაკუთრებით სასიამოვნო იყო სტოკჰოლმში გამარჯვება. თუმცა სხვა ტურნირებში პირველობაც არანაკლებ საპატიო გახლავთ".

**ორი გამარჯვება წლის შემაჯამებელ ტურნირებზე.** ბიორკმანმა წყვილებში ორი სეზონი დაასრულა გამარჯვებით. 1994 წელს ეს **იან აპელთან** დუეტში მოახერხა, 2006 წელს კი მაქს მირნისთან ერთად მოიგო სეზონის შემაჯამებელი ტურნირი. *"მასტერსის თასზე ორი გამარჯვება - ერთმნიშვნელოვნად იკავებს კუთვნილ ადგილს ჩემი კარიერის 10 ყველაზე მნიშვნელოვან მომენტს შორის".*

**დიდი სლემის 37 ტურნირი.** ბიორკმანს ATP-ის ყველაზე პრესტიჟულ ტურნირებში 37-ჯერ აქვს მიღებული მონაწილეობა. "დიდ სლემზე" მისი დებიუტი 1993 წელს შედგა, როცა შვედმა ამერიკის ღია პირველობაზე ითამაშა. იონასს მხოლოდ ორი ტურნირი აქვს გამოტოვებული - 2003 და 2008 წელს ავსტრალიის ღია პირველობა და ორივეჯერ ეს საპატიო მიზეზით მოხდა. პირველ შემთხვევაში ბიორკმანს ვაჟი **მაქსი** შეეძინა, წელს კი ქალიშვილი - **ბიანკა**. *"ვფიქრობ, უდიდესი მიღწევაა, როცა მთელი კარიერის განმავლობაში მხოლოდ ორჯერ გამოტოვებ "დიდი სლემის" ტურნირს. დამეთანხმებით, რომ ბავშვის დაბადება უფრო მნიშვნელოვანი მოვლენაა, ვიდრე ნებისმიერი ჩოგბურთო ჩემპიონატი".*

2000-01 წლებში ჩოგბურთელთა საბჭოს პრეზიდენტი. ჩოგბურთელებს შორის ყოველთვის პოპულარული და დაფასებული ბიორკმანი ATP-ის მოთამაშეთა საბჭოს პრეზიდენტად აირჩიეს. ეს არის პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციის ერთ-ერთი მთავარი ორგანო. *"მოთამაშეობის პერიოდში ფიქრობ, რომ დიდ სირთულეს არ წარმოადგენს იმ წესების შეცვლა, რომელიც შენ და შენს კოლეგებს არ აწყობთ. მაგრამ სინამდვილეში, ეს რთული ამოცანა ყოფილა - მოძებნო კომპრომისი, რათა ყველა მხარე კმაყოფილი დარჩეს. უდიდესი მხარდაჭერა იყო ის, რომ ჩოგბურთელებს ჩემი სჯეროდათ".*

**კარიერის ყველაზე დიდი იმედგაცრუება.** ბიორკმანი 1997 წელს, ამერიკის ღია პირველობის ნახევარფინალში **გრეგ რუსეცკისთან** დამარცხებას მიიჩნევს ყველაზე დასანან წაგებად: *"მე რომ რუსეცკი დამემარცხებინა და ფინალში გავსულიყავი, ტურნირში გამარჯვების კარგი შანსი მექნებოდა. გადამწყვეტ შეხვედრაში ჩემს მეგობარს პატ რაფტერს უნდა შევხვედროდი, რომლის თამაშის სტილი ზედმიწევნით ზუსტად მქონდა შესწავლილი... ეს იყო ამერიკის ღია პირველობის მოგების შანსი, რომელიც მე ხელიდან გავუშვი".*

**იონას ბიორკმანი**

დაიბადა 1972 წლის 23 მარტს ვაქსიოში (შვედეთი)

ცხოვრობს მონტე კარლოში

**სიმაღლე:** 182 სმ; **წონა:** 83 კგ.

პროფესიონალი 1991 წლიდან

**ერთეულებში უმაღლესი რეიტინგი:** მე-4 ადგილი (1997 წლის 3 ნოემბერი)

**წყვილებში უმაღლესი რეიტინგი:** 1-ლი ადგილი (2001 წლის 9 ივლისი)

**ტიტულები ერთეულებში:** 6

**ტიტულები წყვილებში:** 54

**ჰონორარების ოდენობა:** 14 600 323 დოლარი

**დევისის თასის მფლობელი:** 1994, 1997, 1998

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა



ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური სპორტი

## კალათბურთი. NBA

**ატლანტა-ვაშინგტონი 91:87**

28:26, 16:24, 26:17, 21:20

ა: ბიბი (25), მერვინ უილიამსი (21+14 მოხსნა), ჯო ჯონსონი (19+8 მოხსნა+8 პასი), ფაჩულია (4+18 მოხსნა).

ვ: კ. ბატლერი (32+7 მოხსნა+3 ჩაჭრა), ჯეიმისონი (18+11 მოხსნა), სტივენსონი (12+5 პასი).

**მინესოტა-ფილადელფია 102:96**

24:27, 32:25, 20:13, 26:31

მ: ჯეფერსონი (25+8 მოხსნა), სმიტი (21+5 პასი), გომესი (14), მილერი (10+10 მოხსნა+6 პასი), ფოი (10+6 პასი).

ფ: მილერი (20+6 პასი), ბრენდი (19+13 მოხსნა), იგუოდალა (17+9 მოხსნა+6 პასი), ტ. იანგი (15), დალემბერი (4+11 მოხსნა+4 დაფარება).

**ნიუ ორლეანი-საკრამენტო 96:105**

29:23, 25:28, 22:26, 20:28

ნ-ო: დ. უესტი (22), პოლი (20+15 პასი+4 ჩაჭრა), დ. ბრაუნი (13), ჩენდლერი (12+10 მოხსნა), ბატლერი (10+5 მოხსნა).

ს: სალმონსი (29+6 პასი), გრინი (15), უდრიხი (14+7 პასი), ბ. მილერი (14+8 მოხსნა), ტომპსონი (10+6 მოხსნა).

**დეტროიტი-კლივლენდი 96:89**

16:24, 22:25, 28:19, 30:21

დ: აივერსონი (23+4 ჩაჭრა), რ. უოლასი (21+15 მოხსნა), ჰემილტონი (15+5 პასი).

კ: ლ. ჯეიმსი (25+6 მოხსნა+6 პასი+4 ჩაჭრა), მო უილიამსი (25), ილგაუსკასი (13+6 მოხსნა), დ. უესტი (11), ვარეჟაო (5+11 მოხსნა).

**მაიამი-ტორონტო 95:101**

23:25, 20:22, 24:30, 28:24

მ: უეიდი (40+11 პასი+5 დაფარება), მერიონი (20+14 მოხსნა), კუკი (10), ჰასლემი (2+10 მოხსნა).

ტ: ბარნიანი (25), ე. პარკერი (19), ჯ. ო'ნილი (16+17 მოხსნა), ბოში (15+11 მოხსნა).

**ჰიუსტონი-დალასი 86:96**

25:31, 21:22, 15:19, 25:24

ჰ: ელსტონი (16+8 პასი+5 მოხსნა), მაკგრეიდი (16), სკოლა (15+7 მოხსნა), ბრუკსი (15).

დ: ტერი (31+3 ჩაჭრა), ნოვიცკი (24+12 მოხსნა), კიდი (8+9 მოხსნა+7 პასი).

**ოკლაჰომა-კლიპერსი 88:108**

26:20, 26:29, 16:32, 20:27

ო: დურანტი (18), უილკინსი (17+5 მოხსნა), უესტბრუკი (10+5 მოხსნა).

კ: კამანი (25+14 მოხსნა+6 პასი+4 დაფარება), მობლი (23+7 ჩაჭრა), ტორნტონი (20+7 მოხსნა), ბ. დევისი (14+8 პასი+4 ჩაჭრა), კემბი (14+9 მოხსნა).

**სან ანტონიო-დენვერი 81:91**

21:22, 19:28, 14:25, 27:16

ს-ა: ჰილი (20), დანკანი (12+11 მოხსნა+6 პასი), ფინლი (13).

დ: ბილაპსი (22+6 პასი+5 მოხსნა), ენტონი (21+9 მოხსნა+7 პასი), მარტინი (18+7 მოხსნა), ნენე (16+9 მოხსნა).

**იუტა-მილუოკი 105:94**

26:16, 25:37, 23:23, 31:18

ი: მაილზი (25), ბუზერი (20+11 მოხსნა), პრაისი (16+6 პასი), კირილენკო (16+7 მოხსნა+3 პასი+5 ჩაჭრა+4 დაფარება), ბრიუერი (12).

მ: ჯეფერსონი (25+5 მოხსნა), ბოგუტი (16+20 მოხსნა), ბელი (15), სეშენსი (15).

**პორტლენდი-ჩიკაგო 116:74**

34:13, 28:24, 26:20, 28:17

პ: როი (20), პრჟიბილა (14+9 მოხსნა), ფრაი (12), ოდენი (11+10 მოხსნა), ოლდრიჯი (11), ბლეიკი (10).

ჩ: ნოჩიონი (13), გორდონი (11), გუდენი (11+5 მოხსნა).

## ჰოკეი. NHL

**ბოსტონი-ბაფალო 7:4**

3:4, 3:0, 1:0

გოლები: 0:1 პომინვილი-8 (ვანეკი-4, რივე-5), 1:1 კობესიუ-2 (კრეისი-7, ვილერი-3), 1:2 რუა-3 (ლიდმანი-6, სტეფორდი-2), 1:3 ვანეკი-14 (პომინვილი-7, ჰეხტი-3), 2:3 კრეისი-4 (პნიდი-2), 2:4 ვანეკი-15 (რუა-9, პომინვილი-8), 3:4 სავარი-7 (კესელი-5, ჰუნვიკი-1), 4:4 ხარა-3 (პ. ბერჟერონი-8, სავარი-16), 5:4 კობესიუ-3 (ჰუნვიკი-2, კრეისი-8), 6:4 ხარა-4 (პ. ბერჟერონი-9, სავარი-17), 7:4 კესელი-9 (ლუჩიჩი-7, სავარი-18).

**რეინჯერსი-ვანკუვერი 3:6**

0:2, 2:3, 1:1

გოლები: 0:1 უელვუდი-8 (ოლუნდი-5, პიატი-4), 0:2 ბაროუზი-5 (ჰანსენი-6), 0:3 ბაროუზი-6 (ჰანსენი-7), 0:4 რ. ჯონსონი-1 (პიატი-5, ოლუნდი-6), 1:4 დრური-8 (რედენი-7, ლუნდკვისტი-1), 1:5 დემიტრა-4 (პ. სედინი-13, სალო-7), 2:5 ვოროსი-7 (დეივსი-3, კალინინი-6), 3:5 კელეპანი-6 (ნესლუნდი-9, დრური-5), 3:6 დ. სედინი-7 (ოლუნდი-7, კესლერი-8).

**ანაჰაიმი-ვაშინგტონი 4:6**

2:3, 0:2, 2:1

გოლები: 0:1 ფლიშმანი-7 (მ. გრინი-9, ოვეჩკინი-12), 0:2 მ. გრინი-7 (ნიულანდერი-8, ოვეჩკინი-13), 0:3 ბექსტრიომი-3 (ვიქ. კოზლოვი-5, ოვეჩკინი-14), 1:3 რაიანი-1 (პერი-15), 2:3 გეტცლაფი-8 (რაიანი-1, პერი-16), 2:4 ოვეჩკინი-8 (კლარკი-2, ნიულანდერი-9), 2:5 ბრედლი-2 (მტეკელი-3, გორდონი-5), 2:6 შტეკელი-3 (იურჩინა-1, შულტცი-7), 3:6 რაიანი-2 (მარჩანტი-3, პაროსი-2), 4:6 სელიანე-10 (გეტცლაფი-16, პერი-17).

# იუტამ ბუზერიც დაკარგა



**კარლოს ბუზერი** გახდა "იუტა ჯაზის" მორიგი წამყვანი კალათბურთელი, რომელიც ამ სეზონში გუნდს ტრავმის გამო გამოაკლდა. რეგულარული ჩემპიონატის ბოლო ტურში, "მილუოკისთან" შეხვედრის (105:94) დასრულებამდე ოთხი წუთით ადრე, რუსი **ანდრეი კირილენკო** ბუზერს მარცხენა ფეხზე დაეცა და თანაგუნდელს ტრავმა მიაყენა. "იუტას" ლიდერი იძულებული გახდა, პარტნიორების დახმარებით დაეტოვებინა მოედანი.

"ჯაზმენების" ექიმის განცხადებით, პეკინის ოლიმპიურმა ჩემპიონმა მუხლი დაიზიანა. ტრავმის ხარისხს დღეს, სამედიცინო გამოკვლევის შემდეგ დაადგენენ. *"კარგია, რომ თამაშებს ვიგებთ, მაგრამ რაღაც ხერხით უნდა შევაჩეროთ წამყვანი კალათბურთელების ტრავმები"*, - განაცხადა "იუტას" მთავარმა მწვრთნელმა **ჯერი სლოუნმა**.

შეგახსენებთ, რომ "იუტა ჯაზის" ძირითადმა გამთამაშებელმა **დერონ უილიამსმა** ამ სეზონის ცხრა შეხვედრა გამოტოვა და ჯერაც არ დაბრუნებულა მოედანზე. ახლახან შეუერთდა გუნდს **მეტ ჰარპრინგი**. თითის ტრავმის გამო ორი მატჩი გამოტოვა კირილენკომ, ხოლო თურქი ცენტრი **მეჰმეთ ოქური** მამის ავადმყოფობის გამო თითქმის ორი კვირა სამშობლოში იმყოფებოდა.

## ფორმულა 1

# დისნეილენდი ფორმულას გარეშე

სააგენტო "ფრანს პრესის" ცნობით, კომპანია Lagardere Sports და პარიზის დისნეილენდი აღარ აცხადებენ პრეტენზიას საფრანგეთის გრანპრის ჩატარებაზე. მიზეზი რეგიონალური მთავრობის გადაწყვეტილებაა, რომელმაც ადგილობრივი მაცხოვრებლების პროტესტის შემდეგ შეწყვიტა ინვესტორების ძიება.

დისნეილენდის ტრასის პროექტი, რომელსაც მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი **ალენ პროსტი** კურირებდა, ყველაზე პერსპექტიულად ითვლებოდა კონკურსში, რომელმაც ფორმულა 1-ის საფრანგეთის ეტაპის ჩატარების ახალი ადგილი უნდა შეარჩიოს. დისნეილენდში ინფრასტრუქტურა ფაქტობრივად მზად იყო - იქ არსებული გზების სისტემა, სასტუმროების ქსელი და სხვა პირობები ამ პროექტს სხვებზე უპირატესობას ანიჭებდა. თანაც Lagardere Sports ტრასის მშენებლობისთვის 60 მილიონ დოლარს გამოდიოდა. მაგრამ ამ კვირას, ადგილობრივი მოსახლეობის პროტესტის გამო, პროექტის განხორციელება შეუძლებელი გახდა.

ახლა ფავორიტად პარიზის დასავლეთით, იველინის დეპარტამენტის პროექტი მიიჩნევა. ჭორების თანახმად, ამ ვარიანტს თვით საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი **ფრანსუა ფიიონი** უჭერს მხარს.

წინასწარი ვარაუდით, დისნეილენდს უკვე 2010 წელს უნდა ემასპინძლა საფრანგეთის გრანპრისთვის, მაგრამ ამ ეტაპის ახალ ტრასაზე ჩატარების პერსპექტივა 2011 წლისთვის გადაიდო.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

### სამთო-სათხილამურო სპორტი

## ვონმა ტრავმა მიიღო

მსოფლიოს თასის შარშანდელმა მფლობელმა, ამერიკელმა **ლინდსი ვონმა** კოლორადოს მთებში ვარჯიშის დროს მუხლი დაიზიანა. ამერიკის ნაკრების ექიმმა **უილიამს სტერეტმა** სპორტსმენის გასინჯვის შემდეგ გამოაცხადა, რომ ვონს მუხლის საშუალო სიმძიმის ტრავმა აქვს მიღებული. ჯერჯერობით უცნობია, რამდენი ხანი ვერ შეძლებს ვონი თხილამურებზე დადგომას.

ალბათ, გახსოვთ, რომ გასულ უიქენდზე შარშანდელი სეზონის ტრიუმფატორმა ფინეთის კურორტ ლევიში სლალომის ეტაპი მოიგო, რაც პირველად მოხდა მის კარიერაში. ვონი უფრო ჩქაროსნულ დისციპლინებში კარგი გამოსვლით არის ცნობილი.

###ველოსპორტი

## სასტრე ჯიროზე გამოვა

მომავალ სეზონში, შესაძლოა, იტალიურმა ველომარათონმა ჯირო დ'იტალიამ უფრო მეტი ყურადღება მიიპყროს, ვიდრე ლეგენდარულმა ტურ დე ფრანსმა. როგორც ცნობილია, გაისად ჯიროზე აპირებს გამოსვლას ლეგენდარული ამერიკელი **ლენს არმსტრონგი**.

გუშინ კი ცნობილი გახდა, რომ იტალიის გზებზე ვიხილავთ ტურ დე ფრანსის შარშანდელ ტრიუმფატორს, ესპანელ **კარლოს სასტრეს**, რომელმაც გუნდი გამოიცვალა და 2009 წელს Cervelo Test Team-ის მაისურს მოირგებს.

### ჩოგბურთი

## როჯერმა გრაფიკი გამოაქვეყნა

მსოფლიოს მეორე ჩოგანმა **როჯერ ფედერერმა** 2009 წლის სეზონის დასაწყისში ტურნირებზე გამოსვლის გრაფიკი შეადგინა. "დიდი სლემის" პირველი ჩემპიონატის - ავსტრალიის ღიას წინ, შვეიცარიელი ჩოგბურთელი სამ ტურნირში მოსინჯავს ძალებს. აქედან ორი საჩვენებელი და ერთიც ოფიციალური შეჯიბრებაა.

1-3 იანვარს, ფედერერს აბუდაბიში ელიან, 5-10 იანვარს მონაწილეობას მიიღებს ATP-ის ტურნირში, რომელსაც კატარის დოჰა მასპინძლობს, შემდეგ კი როჯერი ტრადიციულ Kooyong Classic-ზე (14-17 იანვარი) ითამაშებს.

ავსტრალიის ღია პირველობა 19 იანვარს დაიწყება.

## ივანოვიჩი არგენტინაში წავიდა

სერბი ჩოგბურთელი **ანა ივანოვიჩი** არგენტინაში გაემგზავრა, სადაც დღეს დევისის თასის ფინალური მატჩი დაიწყება. მარ-დელ-პლატაში ერთმანეთის პირისპირ არგენტინისა და ესპანეთის ნაკრებები წარსდგებიან.

ივანოვიჩი ამ მატჩზე დასწრებასა და თავისი ახალი ბოიფრენდის, ესპანელი **ფერნანდო ვერდასკოს** მხარდაჭერას აპირებს.

## ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ინგლისი** | |
| **კონფერენსი** | |
| ქროული-ებსფლიტი | 1:2 |
| **კალათბურთი** | |
| **ევროლიგა. ქალები** | |
| ლოტოსი-ვალენსია | 59:85 |
| **ესპანეთი** | |
| ხუვენტუდი-ტაუგრესი | 83:97 |
| გრან კანარია-ბრუესა | 96:92 (ო) |
| **ხელბურთი** | |
| **ჩემპიონთა ლიგა** | |
| ვისლა-რაინი | 23:37 |
| **ჰოკეი** | |
| **შვედეთი** | |
| აიკ-ლინჩოპინგი | 2:4 |
| ბრიუნესი-ფერიესტადი | 2:2 |
| როგლე-მოდო | 3:0 |
| სიოდერტალე-ჰ371 | 2:2 |
| ტიმრა-ლულეო | 2:2 |
| იურგორდენი-ფრიოლუნდა | 1:4 |
| **კჰლ** | |
| ამური-ცსკა | 3:6 |
| ავანგარდი-ლოკომოტივი | 1:5 |
| **ავსტრია** | |
| კლაგენფიურტი-ზალცბურგი | 6:4 |
| **დანია** | |
| ჰერნინგი-როდოვრე | 1:1 |
| **ნორვეგია** | |
| კომეტი-ჰალდენი | 5:4 |
| ლილეჰამერი-სტორჰამარი | 4:2 |
| სპარტა-ფრისკ ასკერი | 1:6 |
| სტავანგერი-სტორჰამარი | 3:1 |
| ფურუსეტი-ფოლერენგა | 1:3 |
| **ფინეთი** | |
| ტპს-სეიპა | 1:4 |
| **ჩეხეთი** | |
| კარლოვი ვარი-სპარტა | 1:1 |

## TV სპორტი

**21 ნოემბერი. პარასკევი**

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

08:30 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
09:30 საფეხბურთო პროგრამა.
10:30 სასტვენი.
11:00 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. ბატე-ზენიტი.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 უიქ ენდის მატჩების ანონსი.
13:25 გასული კვირის ჰიტ-აღლუმი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვალიადოლიდი-რეალი.
15:10 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. დინამო-პორტუ.
17:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:25 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
18:25 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
18:55 გასული კვირის ჰიტ-აღლუმი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნაიტედი-სტოკი.
20:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
21:00 სასტვენი.
21:30 საფეხბურთო კლუბი.
22:25 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
22:55 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
23:25 გერმანიის ჩემპიონატი. კარლსრუე-დორტმუნდი (LIVE).
01:25 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
01:40 საფეხბურთო კლუბი.
02:30 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
03:30 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
04:00 გერმანიის ჩემპიონატი. კარლსრუე-დორტმუნდი.
05:45 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. დინამო-პორტუ.

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:55 ავტოსპორტი. A1 გრანპრი. II რაუნდი.
09:55 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
10:00 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
10:25 ფეხბურთი. კოპა სუდამერიკანას თასი. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. ინტერნასიონალი-ჩივასი.
12:10 კალათბურთი. FIBA-ს მიმოხილვა.
12:35 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ფლამენგო-პალმეირასი.
14:20 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის თასი. ფინალი. ნოვაკ ჯოკოვიჩი-ნოვაკ ჯოკოვიჩი. შანხაი. ჩინეთი.
16:25 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ტელეჟურნალი.
16:55 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
17:25 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
17:30 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ვესტ ბრომვიჩი-ჩელსი.
19:20 ფეხბურთი. კოპა სუდამერიკანას თასი. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. ესტუდიანტესი-არგენტინოს ხუნიორსი.
21:05 ნიჩბოსნობა.
21:25 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
21:30 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:00 სპორტკლუბი.
23:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის წინ.
23:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. კარლსრუე-დორტმუნდი (LIVE).
01:30 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
01:35 პროფესიული კრივი. 2007 წლის საუკეთესო ნოკაუტები.
02:45 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ვესტ ბრომვიჩი-ჩელსი.
04:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. პალერმო-ინტერი.
06:15 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მალაგა-ვილიარეალი.

**EUROSPORT**

11:30 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. ავსტრია-თურქეთი.
12:15 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. საფრანგეთი-ურუგვაი.
13:00 ფორმულა 1. ტელეჟურნალი.
13:30 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი.
14:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ქალები. ჯგუფური ეტაპი. კონგო-გერმანია. ჩილე.
15:30 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. საბერძნეთი-იტალია.
16:30 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. საფრანგეთი-ურუგვაი.
17:15 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. ჰოლანდია-შვედეთი.
18:15 ფიგურული სრიალი. გრანპრი "რუსეთის თასი". ქალები. მოკლე პროგრამა. საფრანგეთი (LIVE).
20:00 ფიგურული სრიალი. გრანპრი "რუსეთის თასი". სპორტული წყვილები. მოკლე პროგრამა. საფრანგეთი (LIVE).
21:15 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
21:45 ფიგურული სრიალი. გრანპრი "რუსეთის თასი". კაცები. მოკლე პროგრამა. საფრანგეთი (LIVE).
23:15 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. ევროპის ჩემპიონთა ლიგა.
00:00 ტიმბერსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ირლანდია.
01:00 პოკერი. საფრანგეთი.
02:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
02:30 ექსტრემალური სპორტი.
03:00 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი.
04:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
13:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ქალები. ჯგუფური ეტაპი. კონგო-გერმანია. ჩილე.
14:00 ახალი ამბები.
14:30 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ვისლა პლოცკი (პოლონეთი)-რაინი (გერმანია).
15:30 ახალი ამბები.
17:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ქალები. ჯგუფური ეტაპი. ბრაზილია-ჩრ. კორეა. ჩილე.
18:30 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ვისლა პლოცკი (პოლონეთი)-რაინი (გერმანია).
19:30 ახალი ამბები.
20:00 რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP14. X ტური.
21:00 ახალი ამბები.
21:30 ექსტრემალური სპორტი.
22:00 ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ტელეჟურნალი.
22:30 ახალი ამბები.
23:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
23:30 რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP14. XI ტური (LIVE).
01:15 ბრძოლა წესების გარეშე.
03:00 ახალი ამბები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ — მიხაელ შუმახერი

# დღეს ჩემი რეკორდებით ვამაყობ




მიხაელ შუმახერი იცინის. ადრე მისი დადებითი ემოციები პოდიუმის უმაღლეს საფეხურზე ხტუნვით ან კარგად ნაცნობი ღიმილით გამოიხატებოდა, დღეს კი სულ სხვა რამეს ვხედავ.

და აი რატომ იცინის: მიხაელი გვიყვება, რომ ბოლოს დროს სულ უფრო ხშირად უგებს ბერნი ექლსტოუნს... ნარდს.

„ამ რამდენიმე დღის წინ მას გარკვეული თანხა მოვუგე - ბერნის ეს საშინლად არ უყვარს", - გულიანად იცინის მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი.

ადრე ასეთი შუმახერის ნახვა იშვიათი იყო. არა, ის აქტიური კარიერის დროსაც ყოფილა მხიარული და მოდუნებული - ჰკითხეთ ბარიკელოს და ის დაგიდასტურებთ: როცა მიხაელს ხელში ღვინის ჭიქა უჭირავს, იქ მოწყენილობას ადგილი არ აქვს. მაგრამ სპორტული სრულყოფისკენ მუდმივი სწრაფვის გამო, შუმახერი საზოგადოების წინაშე ყოველთვის დაძაბული და ერთი კონკრეტულ საკითხზე კონცენტრირებული ჩნდებოდა. მაგრამ ახლა, მას შეუძლია იყოს ის, ვინც არის სინამდვილეში. აღარსადაა დაძაბული ქედმაღლობის კვალი. არადა ამის გამო შუმის პრესისგან ხშირად ხვდებოდა ხოლმე. 2008 წლის ვერსიის შუმახერი კეთილგანწყობილია, მხიარული და მომხიბვლელიც კი. და რაც მთავარია, სპორტიდან წასვლის შემდეგ, შუმიმ ახალი თვისება შეიძინა: ადამიანური სითბო, რაც შეუძლებელია, არ შეამჩნიო.

არ იფიქროთ, რომ ის მილიარდერების აზარტულ თამაშებში დამარცხებით შოულობს ფულს. მას შემოსავლის სხვა, უფრო სერიოზული წყარო აქვს. კერძოდ, აბუდაბიში უკვე დაიწყო ცათამბჯენის მშენებლობა, რომელსაც მიხაელ შუმახერის სახელი (Michael Schumacher World Champion Tower) ენოდა. მსოფლიოში შვიდი ასეთი შენობის ალმართვაა ჩაფიქრებული - ანუ იმდენი, რამდენჯერაც ის ჩემპიონი იყო. პროექტის რეალიზაციით დაკავებულნი არიან კომპანიები - Marasi და PNY. სხვათა შორის, ამ უკანასკნელს უძრავი ქონების სფეროში მიხაელ შუმახერის სახელის კომერციული გამოყენების ექსკლუზიური უფლება გააჩნია. ეს კი ძალიან ძვირი ღირს.

**- მაშ ასე, მიხაელ, რას იტყვით ფორმულა 1-ის შემდეგ ცხოვრებაზე?**

- საინტერესო ცხოვრება მაქვს. თუ სიმართლე გაინტერესებთ, რამდენჯერმე მქონდა დაბრუნების შესაძლებლობა, მაგრამ სპორტიდან წასვლის საბოლოო გადაწყვეტილების სისწორეში ეჭვი არასოდეს შემპარვია. მომწონს ეს თავისუფლება. ძველებურად ვთანამშრომლობ „ფერარისთან", დაკავებული ვარ სარბოლო და სერიული მანქანებით, ასევე დიდ დროს ვუთმობ მოტორბოლებს.

**- მოგვიყევით ამ გატაცებაზე. უცნაურია, რომ ადამიანი, რომელმაც ფორმულა 1-ში აბსოლუტურ უპირატესობას მიაღწია, რბოლის უბრალო მონაწილის სტატუსს ურიგდება...**

- მე მომწონს ის შეგრძნებები, რომელსაც მოტოკიცლი მჩუქნის. ახალბედა ვარ და სხვებზე უფრო ხშირად ვადევნებ თვალს იმას, თუ რა ხდება ჩემ უკან. მიუხედავად ამისა, დიდ სიხარულს ვგრძნობ: ეს სპორტის შესანიშნავი სახეობაა, სადაც შემიძლია გარკვეულწილად კონკურენტუნარიანი ვიყო, მაგრამ ისიც მესმის, რომ ჩემპიონატს ვერასოდეს მოვიგებ.

**- თქვენი მეტოქეები ვინ არიან? სავარაუდოდ, მათ მარტო იმიტომ უნდათ თქვენი გასწრება, რომ საქმე თვით მიხაელ შუმახერთან აქვთ.**

- (იცინის) არა მგონია! მოტორბოლა - სულ სხვა სპორტია. აქ მეტოქეთა მოტოციკლები თითქმის ეხებიან ერთმანეთს, არადა მოტომრბოლებმა იციან, რომ წაქცევა მტკივნეულია. ასე რომ, ჩემი კონკურენტები - მაგარი ბიჭები არიან და ყველასთან ერთნაირად იქცევიან.

**- ფორმულა 1-ს გამოეთხოვეთ და ახლა ყველაზე მეტად რა არ გყოფნით იმ სამყაროდან?**

- ჩემი მეგობრები. იქ იყვნენ ბიჭები, რომლებთან ერთადაც ფეხბურთს ვთამაშობდი, ვმხიარულობდი და ვკამათობდი კიდეც. ერთად ბევრი რამ გადავიტანეთ და ყოველთვის, როცა მათ ვხედავ, უდიდესი სიხარული მეუფლება. მაგრამ არაევროპულ ეტაპებს ხშირად არ ვესწრები და ამიტომაც მეგობრებს დიდი ხანი ვერ ვნახულობ.

**- გრაპრის დროს ხშირად გხედავთ პიტ-უოლზე. რა შეგრძნებები გაქვთ ამ დროს?**

- საინტერესოა. ზუსტად ვიცი, რა ხდება ან რის გაკეთებას აპირებენ გუნდში. საოცარია გვერდიდან ამ ყველაფრის ყურება, განსაკუთრებით ჩემი გამოცდილების მქონე ადამიანისთვის. ხანდახან, რბოლის მსვლელობისას რომელიმე გუნდი შეცდომას უშვებს და შენ ფიქრობ: „როგორ ვერ შეამჩნიეს? რატომ არ აქვს რეაგირება ინფორმაციაზე?" მაგრამ, როცა პიტ-უოლზე იმყოფები, ხვდები, რატომ არის ფორმულა 1 ასეთი რთული. მეტწილად პიტ-უოლზე მომუშავე ადამიანებზეა დამოკიდებული, რამდენად სწორად აფასებს სიტუაციას პილოტი, ასე რომ, ეს ძალიან რთული სამუშაოა.

**- ფორმულა 1-ში გამოსვლისას ამტკიცებდით, რომ რეკორდები თქვენთვის ბევრს არაფერს ნიშნავდა. ახლა რას ამბობთ?**

- ვაღიარებ, რომ მათი გახსენება სასიამოვნოა. თავის დროზე ვამბობდი, რომ რეკორდები არ მაინტერესებდა და ასეც იყო. მაგრამ ახლა ვამაყობ ამით.

**- ყველაზე მეტად რომელ პრიზს აფასებთ?**

- ის, რომელიც ბერნიმ გადმომცა. არ ვიცი, რამდენი წლისაა ეს პრიზი, მაგრამ თასი ძალიან ძველია და ის ჩემპიონიდან ჩემპიონს გადაეცემოდა. როცა „ფერარისთან" ერთად მეორე ტიტული მოვიგე, ბერნის ვუთხარი: „როცა მესამე ტიტულს დავისაკუთრებ, ამ პრიზს სამუდამოდ დავიტოვებ". მან მიპასუხა: „კარგი, წინააღმდეგი არ ვარ". და ახლა ამ პრიზის ორიგინალი ჩემთან სახლში ინახება.

■ ■ ■

შუმის წასვლის შემდეგ, ფორმულის სამყარო შესამჩნევად შეიცვალა. მიხაელმა ჩაფხუტის ლურსმანზე ჩამოკიდება ვერ მოასწრო, რომ „სამეფო რბოლებში" ლუის ჰემილტონი გამოჩნდა: დაიბადა ახალი ვარსკვლავი. აღიზარდა პილოტთა ახალი თაობა, რომელთა ლიდერები რობერტ კუბიცა და სებასტიან ფეტელი არიან. ფერნანდო ალონსოს, რომელმაც ორჯერ მოუგო შუმახერს, ახალი კონკურენტი გამოუჩნდა და ესპანელი „რენოში" დაბრუნდა.

რა ხდებოდა ამ დროს „ფერარიში"? 2007 წლის შემდეგ, რომელიც შუმახერის, ჟან ტოდტისა და როს ბრაუნის წასვლის მიუხედავად მაინც წარმატებული გამოდგა, წლევანდელი სეზონი არასტაბილურად წარიმართა. წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა ტიტულის ბედი ივლისისთვის იყო გადაწყვეტილი. სამაგიეროდ, ჩვენ ვხედავდით, როგორ გამოდიოდა მწყობრიდან „ფერარის" ძრავები ან როგორ შეცდომებს უშვებდნენ პიტსტოპების დროს სკუდერიის მექანიკოსები.

მაგრამ ჩემპიონატის მთავარი ინტრიგა ჰემილტონისა და შუმახერის ახლო მეგობრის ფელიპე მასას ორთაბრძოლაში გამოიხატა, კიმი რაიკონენი კი მათ ფონზე არადამაჯერებლად გამოიყურებოდა და სისწრაფით ვერ ბრწყინავდა. „ფერარისთან" დაკავშირებულ კითხვებზე მიხაელი აუჩქარებელ პასუხებს იძლევა. ის უკვე აღარ იცინის. როცა მის ახლობელ ადამიანებს პრობლემები აქვს, გერმანელს არ ეცინება.

■ ■ ■

**- „ფერარის" რთული სეზონი ჰქონდა...**

- იცით, ეს მაინც რბოლებია. არის აღმასვლის პერიოდები, მაგრამ ჩავარდნაც ხდება ხოლმე. მთავარია, რომ 1997 წლიდან მოყოლებული, „ფერარი" ყოველთვის ჩემპიონობისთვის იბრძოდა და ეს უკვე დიდი მიღწევაა. უნდა გავითვალისწინოთ, რომ წავიდა როს ბრაუნი, ნაკლებად არის გუნდის საქმეებით დაკავებული ჟან ტოდტი, მეც აღარ ვარ გუნდში... „ფერარიში" მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება, მაგრამ გუნდი მაინც იბრძვის გამარჯვებისთვის. ეს იმაზე მეტყველებს, რომ თანდათანობით ბრწყინვალე კოლექტივი შევკრიბეთ.

**- რომელმა პილოტმა გაგაკვირვათ წელს ყველაზე მეტად?**

- მასას დავასახელებ. ფელიპემ კი არ გამაკვირვა, არამედ მან დაამტკიცა, რომ ბევრის მიღწევა შეუძლია. თუმცა მე ეს დიდი ხნის წინ ვიცოდი.

**- თქვენი აზრი „ჰონდაში" როს ბრაუნის მუშაობაზე?**

- ვფიქრობ, ბრაუნი ასეთი რთული და ამბიციური პროექტისთვის სწორი არჩევანია. მაგრამ ეს ძალიან რთული სამუშაოა და თუ მას ბრაუნი თავს ვერ გაართმევს, გამოდის, რომ სხვასაც არაფერი გამოუვა.

**- როგორი დამოკიდებულება გაქვთ სებასტიან ფეტელთან? ის „ახალი შუმახერია"?**

- სიმართლე გითხრათ, ინტერესით ვადევნებ თვალს მის პროგრესს. დიდი ხანია, ვიცნობთ ერთმანეთს, ჯერ კიდევ მისი ბავშვობის წლებიდან. არა მგონია კორექტული იყოს ფეტელის ჩემთან შედარება, რადგან სებასტიანი ყოველთვის სებასტიანად დარჩება. შეიძლება ის ჩემზე ძლიერი იყოს, შეიძლება - არა.

**- დიდია თუ არა ფსიქოლოგიური ზეწოლა, როცა გრძნობ, რომ შენს გამოსვლას მთელი შენი ქვეყანა უყურებს?**

- ამაზე არასოდეს მიფიქრია. უბრალოდ საყოველთაო ინტერესს ვგრძნობდი და ამიტომაც ვიყავი ბედნიერი! შესაძლოა, ამას ყურადღებას არ ვაქცევდი, რადგან მთლიანად სამუშაოზე ვიყავი კონცენტრირებული...

**- ლუის ჰემილტონთან გაჯიბრების სურვილი არ გიჩნდებათ?**

- იცით რა, ისეთ ლეგენდებთან კონკურენცია მიწევდა, როგორებიც იყვნენ - სენა, მენსელი, პროსტი... ლუისი ბრწყინვალე პილოტია, მაგრამ ჯერ ახალბედაა. რა თქმა უნდა, საინტერესო სანახავი იქნებოდა, ჩვენ რომ ერთდროულად დაგვეწყო კარიერა. დარწმუნებული ვარ, გასწრებები და დაძაბული ბრძოლა გარანტირებული იქნებოდა.

**- თქვენი აზრი ახალ ტრასებზე, მაგალითად სინგაპურზე ან ვალენსიაზე...**

- არ ვიცი, მათზე არ გამოვსულვარ. მაყურებლის თვალსაზრისით... (პაუზა) ზოგი ტრასა საინტერესოა, ზოგიც მოსაწყენი.

**- მომავალ წელს, ფორმულა 1-ში ახალი ტექნიკური რეგლამენტი შევა ძალაში. ამაზე რას იტყვით?**

- როცა ანალიზს უკეთებ იმ იდეებს, რომელიც ამ რეგლამენტის საფუძველშია ჩადებული, ხვდები, რომ ეს სწორი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯია. შეიძლება იმაზე კამათი, რამდენად გამართლებულია ისეთი სისტემების შემოღება, როგორიც არის მაგალითად KERS, მაგრამ ამას მომავალი გვიჩვენებს. ისე კი აეროდინამიკური ეფექტურობის შემცირება და ტრასასთან მექანიკური მიჭიდების დონის გაზრდა სანახობრივ მხარეზე პოზიტიურად იმოქმედებს.

**- წელს ჩვენ ჰემილტონისა და მასას ბრწყინვალე ბრძოლა ვიხილეთ. რას შეგრძნება აქვს პილოტს, რომელიც მსგავს ორთაბრძოლაში მონაწილეობს?**

- ამ დროს ძალიან დაძაბული ხარ. მთელი შენი ცხოვრება - პროფესიულიც და პირადიც მხოლოდ ერთს, გამარჯვებას უკავშირდება. ტიტულისთვის ბრძოლისას, ფელიპესა და ლუისს სხვაზე არაფერზე არ შეეძლოთ ფიქრი და მუდმივად სეზონის მთავარ ამოცანაზე იყვნენ კონცენტრირებულნი.

**- რა ურთიერთობა გაქვთ ბერნი ექლსტოუნთან?**

- არა მგონია, რომ რაიმე განსაკუთრებული ურთიერთობა გვქონდეს. ყოველ შემთხვევაში, პირადი ურთიერთობები არ გაგვაჩნია. მაგრამ ხანდახან რბოლების დროს ვხვდებით ერთმანეთს, ერთ-ორ სახუმარო ფრაზას ვესვრით ერთმანეთს. ბერნი მხიარული ადამიანია.

**- თქვენ მთლიანად გადაწერეთ ფორმულა 1-ის რეკორდების წიგნი. გამოჩნდება თუ არა ოდესვე მსოფლიოს ახალი შვიდგზის ჩემპიონი?**

- რეკორდები იმისთვის არსებობს, რომ ის ვილაცამ გააუმჯობესოს. ადრე თუ გვიან, ჩემს რეკორდსაც დაამხობენ...

■ ■ ■

ხშირად ამბობენ, რომ სპორტის პროფესიონალმა ვარსკვლავებმა გადადგომის შემდეგ არ იციან, რა საქმით დაკავდნენ და ადგილს ვერ პოულობენ. მათმა სიურეალისტურმა ცხოვრებამ სასტუმროს ნომრებში ჩაიარა, სადაც ისინი, ძირითადად, საკუთარი დიდების შესახებ ფიქრით იყვნენ დაკავებულნი. შემდეგ კი აღმოჩნდებოდა, რომ მათ ყველა ორიენტირი დაკარგული ჰქონდათ. მაგრამ ამის თქმა შუმახერზე არ შეიძლება. ის ოჯახის კაცია, „ფერარის" კონსულტანტი, მოტომრბოლი, ახლა კი პატივმოყვარე ბიზნესმენი. რა უნდა ინატროს მისი თაობის ყველაზე დიდმა პილოტმა? როგორც ჩანს, შუმი უბრალოდ ბედნიერია!

**გია თვალაბეიშვილი**